ლელო

№ 261
(12 331)

5 ნოემბერი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დავით მუჯირი ისტორიაში შევიდა



ახალკაცის იდეა:
## შინგე ტექნიკურ დირექტორად?

ინტერვიუ რევაზ არველაძესთან 3



## რა პოსტი უნდა ტოპმიოლერს კაიზერში? 4



## აუტსაიდერებმა ლიდერებს შეუტიეს, ავიატორებმა მსაჯს

კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. III ტური 11



## მუჯირის გოლმა კრილიას ფრთები შეასხა

ქართული ლეგიონის უქმეები 5

ინგლისი
## არსენალი უკან დახევას არ აპირებს 6

იტალია
## მასპინძლობაც ასეთი უნდა 7

ესპანეთი
## კატალონიური შეთქმულება 8

გერმანია
## ბაიერნმა ჰამბურგის სუნთქვა იგრძნო 9



იუვენტუსი-ინტერი 1:1. კრუსი ანგარიშს ხსნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგი
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

საქართველოს XVII

ჯგუფური რაუნდი. V ტური. წინათქმა

დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

# განსხვავებული დილა

**D ჯგუფი**

**დილა-კახეთი**

**4:0**

04.11. გორი. თ. ბურჯანაძე
100 მაყურებელი

1:0 ნოზაძე (16. პენ), 2:0 დიქსონ ჩუკვე (44), 3:0 სამადაშვილი (45. პენ), 4:0 ნოზაძე (88)

დილა: კეჩხუაშვილი - ბალიაშვილი, მასურაშვილი, ლაცაბიძე (54. ლომიძე), დ. ხანიშვილი - კურტანიძე, სადალაშვილი (57. სირბილაძე), ნოზაძე, ტალაშაძე, დიქსონ ჩუკვუ - სამადაშვილი (50. ბუზალაძე)

სათადარიგოები: ილურიძე, თურმანიძე, იჩქითი, სულთანიშვილი

კახეთი: ჯიქურიშვილი - გიგაური, იოსებაშვილი, წივილაშვილი, მელიქიშვილი (63. რაზმაძე) - ბიძინაშვილი, აბდულაევი, გერგიშვილი, წითლაური (46. ხუციშვილი) - ბურნაძე (46. ლონლაძე)

სათადარიგოები: ქუფარაშვილი, ახალბედაშვილი

არბიტრი: ლ. სილაგავა

ანგარიში სრულად მეტყველებს მასპინძელთა უპირობო უპირატესობაზე. გორელებს ცოტა უკეთ რომ მოეხერხებინათ საგოლე მომენტების რეალიზაცია, კიდევ უფრო მეტ ბურთს გაუტანდნენ კახელებს. განსაკუთრებით პირველ ტაიმში ვერ გაუწია ვერანაირი წინააღმდეგობა თელავის ახალგაზრდულმა გუნდმა „დილას". თასის ჯგუფური ეტაპის გადალახვის ზღვარზე მყოფი გუნდი **ვარდოსანიძემ,** ბუნებრივია, დებიუტიდანვე მეტოქის კარზე დაგეშა. სხვათა შორის, გორელთა თავკაცმა გარკვეულად შეცვლილი შემადგენლობა გამოიყვანა დასახული მიზნის შესასრულებლად. არ უთამაშია „დილის" რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელს, ნიგერიელ **უჯედიეგუ დიქსონ ჩუკვუს** კი დებიუტი ჰქონდა მასპინძელთა რიგებში. აღსანიშნავია, რომ ქართლური გუნდისთვის ჯერჯერობით, უცხო ხილმა, შავკანიანმა ლეგიონერმა საკმაოდ ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა, მოედანზე ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ, როგორც ბურთთან მოპყრობით, ისე მახვილგონივრული და მოზომილი პასებით. პირველი პენალტი სწორედ ნიგერიელის პასით დასარტყმელ პოზიციაზე გაყვანილი **ნიკოლოზ სადალაშვილის** წაქცევას მოჰყვა. ამ გოლმა ისედაც ცუდად მოთამაშე „კახეთი" სულ მოშალა, ხოლო „დილაზე" დოპინგივით იმოქმედა - უამრავი საგოლე მომენტი შეიქმნა „კახეთის" კართან. გოლის გატანა „დილას" თითქმის ყველა ფეხბურთელს მართებდა, ზოგიერთ მათგანს ორჯერაც შეექმნა საგოლე მომენტი. ამიტომაც ცხადია მათ აღწერას აღარ მოვყვებით. შექნილ სიტუაციაში ვფიქრობთ, არც რომელიმე გუნდის რაიმეგვარ ტაქტიკურ განლაგებასა და გადანაცვლებებზე ღირს საუბარი. მაშინ, როცა ფეხბურთელთა შესვენებაზე გასვლას ბევრი აღარაფერი უკლდა, გორელები შეტევათა დამაგვირგვინებელ ფაზაში პროდუქტიულადაც ამუშავდნენ და 44-ე და 45-ე წუთებზე ზედიზედ ორი გოლი შეაგდეს **ჯიქურიშვილის** კარში.

მეორე ტაიმი სანახაობის თვალსაზრისით პირველს ბევრით ჩამორჩა. გორელები, როგორც მოსალოდნელი იყო აღარ უტევდნენ უწინდელი გახელებით. „კახეთსაც" ვერ გამოსდიოდა ეფექტური იერიშები, 77-ე წუთზე მთელი შეხვედრის განმავლობაში შექმნილ ერთადერთ სახიფათო მომენტს თუ არ ჩავთვლით, როცა **ზაქრო ბიძინაშვილის** მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა ჯერ ცოცხალ კედელს, შემდეგ კი ძელს მოხვდა. აღნიშნულის შემდეგ „დილამ" ერთგვარი საფრთხე იგრძნო. მოუმატა შემართებას, შეუტია და ისევ არაერთხელ შექმნა ხიფათი სტუმართა კართან, თუმცა თამაშიდან ვერცერთი მათგანის გოლად გარდასახვა ვერ მოახერხა. მატჩისთვის საბოლოო წერტილის დასმა საკუთრივ დუბლის გამფორმებელმა **ნოზაძემ** გაახერხა სახიფათო სტანდარტულის ზუსტად შესრულების გზით.

მართალია არცთუ ძლიერ „კახეთთან" მოგებულ 4:0-ს „დილის" დიდ წარმატებას ვერ დავარქმევთ, მაგრამ ამ გუნდისთვის ისიც მნიშვნელოვანია, რომ დღესდღეობით თასის გათამაშების შემდეგ ეტაპისკენ გადადგა ნაბიჯი, სექტემბრის შემდეგ შინ არ წაუგია და გარკვეული თვალსაზრისით, კარგადაც ათამაშდა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

თვის ნომინანტები. მწვრთნელები



ინტერვიუ რამაზ მუმლაძესთან

# ცხრილში მოწინავე ადგილები გვინდა!

**„ვიტ ჯორჯიამ" ოქტომბერში ჩემპიონატის სამივე თამაში მოიგო და რა გასაკვირია, გუნდის მწვრთნელი რამაზ მუმლაძე თვის საუკეთესო მწვრთნელად რომ დასახელდა, ამჯერად თემურ მახარაძესთან ერთად...**

- „ლელოსი" მადლობელი ვარ, გუნდისა და ჩემი გარჯის დაფასებისთვის. მართალი გითხრათ, საკუთარ თავზე ბევრი საუბარი არ მჩვევია. გუნდს, ფეხბურთელებს ჩემი დავალებები რომ ვერ შეესრულებინათ, მაშინ შედეგებიც არ გვექნებოდა და არც მე ვიქნებოდი ნომინანტებს შორის.

**- ოქტომბერში ჩემპიონატის სამი თამაში მოიგეთ. განვლილ მატჩებს როგორ გაიხსენებდით?**

- შინ „სპარტაკი" და „ბათუმი" დავამარცხეთ, მაგრამ ყველაზე უფრო გამორჩეული „დინამოსთან" სტუმრად გამარჯვება იყო. სამივე მნიშვნელოვანი და დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ.

**- მანამდე უდანაკარგოდ მოასპარეზე „დინამოს" პირველი ქულები სწორედ „ვიტ ჯორჯიამ" დააკარგვინა...**

- „დინამო" კარგი გუნდია და ამ გუნდთან ქულის მოპოვებაც კი ყველასთვის ძნელია. „დინამოსთან" ჩვენს მატჩამდე სანაკრებო პაუზა იყო და ის პერიოდი ნაყოფიერად გამოვიყენეთ. ჩვენ კარგად ვიცოდით მეტოქის პლუს-მინუსები. მართალი გითხრათ, ის მოგება იმანაც განაპირობა, რომ იღბალი ჩვენს მხარეს იყო.

**- ოქტომბრისგან განსხვავებით, წინა პერიოდი „ვიტ ჯორჯიისთვის" წარმატებული ნამდვილად არ იყო. ამას რით ახსნით?**

- ჩვენ ახალი გუნდის შენების პროცესში ვართ და დამეთანხმებით, ამას დრო სჭირდება. პროცესს ყოველთვის თან ახლავს წარუმატებლობა. მართლაც, იყო მატჩები, როცა ყველაფერი ისე არ იყო, როგორც ჩვენ გვინდოდა. გუნდის შენების პროცესი რთულია და დროს საჭიროებს. კარგია, როცა ამ რთულ პროცესს შედეგებიც თან ახლავს და ჩვენ სწორედ ამისთვის ვიბრძვით. როგორც შედეგებიდან ჩანს, ვითარება გამოვასწორეთ, ოქტომბერში სამივე თამაში მოვიგეთ და გათამაშების ცხრილშიც ზემოთ ავინაცვლეთ.

**- ნოემბერში რას გეგმავთ?**

- ამ თვეშიც რთული მატჩები გვაქვს და სერიოზულად ვემზადებით. ჩვენი მიზანია, ეს თვე მაქსიმალურად გამოვიყენოთ ცხრილში მოწინავე ადგილების დასაკავებლად. ჩვენი მიზანი ევროტურნირების საგზურის მოპოვებაა.

**- თვის სიმბოლური ნაკრების მწვრთნელად უკვე ორჯერ იყავით. შეძლებთ ამას ნოემბერშიც?**

- ჩვენ ყველა მატჩში მოსაგებად გავდივართ და გვინდა, რაც შეიძლება მეტი ქულა დავაგროვოთ. იმედი მაქვს, ამას შევძლებთ კიდეც.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ თემურ მახარაძესთან

# მეორე წრეში კიდევ უფრო გავძლიერდებით

**თემურ მახარაძემ ქოქა „ზესტაფონი", ქოქა და მესამე სეზონში, როგორც იქნა, იმ კონდიციებამდე მიიყვანა, რომ ჩემპიონობას შეეჭიდა.**

წლეულს „ზესტაფონი" თბილისის „დინამოსთან" ერთად, ოქროს მედლების ყველაზე რეალური კანდიდატია. ეს ყველაფერი ძალზედ გულდასაწყვეტია სეზონის პრელუდიის შემდეგ, როდესაც „ზესტაფონი" ინტერტოტოზე თამაშს ყაზახურ „ტობოლთან" მარცხით გამოეთიშა, მოულოდნელიც იყო. მაგალითად თბილისის „ამერი" პოლონეთის ვიცე-ჩემპიონ „ბელხატოვთან" მარცხმა ლამის არია.

ოქტომბრის საუკეთესო მწვრთნელ თემურ მახარაძესთან საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ.

**- ყაზახებთან წაგება იმდენად გულდასაწყვეტი იყო, შეუძლებელია, ამას მოთამაშეები არ დაეთრგუნა. მოხდა პირიქით, „ზესტაფონი" სწრაფად გამოფხიზლდა...**

- გავლენა იმ მატჩებმა ჩვენზე მართლა მოახდინა, მაგრამ მხოლოდ დადებითი. ბიჭები უფრო ლაღად ათამაშდნენ. როდესაც კუსტანაიში 0:3 წავაგეთ, ყველას კითხვა გაგვიჩნდა, ნუთუ „ტობოლი" ჩვენ ამდენად გვჯობდა? თბილისში გამოჩნდა, რომ „ზესტაფონი" ნამდვილად არ იყო სუსტი, „ტობოლს" სჯობდა. ჩვენ აეროპორტში დაგვალალატეს და ამიტომ ვერ ვაჯობეთ მეტოქეს.

მერე და მერე ვიგებთ, რომ ამ გუნდმა, რომელიც ნამდვილად არ გვჯობდა, ცნობილი ევროპული გუნდები, „ლიბერეცი" და „ოფი" გათამაშებიდან გამოაგდო. ბიჭები მიხვდნენ, რომ მათ „ტობოლზე" არანაკლები მეტოქეების დამარცხება შეეძლოთ და საკუთარი ძალების ირწმუნეს.

**- თქვენი კოლეგებიდან წლევანდელ ჩემპიონატში ვის გამოარჩევდით?**

- რამაზ მუმლაძეს, რომელიც მშვენივრად მუშაობს. „ვიტ ჯორჯია" ძალიან კარგი გუნდია. დუშან უჰრინზე მისი შედეგები მეტყველებს. ანგარიშიდან არავინ ჩამოწეროს „ამერი", გიორგი ჩიხრაძე კარგი მწვრთნელია, რასაც დიდი ხანია ამტკიცებს.

**- თქვენი აზრით, „ზესტაფონი" წლეულს ჩემპიონობისთვის მზადაა?**

- როგორ გითხრათ, ალბათ, გარკვეულწილად მზად არ ვართ.

**- რას გულისხმობთ?**

- ბაზა არ გვაქვს და ესაა პრობლემა. ამ კუთხით სერიოზული მუშაობა მიდის და მჯერა, მალე გუნდი გაცილებით მოღონიერდება. საკუთარი ბაზა ბევრს ნიშნავს, წმინდა სპორტული თვალსაზრისით კი, ყველა ხედავს, რომ არავისზე ნაკლები არ ვართ. მეორე წრიდან კიდევ უფრო გავძლიერდებით.

**- „ზესტაფონს" ბოლო ორი სეზონია სულ რაღაც აკლდა ოქროს მედლებისა და თასის მოსაპოვებლად. თქვენი აზრით, რა აკლდა?**

- გუნდური გამოცდილება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ფეხბურთში შედეგზე ყველა წვრილმანი აისახება. მთავარია, რომ ჩვენმა ბიჭებმა საკუთარი ძალების ირწმუნეს, საქმე კარგად მიდის და იმედია, სეზონს ასევე კარგად ჩავამთავრებთ.

**მერაბ მამულაშვილი**



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ რევაზ ჯიქიასთან

# ბომბარდირობა? რატომაც არა?!



რევაზ ჯიქია

**ოქტომბერი ჯიქიასთვის წარმატებული იყო - ორჯერ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში, ბოლოს კი თვის საუკეთესო ფეხბურთელადაც დავასახელეთ კახა ჩხეტიანთან ერთად...**

- დიახ, ვნახე და ძალიან ბედნიერი ვარ... მადლობელი ვარ ჩემი გარჯის დანახვისა და დაფასებისთვის. შევეცდები ჩემი კარგი თამაშითა და გოლებით მომავალშიც მივიპყრო თქვენი, პრესის ყურადღება.

**- ოქტომბერი მართლაც შედეგიანი თვე იყო თქვენთვის?**

- დიახ, სულ 7 გოლი გავიტანე, 5 ჩემპიონატში და ორიც თასის გათამაშებაზე.

**- პროგრესი აშკარად სახეზეა. ეს რის ხარჯზე შეძელით?**

- მონდომებისა და მობილიზების ხარჯზე, თანაგუნდელებისა და მწვრთნელის დახმარებით. მწვრთნელი და გუნდი რომ არა, ასეთი შედეგი ალბათ არ მექნებოდა.

**- გოლები ადრეც გაგქონდათ, მაგრამ ასეთი სიხშირით არა...**

- ფორვარდი ყველა შეტევისას გოლის გატანას ცდილობს, მაგრამ ეს ხან გამოსდის და ხან არა. ამჯერად ალბათ, იღბალიც ჩემსკენ იყო.

**- თანაგუნდელებიდან ვის გამოყოფდით?**

- გუნდი ერთი მთლიანი ორგანიზმია და რომელიმე ფეხბურთელის გამოყოფა გამიჭირდება.

**- გოლების სიმრავლეზე ვისაუბრეთ და ბომბარდირობასაც ხომ არ გეგმავთ?**

- რატომაც არა. ჩემი ვალდებულება ბურთების გატანაა და ყველა თამაშში ამას ცდილობ. თუ იმდენ გოლს დავაგროვებ, რომ ბომბარდირობასაც შევძლებ, ამას რა აჯობებს.

**- ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ არატიპიური ქართველი ფეხბურთელი ხარ. ალბათ ეს თქვენც ხშირად გესმის...**

- დიახ, ამას ბევრი ამბობს. ალბათ იმიტომ ვარ ასეთი, რომ რუსეთში ჩამოვყალიბდი ფეხბურთელად და იმ სტილში ვთამაშობ. ბურთისთვის ბოლომდე ვიბრძვი, ჩემი სათამაშო სტილი ნამდვილად განსხვავებულია.

**- ოქტომბრის თვის ფეხბურთელად შენთან ერთად „ზესტაფონის" მცველი კახა ჩხეტიანი დავასახელეთ. მას რამდენად იცნობ და როგორ შეაფასებდი?**

- კახას ვიცნობ, ძალიან კარგი ფეხბურთელია. კლასი და გამოცდილება არ აკლია და რაც მთავარია, სტაბილურია.

**დავით ცაბაძე**

---

დღეს, საქართველოში რამდენიმე საინტერესო გუნდია, მაგრამ თბილისის „დინამოს", „ამერსა" და „ზესტაფონს" მაინც გამოარჩევენ - უპირველესად კლასის გამო.

ოქტომბრის საუკეთესო მოთამაშე, „ზესტაფონის" მცველი და კაპიტანი კახა ჩხეტიანი კლასით გამორჩეული მოთამაშეა. ყველა შეხვედრას ერთ დონეზე ვერავინ ვერასდროს ჩაატარებს. ბუნებრივია, ჩვენი დღევანდელი რესპონდენტიც ასე იქნებოდა, მაგრამ მის ჩაგდებულ შეხვედრას ვერ გაიხსენებთ. თუკი დღეს იმერული კლუბი ლიდერებშია, ეს კახა ჩხეტიანის კარგი თამაშის დამსახურებაცაა. წლეულს მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი და მიმდინარე სეზონში ყველა მოთამაშეზე მეტჯერ, ხუთჯერ დასახელდა ტურის თერთმეტ საუკეთესო მოთამაშეს შორის.

ინტერვიუ კახა ჩხეტიანთან

# მიკვირს, რომ მცველი საუკეთესოდ დამასახელეთ

**- კახა, უპირველესად, გილოცავ თვის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებას.**

- მე დამასახელეთ?

**- დიახ, გაზეთი არ წაგიკითხავს?**

- სიმართლე გითხრათ, ბოლო დღეებში არ წამიკითხავს. დიდი მადლობა „ლელოს" ასეთი აღიარებისთვის. ეს ნებისმიერი მოთამაშისთვის სასიამოვნო იქნებოდა.

**- გეტყობა, გაკვირვებული დარჩი.**

- რაღა დაგიმალოთ და ასეა. საქართველოში მცველმა რომ იფრინოს, საუკეთესოდ შეიძლება მაინც არ აღიარონ.

**- შენთან ერთად, ოქტომბრის საუკეთესო ფეხბურთელად რუსთავის „ოლიმპის" თავდამსხმელი რეზო ჯიქია დასახელდა. მას როგორ დაახასიათებდი?**

- ძალიან კარგი თავდამსხმელია. სწრაფია, ტექნიკურია და რაც მთავარია, ბურთები გააქვს. მე ის ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ მოთამაშედ მიმაჩნია. მასში იცით, რა მომწონს? მოედანზე ძალიან ბევრს მოძრაობს, კარგად იხსნება და მჯერა, კიდევ უკეთეს ფეხბურთს აჩვენებს. მას პატარა გამოცდილება სჭირდება და იმხელა პოტენციალი გააჩნია, დარწმუნებული ვარ, საქართველოზე გაცილებით ძლიერ ლიგაში ითამაშებს.



კახა ჩხეტიანი

**- წლევანდელი სეზონი შენთვის წარმატებულია. ეტყობა, მეორე სუნთქვა გაგეხსნა.**

- ეს ყველაფერი „ზესტაფონის" კარგი თამაშიდან გამომდინარეობს. გუნდმა სეზონი ძალიან კარგად დაიწყო. ასე რომ არ ყოფილიყო, მეც ვერ გამოვჩნდებოდი. შედეგებში ყველაფერი აისახა, ჩემი თამაშიც და ჩემი თანაგუნდელებისაც.

**- გუნდიდან ვის გამოარჩევდი?**

- ძალიან მიჭირს, რადგან ყველა თავის საქმეს კარგად ართმევს თავს. მაგალითად, ჭანტურიას, რომელიც კარში საიმედოა, „პაჭელოს", გიორგი ჭელიძეს, რომელიც გოლს გოლზე იტანს. იონანიძეზე კი მე რა გითხრათ, სტატისტიკას გადახედეთ - შეცვლაზე თამაშობს და სამი თამაში მოგვაგებინა. მას არ შეუძლია მომენტის გაფუჭება.

**- მთლიანად ჩემპიონატში ვინ მოგეწონა?**

- ბორჯომელი შოთა გრიგალაშვილი. ძალიან კარგი სეზონი აქვს, რეზო ჯიქიას. „მესხეთში" კარგად თამაშობს ჩემი ძმა, ზვიადი, მაგრამ დედმამიშვილობის გამო არ დავასახელე. მართლა კარგად ათამაშდა.

**- ჩემპიონატში ერთმანეთს თქვენ და „დინამო" ეცილებით. შენი აზრით, სხვა რომელიმე გუნდს ამ ბრძოლაში ჩართვის ძალა გააჩნია?**

- ძალიან მომწონს „ამერი", მაგრამ იმხელა უპირატესობა გვაქვს ჩვენ და „დინამოს", ძალიან უნდა მოვინდომოთ, ეს უპირატესობა ქარს რომ გავატანოთ და „ამერს" დაწევის საშუალება მივცეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

---

ინტერვიუ რეზო არველაძესთან

# მინგე ტექნიკურ დირექტორად...

## ...დარწმუნებული ვარ, ტოპმიოლერი ამას არ იტყვის

## მიზანი სამხრეთი აფრიკაა

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე პრეზიდენტი რევაზ არველაძე წმინდა საფეხბურთო საკითხებს კურირებს და საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებზე სასაუბროდ ამჯერად ის ავირჩიეთ რესპონდენტად. ბოლო პერიოდში ამ საკითხებზე შოთა არველაძეს, კობა ჟორჟიკაშვილსა და გია გეგუჩაძეს ჩამოვართვით ინტერვიუ, ახლა კი ჩვენს კითხვებს არაოპოზიციური მხარე პასუხობს და არველაძეს ეროვნულ ნაკრებზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა..**

**- როგორია პირადად თქვენი პოზიცია საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მწვრთნელთა შეცვლის შესახებ?**

- ეს კომპლექსური საკითხია, თუმცა კონკრეტულად შესაძლებელია იმის თქმა, რომ მიუხედავად ცალკეული გამონათებებისა, ჩვენს ასაკობრივ ნაკრებებს კარგი შედეგი არ აქვთ. 17 და 21-წლამდელთა ნაკრებების თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ, 19-წლამდელთა თავკაც ჰაინც ტოპმიოლერს კი, ვფიქრობ, კარგი თვალი და გემოვნება აქვს. ცხადია, ვერ დავიჩემებ, რომ ჩემი გემოვნება ყველაზე კარგია, თუმცა 19-წლამდელთა ნაკრებში ბევრი ფეხბურთელი მომეწონა.

**- და მხარს უჭერთ იმას, რომ სამი ასაკობრივი ნაკრებიდან ორში მთავარი მწვრთნელი უნდა შეიცვალოს?**

- ამ საკითხთან დაკავშირებით სერიოზული კონსულტაციები უნდა გავმართოთ ეროვნული ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერთან. ასეთი კონსულტაციის გარეშე ასაკობრივ ნაკრებებში მწვრთნელთა შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ძალიან რთული იქნება.

**- გეგულებათ ისეთი ქართველი მწვრთნელები, რომელიც თავს გაართმევენ რომელიმე ასაკობრივი ნაკრების ხელმძღვანელობას?**

- ასეთი 3-4 ქართველი მწვრთნელი მეგულება, თუმცა შესაძლოა, შანსი სულ სხვა ქართველ მწვრთნელებს მიეცეთ, იმათ, ჯერ მაღალ დონეზე რომ არ უმწვრთნელიათ.

**- შევიტყვეთ, რომ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთაგან იმ ქართველ მწვრთნელებს უჭერენ მხარს, ვინც ასაკობრივ ნაკრებებში მთავარი მწვრთნელის თანაშემწეებად მუშაობდნენ...**

- არ არის გამორიცხული, რომ მათი დაწინაურების საკითხი განვიხილოთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ ასაკობრივ ნაკრებებში მწვრთნელები შეიცვლებიან, მაინც და მაინც ისინი დაიკავებენ მთავარი მწვრთნელის პოსტებს.

**- თუ კლაუს ტოპმიოლერი გეტყვით, რომ ასაკობრივ ნაკრებებში მწვრთნელთა ცვლა არ უნდა მოხდეს, სამივე მწვრთნელს პოსტი უნდა შეუნარჩუნდეს - როგორ მოიქცევა ასეთ შემთხვევაში ფედერაცია?**



რეზო არველაძე

- დარწმუნებული ვარ, რომ ტოპმიოლერი ამას არ გვეტყვის.

**- ტომპიოლერის თანაშემწე რალფ მინგე თავიდან ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობასაც ითავსებდა. მისი ამ პოსტზე დაბრუნება გამორიცხულია?**

- იმის მომხრე ვარ, რომ მინგეს პროფილი გაუფართოვდეს და ფედერაციის ტექნიკური დირექტორი გახდეს. ინიციატივა ამის შესახებ ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გამოთქვა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არასდროს ჰქონია ტექნიკური დეპარტამენტი და შესაბამისად, არც ტექნიკური დირექტორი ჰყოლია, არადა, ამას ფიფა-უეფაც ითხოვს.

**- კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტი რომ გაგრძელდება, ეს ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ახალი მწვრთნელი რომ მოვიწვიოთ, მან თავიდან უნდა დაიწყოს ინფორმაციის შეგროვება ნაკრებისა და მისი ფეხბურთელების შესახებ, საერთო სიტუაციას უნდა გაეცნოს და ამასობაში დრო დაიკარგება, ამიტომ ჯობია, რომ ტოპმოილერი დარჩეს - ეს საკმაოდ მყარი არგუმენტია, მაგრამ სხვა არგუმენტი თუ აქვს ფეხბურთის ფედერაციას ტოპმოილერთან კონტრაქტის გასაგრძელებლად?**

- ჩვენი ოპონენტები ყურადღებას ამახვილებენ ტოპმიოლერის ხელფასზე და ამ ასპექტით აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას. ვფიქრობ, მწვრთნელის საკითხზე კამათისას აქცენტის ფულზე გაკეთება სწორი არ არის. ცუდი შედეგი შესაძლოა, მაღალი დონის მწვრთნელსაც ჰქონდეს. ამ შესარჩევში ლიტვაში რომ მოგვეგო, ვიტყოდი, რომ ის შედეგი აქვს ნაკრებს, რასაც ველოდი. ეს შესარჩევი 18 ქულით რომ ჩაგვემთავრებინა, ვფიქრობ, იდეალური შედეგი იქნება, ნორმალური გამოდგებოდა ციკლში 15-16 ქულის მოპოვება. შედეგზე მწვრთნელი უნდა იყოს პასუხისმგებელი მიუხედავად იმისა, გუნდს ხუთი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა თუ ცხრა. საერთო ჯამში, ერთადერთი სერიოზული იმედგაცრუება ჩვენთვის ლიტვაში წაგება იყო.

**- მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელი ახსენეთ და შესაძლოა, ასეთი სპეციალისტი უფრო კლუბში სამუშაოდ იყოს მისადაგებული, ვიდრე ნაკრებისთვის...**

- აქაც ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს. ტოპმოილერმა ნაკრებში და უშუალოდ საქართველოს ეროვნულ გუნდში მუშაობის ორწლიანი გამოცდილება შეიძინა. ფეხბურთში საერთოდ ასე ხდება: რაც უფრო მეტი ფული იხარჯება მწვრთნელისთვის, ფეხბურთელისთვის, კვებისთვის, ფარმაკოლოგიისთვის, სასტუმროსთვის, მით უფრო მაღალია ხარისხი.

**- ხარისხსა და შედეგს ჯერაც ველით საქართველოს ნაკრებისგან .საზოგადოებისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ რა პრინციპით გააფორმებს ფედერაცია ტოპმიოლერთან ახალ კონტრაქტს - მწვრთნელი ისევ, ასე ვთქვათ, მოჭრილ თანხას მიიღებს თუ მისი ჯამაგირი მნიშვნელოვანად იქნება დამოკიდებული გუნდის შედეგზე?**

- ეს რომ გამოვამზეუროთ, ორივე მხარის თანხმობაა საჭირო.

**- კონკრეტულად რა შედეგს დაუსახავს ფედერაცია ტოპმიოლერს?**

- საქართველოს უფრო ძლიერი ნაკრები უნდა ჰყავდეს, რომლის მიზანი 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში იქნება. ასეთი მიზანი თუ არ გვექნა, მაშინ რა აზრი აქვს ფედერაციის, მწვრთნელისა და ფეხბურთელების გარჯას?! ფედერაციამაც და მწვრთნელმაც გაორმაგებული მონდომებით უნდა ვიმუშაოთ.

**- ანუ გულშემატკივარი აღარ მოისმენს იმას, რომ საქართველოს იმდენი მაღალი კლასის ფეხბურთელი არ ჰყავს, რომ ნაკრებმა ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ვერ იბრძოლოს? გამოჩნდნენ ლევან ყენია და ლევან მჭედლიძე, მაგრამ 18 წლის ფეხბურთელებზე დაყრდნობა ალბათ ძნელი იქნება. ნაკრების ახლანდელი ბირთვიდან კი არც თუ ცოტა ფეხბურთელი დამდეგი ციკლისთვის 31-33 წლის იქნება...**

- საშუალო ასაკის ფეხბურთელებიც გვყავს - ასათიანი, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, გოგუა, მარცვალაძე, სირაძე... რა კონტიგენტიც არ უნდა გვყავდეს, მიზანი მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, განწირულები ვიქნებით. მოედანზე ასეთი მიზნის გარეშე გასვლა ღალატია. ტოპმიოლერიც უფრო მომზადებული იქნება დამდეგი შესარჩევისთვის. კონტრაქტის გაგრძელება მისთვისაც შანსი და დიდი გამოწვევაა.

**დავით თავართქილაძე**

გახსენი...
# ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსავალი

## რა პოსტი უნდა ტოპმიოლერს კაიზერში?

**კლაუს ტოპმიოლერსა** და „კაიზერსლაუტერნს“ შორის შესაძლო თანამშრომლობის საკითხი ხვალ უნდა გადაწყდეს, მაგრამ მანამდე გერმანულ პრესაში ისევ გავრცელდა ინფორმაცია ამ საკითხზე.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი რომ არც მწვრთნელისა და არც ტექნიკური დირექტორის პოსტს უმიზნებს, თავად განაცხადა, მაშ რა თანამდებობა სურს მას მშობლიურ კლუბში?

„ლაუტერნის“ სპორტულ დირექტორს, 40 წლის **მიხაელ შიონბერგს**, კლაუს ტოპმიოლერთან თანამშრომლობის პერსპექტივა, რბილად რომ ვთქვათ, არ ხიბლავს. ამაზე ქვემოთ, მანამდე კი ვნახოთ თუ რა ვარიანტი შესთავაზა თავად კლაუს ტოპმიოლერმა „ლაუტერნს“. ეს პრესასთან საუბარში „კაიზერსლაუტერნის“ სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა **ჰარტმუტ ემრიხმა** გააჟღერა:

*„ჩვენ არ გვინდა, რომ კლაუს ტოპმიოლერისა და ჩვენი კლუბის თანამშრომლობის პერსპექტივის საკითხი დროში გაიწელოს. ამ თემაზე 6 ნოემბერს ვიმსჯელებთ და კლუბისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებასაც მივიღებთ.*

*კლაუს ტოპმიოლერმა კიდევ ერთხელ საჯაროდ განაცხადა, რომ მას ჩვენს გუნდში არც მთავარი მწვრთნელისა და არც სპორტული დირექტორის პოსტი არ სურს. ტოპმიოლერის სურვილი საპატიო სპორტული მრჩევლის პოსტია“.* საყურადღებოა „კაიზერსლაუტერნის“ სპორტულ დირექტორ მიხაელ შიონბერგის კომენტარიც. sr-onlines-ის ინფორმაციით, სპორტული დირექტორი, რომელსაც „ლაუტერნთან“ 2008 წლის 31 იანვარს უმთავრდება კონტრაქტი, პოსტს ვადაზე ადრე დატოვებს თუ „კაიზერსლაუტერნის“ სამეთვალყურეო საბჭო კლაუს ტოპმიოლერთან თანამშრომლობის საკითხს დადებითად გადაწყვეტს.

**დავით ცაბაძე**


კლაუს ტოპმიოლერი

სიონი

## ირანი ზამთარში

დაახლოებით ერთი თვის წინ „სიონი“ მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა **ლევან სანიკიძემ** დატოვა. გამოცდილი ნახევარმცველი ირანში აპირებდა კარიერის გაგრძელებას, მაგრამ ერთ-ერთ იქაურ კლუბთან მოლაპარაკება შეფერხდა და სანიკიძე „სიონს“ დაუბრუნდა. პირველ წრეს იგი ბოლნისში ჩაამთავრებს, რის შემდეგაც ქვემოქართლულ კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს და კვლავ ირანში გაემგზავრება. სავარაუდოდ, ზამთარში იგი უპრობლემოდ შეძლებს იქ მოწყობას.

მანამდე კი მისი დაბრუნება „სიონისთვის“ მისწრებაა. ბოლნისელები მაინცდამაინც ძლიერი კადრებით ვერ დაიკვეხნიან, მხოლოდ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვიან და თითოეული ქულა ჰაერივით სჭირდებათ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

## მუჯირი კრილიას ისტორიაში შევიდა

„ქართველმა კრიტიკოსები გააჩუმა“, - ამ სიტყვებით შეაფასა სამარის „კრილია სოვეტოვის“ მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრ ტარხანოვმა დათო მუჯირის** თამაში. „კრილიამ“ რუსეთის პრემიერლიგის 29-ე ტურში მოსკოვის „ლოკომოტივს“ 3:1 მოუგო, მესამე ბურთი მუჯირმა გაიტანა და გუნდს ლიგაში დარჩენაში დაეხმარა.

ტარხანოვი წინა შეხვედრებში მუჯირით უკმაყოფილო გახლდათ, ახლა კი... *„მუჯირმა და ბობერმა შეხვედრა ტრავმებით ჩაატარეს. ამის მიუხედავად, ორივემ კარგად ითამაშა. ქართველმა ლეგიონერმა დღეს საკუთარი გვარი „კრილია სოვეტოვის“ ისტორიაში ჩაწერა. მისი გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა და მივხვდი, რომ ჩვენ „ლოკომოტივს“ მოვუგეთ. ამის შემდეგ სამარის გუბერნატორი დამიკავშირდა და მითხრა, რომ გუნდს მომავალი სეზონიდან დაფინანსების პრობლემა აღარ შეექმნება.“* - ეს ტარხანოვის სიტყვებია. ინტერნეტ-გაზეთი „სპორტრეპორტი“ კი წერს: *„გადამწყვეტი როლი მარკო ტოპიჩმა და დათო მუჯირმა შეასრულეს. ქართველ ი ფლეიმეიქერი ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას კარში დასარტყმელად. მან მოთამაშეებიდან კარისკენ ყველაზე მეტჯერ გაისროლა და ბოლოს შედეგს მიაღწია.“*

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა მატჩის შემდეგ ვითარებით ისარგებლა და იმ ხალხს გასცა პასუხი, რომლებიც „კრილიას წარუმატებლობას ლეგიონერებს მიაწერდნენ.

*„რატომღაც, წლეულს მე და მარკო ტოპიჩს ბევრს გვაკრიტიკებდნენ. თუმცა, როდესაც გუნდის გადარჩენაა საჭირო, „კრილიას“ მე და ბოსნიელი ფორვარდი ვეხმარებით. დღეს სეზონში მერვე გოლი გავიტანე, ტოპიჩმა კი დუბლი შეასრულა. ეს შეხვედრა იყო კრიტიკოსებისადმი ჩვენი პასუხი. უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც „კრილიას“ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ჰქონდა საქმე, ჩვენ ორნი გუნდს 15 გოლით შევეშველეთ (სულ „კრილიამ“ 34 გაიტანა). იმედია, ხელმძღვანელობა სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს და ტოპიჩს არ გაუშვებს. ის გუნდს სჭირდება. მე კი, ალბათ, დავრჩები, რადგან კონტრაქტი 2008 წლის ბოლოს მიმთავრდება“*, - ამ სიტყვებით ქართველი შეეცადა, პასუხი გაეცა ტარხანოვისთვის, რომელმაც ერთი კვირის წინათ ბრძანა, რომ გუნდში რუსების ნაკლებობაა წარუმატებლობის თავი და თავიო. გადამწყვეტ შეხვედრაში „ლოკომოტივთან“ სამარელები სწორედ ლეგიონერებმა გადაარჩინეს.

**მერაბ მამულაშვილი**


დავით მუჯირი

## ბორჯომში ავარიული მდგომარეობაა

როგორც გახსოვთ, 31 ოქტომბერს „ბორჯომის“ მიკროავტობუსი ქუთაისთან ავტოავარიაში მოჰყვა, რის შედეგადაც კლუბის რამდენიმე წევრმა სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო. „ბათუმი“-“ბორჯომის“ მატჩი გადაიდო, დღეს კი სამცხელები „ოლიმპს“ მასპინძლობენ. სავარაუდოდ, ავარიაში დასავებულთა უმრავლესობა დღეს ვერ ითამაშებს.

*„ჯიქია, მემარნიშვილი, შეყრილაძე, ქარქოზაშვილი* და *ლონლაძე* გუნდთან ერთად არიან და ჩვეულებრივად ვარჯიშობენ, მაგრამ მათ ბოლომდე დატვირთვას ვერიდები. მთავარია მათი ჯანმრთელობაა და თუნდაც პრინციპული შეხვედრისთვის ვერ გავრისკავ. ეს ბიჭები კი მეუბნებიან, რომ მოედანზე გასასვლელად მზად არიან, მაგრამ ექიმის რჩევებს უფრო გავითვალისწინებთ. მოკლედ, ძალიან მძიმე და გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, არადა, მჭიდრო გრაფიკით გვიწევს პრინციპული მატჩების ჩატარება. უახლოეს პერიოდში კი 18-კაციანი განაცხადის შევსებაც კი გაგვიჭირდება, იძულებულნი ვართ, დუბლშემადგენლობიდან რამდენიმე გამოუცდელი მოთამაშე დავიმატოთ. ყველაფრის მიუხედავად, შევეცდებით, შექმნილი სიტუაციიდან ღირსეულად გამოვიდეთ და ჩემპიონატზეც და თასზეც წარმატებულად გამოვიდეთ. მადლობა ღმერთს, ინცინდენტი უმსხვერპლოდ დასრულდა“, - ამბობს „ბორჯომის“ მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ხაჩიძე**.

ვნახოთ, როგორ გაართმევს გუნდი თავს ამ წელს დარჩენილ შეხვედრებში. ჩემპიონატში „ბორჯომი“ 18 ქულით მე-5 ადგილზეა, „ოლიმპის“ ძლევის შემთხვევაში კი თასის მეოთხედფინალისკენ უდიდეს ნაბიჯს გადადგამს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადაიხდი სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



## ქართველთა რუსული მონაგარი

რუსეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა. ვერ ვიტყვით, რომ ეს სეზონი ქართველთათვის განსაკუთრებით წარმატებული იყო, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა თავი მაინც გამოიჩინა. „სპორტ-ექსპრესმა“ პრემიერლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელთა სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა.

ჩვენს თანამემამულეთაგან საუკეთესო საშუალო შეფასება ლოკომოტიველ **მალხაზ ასათიანს** კი აქვს, მაგრამ მას ჩემპიონატში 18 მატჩი არ უგროვდება და ამის გამო რეიტინგში ვერ მოხვდა. სიაშია **დავით მუჯირი**, „კრილიას“ ერთ-ერთი ლიდერის საშუალო შეფასება არცთუ მაღალია - 5,54. მის შემდეგ მოდის ნალჩიკის „სპარტაკის“ მცველი **ალექსანდრე ამისულაშვილი** 5,48 ბალით. მისი ყოფილი თანაგუნდელის **ლევან გვაზავას** საშუალო შეფასება 5,43-ია. რუსეთში მოთამაშე ჩვენმა სხვა ლეგიონერებმა 18-ზე ნაკლები შეხვედრა ჩაატარეს.

ქართველთაგან ყველაზე მეტი, 8 გოლი მუჯირმა გაიტანა. ცნობისთვის, რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირებს, სპარტაკელ **პავლიუჩენკოსა** და არმიელებს, **ვაგნერ ლავსა** და **ჟოს** მეტოქეთა კარი 13-13-ჯერ აქვთ დალაშქრული. ამისულაშვილმა ამ სეზონში 3 გოლი გაიტანა, თითოჯერ კი თავი ასათიანმა, **სალუქვაძემ** და გვაზავამ გამოიჩინეს.

ამ უკანასკნელის ანგარიშზე სამი საგოლე პასია, ერთი შედეგიანი გადაცემა კი ასათიანმა შეასრულა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლეგიონერები. კვირის მიმოხილვა



მილანი-ტორინო. კახა კალაძემ 90 წუთი ითამაშა

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **იტალია** | | | | |
| სერია A, XI ტური | | | | |
| კახა კალაძე | მილანი-ტორინო | 0:0 | 90 წუთი | 9 თ, 0 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა, XI ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე-ალმერია | 3:0 | ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა, XII ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-ლივერპული | 0:0 | სათადარიგო | 1 თ, 0 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა, XII ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | კოტბუსი-შალკე | 1:0 | ტრავმა | 4 თ, 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე-დუისბურგი | 1:0 | სათადარიგო | 9 თ, 0 გ. |
| II ბუნდესლიგა, XII ტური | | | | |
| მათე ღვინიანიძე | ვენი-მიუნხენი | 0:0 | დისკვალიფიკაცია | 10 თ, 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი-კობლენცი | 4:2 | სათადარიგო | 1 თ, 0 გ. |
| დავით სირაძე | პადერბორნი-მაინცი | 1:1 | 90 წუთი | 8 თ, 0 გ. |
| ილია კანდელაკი | გლადბახი-კარლ ცაისი | - | დღეს | 6 თ, 0 გ. |
| გიორგი ონიანი | გლადბახი-კარლ ცაისი | - | | 3 თ, 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | გლადბახი-კარლ ცაისი | - | | 0 თ, 0 გ. |
| რეგიონალლიგა, XIV ტური | | | | |
| მიხეილ საჯაია | ინგოლშტადტი-როიტლინგენი | 2:0 | არ უთამაშია | 5 თ, 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა, XV ტური | | | | |
| დავით კვირკველია | მეტალურგი ზ.-ტავრია | 0:0 | 45 წთ (შეცვალეს) | 15 თ, 1 გ. |
| ლაშა ჯაკობია | დინამო-მეტალისტი | 0:1 | 40 წთ: (შეცვალეს) | 4 თ, 0 გ. |
| ვასილ გიგიაძე | ნეფტიანიკი-ვორსკლა | 2:0 | სათადარიგო | 13 თ, 0 გ. |
| ლადო ბურდული | ზარია-ზაკარპატიე | 1:0 | 67 წთ. (შეცვალეს) | 15 თ, 0 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია-ზაკარპატიე | 1:0 | სათადარიგო | 2 თ, 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | ხარკოვი-არსენალი | 2:0 | 11 წთ. (შეცვლაზე) | 14 თ, 2 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | ზარია-ზაკარპატიე | 1:0 | 65 წთ. (შეცვალეს) | 13 თ, 1 გ. |
| კახა ალადაშვილი | ზარია-ზაკარპატიე | 1:0 | 90 წუთი | 8 თ, 0 გ. |
| ჯაბა კანკავა | კარპატი-დნიპრო | 0:1 | ტრავმა | 12 თ, 1 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა, XVIII ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | კარნტენი-შტურმი | 0:0 | 90 წუთი, გააფთხილეს | 17 თ, 0 გ. |
| II ბუნდესლიგა, XIII ტური | | | | |
| მირზა ბძალავა | ავსტრია ლ.-ტრენკსვალდერი | 5:1 | ტრავმა | 3 თ, 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა, XV ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი-ოდენსე | - | დღეს | 6 თ, 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა, XIV ტური | | | | |
| სანდრო იაშვილი | თუნი-იანგ ბოიზი | 0:0 | 71 წთ. (შეცვალეს) | 10 თ, 0 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერლიგა, XXIX ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | ამკარი-სატურნი | 3:1 | 90 წუთი | 14 თ, 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | დინამო-რუბინი | 0:1 | ტრავმა | 2 თ, -2 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | დინამო-რუბინი | 0:1 | 90 წუთი | 14 თ, 1 გ. |
| დავით მუჯირი | კრილია სოვეტოვი-ლოკომ. | 3:1 | 81 წთ. (შეცვალ.), 1 გოლი, გააფრ | 25 თ, 8 გ. |
| მალხაზ ასათიანი | კრილია-ლოკომოტივი | 3:1 | 90 წუთი, გააფრთხ. | 14 თ, 1 გ. |
| ალეკო ამისულაშვილი | ლუჩი-სპარტაკი ნ. | 2:1 | 90 წუთი | 29 თ, 3 გ. |
| ლევან გვაზავა | ლუჩი-სპარტაკი ნ. | 2:1 | დისკვალიფიკაცია | 22 თ, 1 გ. |

# ქართული დუბლები, მაგრამ...

ქართველმა ფორვარდებმა ამ უქმეებზე დუბლებით გამოიჩინეს თავი, ოღონდ მოლდოვასა (ჯაბა დვალი) და ყაზახეთში (ლევან მელქაძე). უფრო ძლიერ ლიგებში, სამწუხაროდ, ვერაფრით დავიკვეხნით - როგორც ერთი კვირის წინათ, გოლი მხოლოდ დავით მუჯირმა გაიტანა, მაგრამ როგორი? თან რა მნიშვნელობის! მოკლედ, კვირის გმირი დავით მუჯირია, რომელმაც „კრილიას" უმაღლესში ადგილი შეუნარჩუნა და თავი კლუბის ისტორიაში ჩაიწერა.

## კალაძის ორგვარი შეფასება

**კახა კალაძის** „მილანმა" „სან სიროზე" „ტორინოს" უმასპინძლა და ვერაფერი დააკლო - 0:0. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა 90 წუთი ითამაშა. „დატასპორტმა" საკმაოდ გააკრიტიკა „მილანის" ცენტრალურ მცველთა დუეტის (კალაძე-ნესტა) თამაში. კახას 5,5 ქულა დაუწერეს და აღნიშნეს, რომ მისი თამაში დამაჯერებელი ვერ იყო. „ილ ჯორნალემ" უკეთესი შეფასება დაუწერა ქართველ მცველს - 6. „კალაძეს ნაკლები საქმე ჰქონდა, რადგან „ტორინო" იშვიათად უტევდა სახიფათოდ", - ასკვნის „ილ ჯორნალე". „მილანს" 11 თამაშიდან მხოლოდ 14 ქულა აქვს და ცხრილის შუაშია.

ინგლისში კვლავ არ უთამაშია **ზურაბ ხიზანიშვილს**, რომელიც „ბლექბერნი"-"ლივერპულის" მატჩში სათადარიგო იყო. „ბლექბერნს" საქმეები უქართველოდაც კარგად მისდის - 11 თამაშიდან 22 ქულა აქვს. სამწუხაროდ, ნელა მიდის **შოთა არველაძის** ტრავმირებული მუხლის მოშუშების პროცესი, ამიტომ მის დებიუტს ესპანურ პრიმერაში ჯერ არ უნდა ველოდოთ.

## ღვინიანიძემ მოიხადა

სეზონის წინ ჩემპიონობის ერთ-ერთ კანდიდატად შერაცხულმა „შალკემ" ამ ტურში კოტბუსში „ენერგისთან" წააგო - 0:1. **ლევან კობიაშვილის** გუნდს 11 თამაშიდან 20 ქულა აქვს და ლიდერ „ბაიერნს" უკვე რვა ქულით ჩამორჩება. ამ ტურის ბუნდესლიგამ უქართველოდ ჩაიარა, **ალექსანდრე იაშვილი** „დუისბურგთან" (1:0) სათადარიგო იყო. „კარლსრუე" 23 ქულით მეოთხე ადგილზეა.

მეორე ბუნდესლიგაში ჩემპიონატის აუტსაიდერი „კარლ ცაისი", სადაც ქართული ტრიო (**ილია კანდელაკი, გიორგი ონიანი, გიორგი სეთურიძე**) დღეს ესტუმრება „მიონხენგლადბახს". სხვა ქართველთა გუნდებმა გუშინ ითამაშეს. **მათე ღვინიანიძემ** მოიხადა ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და „მიუნხენს" შემდეგი ტურიდან დაეხმარება. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **დავით სირაძემ** 90 წუთი ითამაშა „მაინცთან" მატჩში, თუმცა გოლის გატანა ვერ შეძლო. „პადერბორნი" ბოლო ადგილზე დარჩა. სირაძის თამაში „შპორტალმა" 4,5 ქულით შეაფასა.

## იშვიათი შანსი ვერ გამოიყენა

ავსტრიაში „შტურმი" სტუმრად „კარნტენს" დაუზავდა (0:0) და მეექვსე ადგილზე ჩამოქვეითდა. **გიორგი შაშიაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, მან 66-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. შვეიცარიაში თავის გამოჩენის იშვიათი შესაძლებლობა მიეცა **სანდრო იაშვილს**, ის „იანგ ბოიზთან" მატჩში სასტარტო შემადგენლობაში იყო. მატჩი 0:0 დასრულდა, ქართველი ფორვარდი კი 71-ე წუთზე **ფაიეთი** შეცვალეს.

## ისტორიული მუჯირი

**დავით მუჯირმა** თავისი სახელი ჩაწერა კლუბის ისტორიაში. „კრილია სოვეტოვმა" 3:1 მოუგო მოსკოვის „ლოკომოტივს" და პრემიერლიგაში დარჩა. დავით მუჯირმა 18 მეტრი დისტანციიდან შეუჩერებლად დაარტყა და შესანიშნავი გოლი გაიტანა. ეს იყო მატჩის 75-ე წუთზე, 83-ე წუთზე კი ქართველი **ტრიფონოვით** შეცვალეს და მაყურებელი მას ფეხზე წამოუდგა. სტუმართა შორის შეუცვლელად ითამაშა **მალხაზ ასათიანმა**.

მოსკოვში „დინამოს" წინააღმდეგ არ გაჰყოლია „რუბინს" ნაავარიები გოლკიპერი **ნუკრი რევიშვილი**. **ლაშა სალუქვაძემ** 90 წუთი ითამაშა, „რუბინმა" კი კარი მშრალად შეინახა და 1:0 მოიგო. **გოგიტა გოგუას** „სატურნი" 1:3 დამარცხდა „ამკართან", ქართველმა ლეგიონერმა 90 წუთი ითამაშა. მუჯირის „კრილია სოვეტოვმა" კი გაინაღდა პრემიერლიგის საგზური, მაგრამ **ალექსანდრე ამისულაშვილის** ნალჩიკის „სპარტაკს" ძალიან უჭირს, ჩრდილოკავკასიელებმა „ლუჩთან" 1:2 წააგეს. ალეკომ ტრადიციულად სრულად ითამაშა. მას მინდვრის მოთამაშისთვის საოცარი სტატისტიკა აქვს, მან ყველა, 29-ვე მატჩში სრულად მიიღო მონაწილეობა ანუ 2610 წუთი გაატარა მინდორზე. მასპინძელთა შორის არ უთამაშია **ლევან გვაზავას**. „სპარტაკს" 30 ქულა აქვს და ბოლოსწინა ადგილს მხოლოდ ქულა აშორებს.

## ეკვატორი გადალახულია

უკრაინაში პირველი წრე დასრულდა - „მეტალისტმა" ისტორიული გამარჯვება იზეიმა კიევის „დინამოზე" უკრაინის დედაქალაქში - 1:0. **ლაშა ჯაკობიამ** სასტარტოში დაიწყო, თუმცა ერთი ძალიან კარგი მომენტი ვერ გამოიყენა. სტუმრებმა კუთხური ჩამოაწოდეს, ბურთი ყველას გადაცდა და შორეულ კუთხესთან მდგომ ჯაკობიას მიუვიდა, მაგრამ რატომღაც ის კარის ხაზის შიგნით აღმოჩნდა და უკან სანამ გამოვიდოდა მომენტი დაიკარგა. მე-40 წუთზე ჯაკობია შეცვალეს, რამაც მისი უკმაყოფილება გამოიწვია.

**ჯაბა კანკავას** „დნიპრო" ლვოვს ესტუმრა და 1:0 აჯობა „კარპატის". ქართველ ნახევარმცველს არ უთამაშია მცირე ტრავმის გამო. მეორე გამარჯვება იზეიმა ამ სეზონში აუტსაიდერმა „ნეფტიანიკმა", რომელმაც 2:0 აჯობა „ვორსკლას". სამწუხაროა, რომ **ვასილ გიგიაძემ** დაკარგა შემადგენლობაში ადგილი, ქართველი ფორვარდი სათადარიგო იყო. „ხარკოვთან" 0:2 დამარცხდა **გიორგი დემეტრაძის** „არსენალი", ქართველმა ფორვარდმა მხოლოდ ბოლო წუთები ითამაშა, თუმცა კი ბევრი იაქტიურა.

ძალიან საინტერესო იყო ცხრილის ქვედა ნახევარში მყოფი გუნდების დაპირისპირება, ლუგანსკში „ზარიამ" 1:0 დაამარცხა „ზაკარპატიე". მასპინძელთა შორის **ლადო ბურდული** აქტიურობდა, თუმცა ისე მოხდა, რომ როგორც კი გამოცვალეს, „ზარიის" გამარჯვების გოლი მაშინვე გაიტანა **დარკო დუნიჩმა**. **გიორგი ციმაკურიძემ** მთელი მატჩი მასპინძელთა სათადარიგოთა სკამზე გაატარა. სტუმართა შორის შეუცვლელი იყო **კახა ალადაშვილი**, ხოლო **ოთარ მარცვალაძე** 65-ე წუთზე შეცვალეს. „დნიპრო" 34 ქულით მეორე ადგილზეა, „მეტალისტი" 30 ქულით მეოთხეზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლაშა სალუქვაძე (მარჯვნივ)

## არსენალი-მანჩესტერ იუნ. 2:2

**არსენალი**: ალმუნია, კლიში, ებუე (74. უოლკოტი), გალასი, სანია, ტურე, ფაბრეგასი, ფლამინი, გლები (80. ჟილბერტო), როსიცკი (80. ედუარდო), ადებაიორი.

**იუნაიტედი**: ვან დერ სარი, ბრაუნი (71. ოში), ევრა, რიო ფერდინანდი, ვიდიჩი, ანდერსონი (76. ქერიკი), გიგზი, ჰარგრივსი, რონალდო, რუნი, ტევესი (76. საა).

**გოლები**: 0:1 გალასი (45-საკ.კარში), 1:1 ფაბრეგასი (48), 1:2 რონალდო (82), 2:2 გალასი (90).

**გაფრთხილება**: 1-2; **დარტყმა**: 17(6)-10(4); **ჯარიმა**: 15-15; **კუთხური**: 3-4; **ბურთის ფლობა**: 51%-49%.

**მაყურებელი**: 60 161

## ასტონ ვილა-დერბი 2:0

**ვილა**: კარსონი, ბუმა, ნაიტი (88. კლოდ დევისი), ლაურსენი, მელბერგი, ბერი, სტილიან პეტროვი, რეო-კოკერი, ეშლი იანგი (69. მელონი), აგბონლაორი, ლუკ მური (77. ბერგერი).

**დერბი**: ბაივოტერი, კევინ დევისი (46. ტილი), გრიფინი, მაკევილი, დარენ მური, ბარნესი, ფეგანი (66. ერნშო), ლიკოკი, ოუკლი, პირსონი, სტივ ჰოვარდი.

**გოლები**: 1:0 ლაურსენი (57), 2:0 იანგი (61),

**გაფრთხილება**: 0-3; **დარტყმა**: 16(7)-8(2); **ჯარიმა**: 7-20; **კუთხური**: 7-4; **ბურთის ფლობა**: 65%-35%.

**მაყურებელი**: 40 938

## ევერტონი-ბირმინგემი 3:1

**ევერტონი**: ტიმ ჰოვარდი, ლესკოტი, ფილ ნევილი, სტაბსი (22. ჟაგიელკა), იობო, არტეტა, კაჰილი, კარსლი, ოსმანი (80. ვოგანი), პიენაარი (85. გრავესენი), იაკუბუ.

**ბირმინგემი**: მაიკ ტეილორი, ჯურუ, კელი, რიჯველი, შმიტცი, დე რიდერი (79. ფორსელი), კაპო, ლარსონი (52. ოკონორი), მუამბა, ნაფტი (71. მაკშეფრი), ჯერომი.

**გოლები**: 1:0 იაკუბუ (10), 1:1 კაპო (79), 2:1 კარსლი (89), 3:1 ვოგანი (90).

**გაფრთხილება**: 0-1; **დარტყმა**: 16(9)-7(6); **ჯარიმა**: 14-22; **კუთხური**: 6-5; **ბურთის ფლობა**: 50%-50%.

**მაყურებელი**: 35 155

## ფულჰემი-რედინგი 3:1

**ფულჰემი**: ნიემი, ეშტონი, აარონ ჰიუზი, ომოზუსი, სტეფანოვიჩი, საიმონ დევისი, სტივ დევისი, დემპსი, დენი მერფი, ბუაზა (60. კუკი), დიომანსი კამარა (67. ჰილი).

**რედინგი**: ჰანემანი, დაბერი, მერტი (87. ლონგი), შორი, სონკო, გუნარსონი, ჰარპერი, ჰანტი, დოილი, კიტსონი, ლიტა (76. კონვეი).

**გოლები**: 1:0 შონ დევისი (17), 1:1 დოილი (54), 2:1 დემპსი (72), 3:1 ჰილი (90).

**გაძევება**: ომოზუსი (90. ფულჰემი)

**გაფრთხილება**: 3-0; **დარტყმა**: 9(7)-15(6); **ჯარიმა**: 11-6; **კუთხური**: 8-9; **ბურთის ფლობა**: 44%-56%.

**მაყურებელი**: 22 086

## მიდლსბრო-ტოტენჰემი 1:1

**მიდლსბრო**: შვარცერი, რიგოტი, ენდრიუ ტეილორი, უიტერი, ლუკ იანგი, კატერმოული, დაუნინგი, ონილი, როშემბაკი (77. ჯორჯ ბოატენგი), ალიადიერი (78. დევიდ ლი), თუნჯაი (72. ჰათჩინსონი).

**ტოტენჰემი**: რობინსონი, შიმბონდა, დოსონი, ქაბული, იან პიო ლი, კევინ პრინს ბოატენგი (63. ზოკორა), ჯენასი, ლენონი, მალბრანკი, დარენ ბენტი (58. ბერბატოვი), დეფო (58. რობი კინი).

**გოლები**: 0:1 დარენ ბენტი (35), 1:1 იანგი (52).

**გაფრთხილება**: 1-0; **დარტყმა**: 5(3)-9(4); **ჯარიმა**: 13-8; **კუთხური**: 6-7; **ბურთის ფლობა**: 48%-52%.

**მაყურებელი**: 25 625

## ნიუკასლი-პორტსმუთი 1:4

**ნიუკასლი**: ჰარპერი, კასაპა (18. როზენალი), ხოსე ენრიკე (57. მარტინსი), სტივ ტეილორი, ბარტონი, ბატი, ფაიე, მილნერი (69. ემრე), ნზოგბია, ოუენი, სმიტი.

**პორტსმუთი**: ჯეიმსი, სოლ კემპბელი, დესტენი, გლენ ჯონსონი, პამარო, შონ დევისი, დიოპი, კრანჩარი, მუნტარი (87. პედრო მენდესი), უტაკა, მვარუვარი (76. კანუ).

**გოლები**: 0:1 პამარო (8), 0:2 მვარუვარი (9), 0:3 უტაკა (11), 1:3 სოლ კემპბელი (16-საკ.კარში), 1:4 კრანჩარი (71).

**გაფრთხილება**: 2-2; **დარტყმა**: 15(7)-11(7); **ჯარიმა**: 15-15; **კუთხური**: 4-5; **ბურთის ფლობა**: 56%-44%.

**მაყურებელი**: 51 490

## ვიგანი-ჩელსი 0:2

**ვიგანი**: კერკლანდი, ბრემბლი, გრანკვისტი, მელხიოტი, შარნერი, მაიკლ ბრაუნი (85. სკოკო), კილბეინი, კუმასი, ლანდზაატი (82. სიბირსკი), ვალენსია, მარკუს ბენტი.

**ჩელსი**: ჩეხი, ალექსი, ბელეტი, ბრიჯი, რიკარდო კარვალიო, ესიენი (76. სიდველი), ლემპარდი, მალუდა, ობი მიკელი, რაიტ-ფილიპსი, დროგბა (75. კალუ).

**გოლები**: 0:1 ლემპარდი (11), 0:2 ბელეტი (18).

**გაფრთხილება**: 2-1; **დარტყმა**: 10(3)-15(7); **ჯარიმა**: 16-9; **კუთხური**: 4-3; **ბურთის ფლობა**: 41%-59%.

**მაყურებელი**: 19 011

## ბლექბერნი-ლივერპული 0:0

**ბლექბერნი**: ფრიდელი, ნელსენი, ოოიერი, სამბა, უორნოკი, ბენტლი, რიჩარდ დანი (56. თუგაი), ემერტონი, პედერსენი, მაკარტი (89. დერბიშირი), სანტა კრუსი.

**ლივერპული**: რეინა, კარაგერი, ფინენი, ჰიიპია, ბენაიუნი (72. კრაუჩი), ჯერარდი, მასკერანო, რიისე, სისოკო, ბაბელი (63. კოუელი), კუიტი.

**გაფრთხილება**: 0-1; **დარტყმა**: 17(7)-11(7); **ჯარიმა**: 7-11; **კუთხური**: 6-3; **ბურთის ფლობა**: 47%-53%.

**მაყურებელი**: 30 033

## ვესტ ჰემი-ბოლტონი 1:1

**ვესტ ჰემი**: გრინი, გებიდონი, მაკარტნი, ნილი, აპსონი, ბოუიერი (85. პანტსილი), ეთერინგტონი, მულინსი (50. სპექტორი), სოლანო, ბოა მორტე, კარლტონ კოული (72. ანრი კამარა).

**ბოლტონი**: იაასკელაინენი, ჰანტი (81. მაკენი), მეიტე (46. მიხალიკი), ობრაიენი, ივან კამპო, რიკარდო გარდნერი, გუტრი, ნოლანი, სპიდი (78. სპიდი), კევინ დევისი, დიუფი.

**გოლები**: 1:0 მაკარტნი (19), 1:1 ნოლანი (90).

**გაფრთხილება**: 2-1; **დარტყმა**: 10(7)-12(6); **ჯარიმა**: 13-13; **კუთხური**: 8-3; **ბურთის ფლობა**: 53%-47%.

**მაყურებელი**: 33 867

**მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 11 | 8 | 3 | 0 | 24-9 | 27 |
| 2. მანჩ. იუნ | 12 | 8 | 3 | 1 | 21-6 | 27 |
| 3. ჩელსი | 12 | 7 | 3 | 2 | 18-8 | 24 |
| 4. პორტსმუთი | 12 | 6 | 4 | 2 | 23-13 | 22 |
| 5. ბლექბერნი | 11 | 6 | 4 | 1 | 15-9 | 22 |
| 6. მანჩ. სიტი | 11 | 7 | 1 | 3 | 15-13 | 22 |
| 7. ლივერპული | 11 | 5 | 6 | 0 | 17-6 | 21 |
| 8. ევერტონი | 12 | 6 | 1 | 5 | 18-14 | 19 |
| 9. ასტონ ვილა | 11 | 5 | 3 | 3 | 16-13 | 18 |
| 10. ნიუკასლი | 11 | 5 | 2 | 4 | 18-17 | 17 |
| 11. ვესტ ჰემი | 11 | 4 | 3 | 4 | 13-10 | 15 |
| 12. რედინგი | 12 | 4 | 1 | 7 | 15-26 | 13 |
| 13. ფულჰემი | 12 | 2 | 6 | 4 | 16-18 | 12 |
| 14. ბირმინგემი | 12 | 3 | 2 | 7 | 12-18 | 11 |
| 15. სანდერლენდი | 11 | 2 | 3 | 6 | 12-20 | 9 |
| 16. მიდლსბრო | 12 | 2 | 3 | 7 | 12-23 | 9 |
| 17. ტოტენჰემი | 12 | 1 | 5 | 6 | 19-24 | 8 |
| 18. ვიგანი | 12 | 2 | 2 | 8 | 10-19 | 8 |
| 19. ბოლტონი | 12 | 1 | 4 | 7 | 11-18 | 7 |
| 20. დერბი | 12 | 1 | 3 | 8 | 5-26 | 6 |

**ბომბარდირები**: 8 - ბენჯანი (პორტსმუთი); 6 - ანელკა (ბოლტონი), კინი (ტოტენჰემი), ფაბრეგასი (არსენალი), კაპო (ბირმინგემი), ადებაიორი (არსენალი); 5 - მაკარტი (ბლექბერნი), ვან პერსი (არსენალი); 4 - ფერნანდო ტორესი (ლივერპული), სანტა კრუსი (ბლექბერნი), აგბონლაჰორი (ასტონ ვილა), ელანო (მანჩესტერ სიტი), დროგბა (ჩელსი), რუნი (მანჩესტერ იუნ), მარტინსი (ნიუკასლი), ლემპარდი (ჩელსი), რონალდო (მანჩესტერ იუნ).

### ჩემპიონატი

XIV ტური

**ბარნსლი-პრესტონი** 1:0

გოლი: 1:0 ფერენცი(42)

**პლიმუტი-უენსლი** 1:2

გოლები: 1:0 ებენქს-ბლეიკი (47-პენ), 1:1 სოჯე (52), 1:2 ო'ბრაიენი (56)

**ქუინზ პარკი-ჰალი** 2:0

გოლები: 1:0 ეფრაიმი (26), 2:0 ლიგერტვუდი (56)

**სკანთორფი-კრ. პალასი** 0:0

**შეფილდი-ბარნლი** 0:0

**საუთჰემპტონი-ჩარლტონი** 0:1

გოლი: 0:1 იველომუ (90)

**სტოკი-ქოვენთრი** 1:3

გოლები: 0:1 მიფსუდი (58), 0:2 ადებოლა (63), 1:2 ლოურენსი (72-პენ), 1:3 მიფსუდი (79)

**უოტფორდი-ვესტ ბრომვიჩი** 0:3

გოლები: 0:1 ი. მილერი (33), 0:2 ფილიპსი (35), 0:3 ალბრეხტსენი (49)

**ვულვზი-ბრისტოლი** 1:1

გოლები: 1:0 ბოტროიდი (2), 1:1 ფონტენი (27)

**კოლჩესტერი-ლესტერი** 0:1

გოლი: 0:1 კ. ჯონი (7)

**ნორვიჩი-იფსვიჩი** 2:2

გოლები: 0:1 ლი (27), 0:2 კუნაგო (41), 1:2 გარვანი (55-საკ. კარში), 2:2 კარეტონი (67)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უოტფორდი | 14 | 10 | 2 | 2 | 24-15 | 32 |
| 2. ბრისტოლი | 14 | 7 | 6 | 1 | 21-13 | 27 |
| 3. ვესტ ბრომვიჩი | 14 | 8 | 2 | 4 | 30-15 | 26 |
| 4. იფსვიჩი | 13 | 6 | 4 | 3 | 24-19 | 22 |
| 5. ჩარლტონი | 14 | 6 | 4 | 4 | 18-15 | 22 |
| 6. ვულვზი | 14 | 6 | 4 | 4 | 17-15 | 22 |
| 7. ქოვენთრი | 14 | 6 | 3 | 5 | 18-19 | 21 |
| 8. პლიმუთი | 14 | 5 | 5 | 4 | 18-17 | 20 |
| 9. სტოკი | 14 | 5 | 5 | 4 | 19-19 | 20 |
| 10. სკანთორფი | 14 | 5 | 5 | 4 | 16-16 | 20 |
| 11. ბარნსლი | 14 | 5 | 5 | 4 | 18-20 | 20 |
| 12. საუთჰემპტონი | 14 | 6 | 1 | 7 | 24-28 | 19 |
| 13. ბარნლი | 13 | 4 | 6 | 3 | 20-19 | 18 |
| 14. ლესტერი | 13 | 3 | 7 | 3 | 13-10 | 16 |
| 15. ჰალი | 14 | 4 | 4 | 6 | 17-17 | 16 |
| 16. კოლჩესტერი | 14 | 3 | 6 | 5 | 24-24 | 15 |
| 17. შეფილდი | 14 | 3 | 6 | 5 | 19-21 | 15 |
| 18. უენსლი | 14 | 5 | 0 | 9 | 16-24 | 15 |
| 19. კარდიფი | 13 | 3 | 5 | 5 | 18-19 | 14 |
| 20. პრესტონი | 14 | 3 | 5 | 6 | 14-16 | 14 |
| 21. ქუინზ პარკი | 13 | 3 | 5 | 5 | 12-21 | 14 |
| 22. ბლეკპული | 13 | 2 | 7 | 4 | 16-19 | 13 |
| 23. კრ. პალასი | 14 | 2 | 6 | 6 | 14-18 | 12 |
| 24. ნორვიჩი | 14 | 2 | 3 | 9 | 9-20 | 9 |

**ბომბარდირები**: 9 - ფილიპსი (ვესტ ბრომვიჩი), ბიტი (შეფილდი); 8 - ჰენდერსონი (უოტფორდი); 7 - გრეი (ბარნლი), მილერი (ვესტ ბრომვიჩი), იტსი (კოლჩესტერი), კინგი (უოტფორდი); 6 - ჰოვარდი (ბარნსლი), პატერსონი (სკანთორფი), ლი (იფსვიჩი), ფულერი (სტოკი), მიფსუდი (ქოვენთრი), ებენქს-ბლეიკი (პლიმუტი).

### I ლიგა

XIV ტური

**სუონსი-ჯილინგემი 1:1; მილუოლი-ჰარტლპული 0:1; ბრაიტონი-ლუტონი 3:1; როვერსი-ბორნმუთი 0:2; კარლაილი-ლიდსი 3:1; ქრიუ-იეოვილი 2:0; ჰადერსფილდი-პორტ ვეილი 3:1; ლეიტონი-ოლდჰემი 1:0; ნორთჰემპტონი-საუთენდი 0:1; ნოტინგემი-ტრანმერი 2:0; სუინდონი-დონკასტერი 1:2; უოლსოლი-ჩელტენემი 2:0.**

### II ლიგა

XIV ტური

**ლინკოლნი-ჩესტერი 0:1; აკრინგტონი-ნოტსი 0:2; ბრედფორდი-ბრენტფორდი 1:2; ბერი-ბარნეტი 3:0; ჩესტერფილდი-მორეკამბი 2:2; ჰერეფორდი-დარლინგტონი 5:1; მენსფილდი-მაკლსფილდი 5:0; როჩდეილი-დაგენჰემი 1:0; როტერჰემი-გრიმსბი 2:1; სტოკპორტი-პიტერბრო 1:2; უიკომბი-მილტონი 1:1; რექსჰემი-შრიუსბერი 0:1.**

### კონფერენსი

XVIII ტური

**უეიმაუთი-ალდერშოტი 0:2; ბარტონი-კიდერმინსტერი 0:2; გრავესენდი-ფორესტ გრინი 0:2; ჰალიფაქსი-ქროული 3:0; ჰისტონი-ალტრინჩემი 1:0; ნორთვიჩი-სტევენეიჯი 0:2; სალისბერი-გრეისი 0:1; სტეფორდი-ექსეტერი 1:5; ტორკი-კემბრიჯი 1:2; უოკინგი-დროილსდენი 1:1; ფარსლი-იორკი 1:4.**



არსენალი-მანჩესტერ იუნაიტედი. გალასის ბოლო წერტილი

ინგლისი. პრემიერლიგა. XII ტური

# არსენალი არაფრის დათმობას არ აპირებს

## ჩელსის ლიდერებისგან სამი ქულადა აშორებს...

"არსენალმა" "მანჩესტერ იუნაიტედს" უჩვენა, რომ საჩემპიონო მარათონში არაფრის დათმობას არ აპირებს. "მეთოფეებმა" "ეშმაკებს" მსაჯისგან დამატებულ დროში გაუთანაბრეს და ერთი ქულა გამოგლიჯეს. გადამწყვეტი გოლი **ვილიამ გალასმა** გაიტანა. თამაშის დასრულებამდე რვა წუთით ადრე **კრისტიანო რონალდომ** სტუმრები წინ გაიყვანა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ჩემპიონები პირველი ადგილზე გადავიდოდნენ, "არსენალის" წაუგებელ 24-მატჩიან სერიას კი წერტილი დაესმებოდა. მაგრამ ლონდონელთა ამ შემადგენლობას წაგების აღიარება არ უყვარს. კაპიტანმა გალასმა თავისივე შეცდომა გამოისყიდა და **ედვინ ვან დერ სარს** შორ კუთხეში გაუტანა. გალასის შეცდომა ის იყო, რომ "იუნაიტედის" პირველი გოლისას, შესვენებამდე ერთი წუთით ადრე, **უეინ რუნის** დარტყმას აეფარა, ბურთი მას მოხვდა და კარში ისე მოკალათდა. გოლი, რა თქმა უნდა, ფრანგი მცველის ანგარიშზე ჩაიწერა.

"არსენალი"-"მანჩესტერი" შაბათს საკმაოდ ადრიანად დაიწყო. 60-ათასიანი სტადიონი პირთამდე შეივსო. "ემირიტსზე" ჰაერიც კი ემოციით იყო დამუხტული. მერვე წუთზე კუთხურის გათამაშებისას რონალდომ ბურთი ძელს გაარტყა. არბიტრმა **ჰოვარდ ვებმა** დაინახა, რომ დარტყმისას პორტუგალიელმა ხელი ჰკრა თავის მეურვე **ტომაშ როსიცკის**. ამიტომ გოლი რომც გასულიყო, არ ჩაითვლებოდა. "არსენალი" ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლა. მასპინძლები მოკლე პასებით და სწრაფ ტემპში თამაშობდნენ, მაგრამ მომენტების შექმნა უჭირდათ. ნახევარი საათი ისე მიიწურა, რომ ვან დერ სარს საქმე არ ჰქონია. მერე კი შთამბეჭდავი სეივი გააკეთა: მარჯვენა ფლანგზე **ანდერსონმა ალექსანდრ გლები** წააქცია. ფაბრეგასმა საჯარიმო მეკარის მოედანში ჩააწოდა, გალასმა თავით ძლიერად დაჰკრა, ჰოლანდიელმა მეკარემ კი ფეხებით აუღო. ტაიმის მიწურულს სტუმრებმა საგოლე შეტევა განახორციელეს. მარჯვენა ფლანგზე **ვეს ბრაუნმა** რონალდოს გაუგორა. კრისტიანომ ახლო ძელთან უეინ რუნი დაინახა. გამჭოლი გადაცემის გაკეთება სცადა, მაგრამ ჩაწოლილ გალასს გაარტყა და საბოლოოდ ფრანგმა მცველმა საკუთარი კარი აილო.

"არსენალმა" მეტოქეს შესვენების შემდეგ სამ წუთში გასცა პასუხი. **ემანუელ ებუემ** მარჯვენა ფლანგიდან მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა. მეორე ემანუელმა, **ადებაიორმა**, ბურთს თავი შეაგება. ვან დერ სარმა ტოგოელის იერიში მოიგერია. **ბაკარი სანიამ** მაშინვე **ფაბრეგასი** მოძებნა. სესკმა კი სეზონის მე-11 გოლი შეაგდო. ცოტა ხანში ფაბრეგასმა ეშმაკურად შეასრულა საჯარიმო. მან **რონალდინიოს** ილეთი გაიმეორა. ცოცხალი კედელი აახტუნა, თვითონ კი დაბალ კუთხეში დასცხო. ვან დერ სარს კარგი პოზიცია ეჭირა. ამიტომ ვითარების განმუხტვა არ გასჭირვებია. რონალდოს გოლი ზემოთ ვახსენეთ. აქ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ კომბინაციაში შეცვლაზე შესული **ლუის საა და პატრის ევრა** მონაწილეობდნენ. ის იყო, ყველამ იფიქრა, რომ "იუნაიტედი" ზედიზედ მეცხრე გამარჯვებას იზეიმებდა. ამ დროს გალასმა ინიციატივა თავის თავზე აიღო და ქომაგებს ენით აუწერელი სიხარული მოუტანა.

"ჩელსიმ" ლიდერებთან სხვაობა სამ ქულამდე დაიყვანა. "არისტოკრატებმა" ერთი კვირის წინანდელი შედეგი ვერ გაიმეორეს. შეგახსენებთ, გასულ უქმეებზე ექსჩემპიონებმა მიწასთან გაასწორეს "მანჩესტერ სიტი" (6:0). "ვიგანს" გაუმართლა. მან მხოლოდ ორი უპასუხო გოლი მიიღო. ბოლო სამ თამაშში ლონდონელებმა 12-ჯერ აიღეს მეტოქეთა კარი. მაგრამ "ვიგანი" მაინც საბრალოა მან ზედიზედ მეექვსე თამაში წააგო. ამ თამაშზე ბევრს არ ვილაპარაკებთ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ძირითადში დაბრუნებულმა **შონ რაიტ-ფილიპსმა** საუცხოოდ იასპარეზა. მან ორივე გოლში შეიტანა წვლილი. პირველ ტაიმში შონი თავისი გუნდის მამოძრავებელი მექანიზმი იყო. მან **ფრენკ ლემპარდს** გოლი ლანგარზე მიართვა. შემდეგ **ჟულიანო ბელეტი** ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა და პირველი ლონდონური გოლი გაატანინა.

**ხუანდე რამოსმა** პრემიერლიგის სადებიუტო მატჩში ერთი ქულა აილო. ესპანელ მწვრთნელს დანარჩენი ორი ქულა "ტოტენჰემის" ყოფილმა მცველმა **ლუკ იანგმა** მოპარა. იანგი "მიდლსბროს" ღირსებას იცავს. 52-ე წუთზე მან ლონდონელებს საპასუხო გოლი გაუტანა. "ტოტენჰემი" **დარენ ბენტის** გოლით იგებდა. ამ უკანასკნელმა 35-ე წუთზე გამოიჩინა თავი. ბენტის ძირითადში გამწესება მოულოდნელი იყო. რამოსმა კიდევ ერთი უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. დარენს თავდასხმაში მეორე უთამაშებელი ფეხბურთელი, ჯერმენ დეფო შეუწყვილა. მამლების ძირითადში პირველად ვიხილეთ გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების შემტევი ნახევარმცველი **კევინ პრინს ბოატენგი**. სენიორ ხუანდემ ძირითადი თავდამსხმელები - **რობი კინი და დიმიტარ ბერბატოვი** მეორე ტაიმში, ანგარიშის გათანაბრების შემდეგ გამოიყვანა. კიდევ ერთი ფორვარდი, **მიდო**, 16-კაციან განაცხადშიც კი ვერ მოხვდა. "მიდლსბრომ" ერთი ქულა დაიმსახურა. **გარეთ საუთგეიტის** გუნდს, შვიდი თამაშია, არ მოუგია. მასპინძლებს წამყვანი მცველი **ჯონათან ვუდგეიტი** ვერ დაეხმარა. მისი ადგილი **კრის რიგოტმა** დაიკავა. საინტერესო დეტალი: ბოლო პრემიერლიგური კლუბი, რომელსაც "ტოტენჰემმა" მოუგო, "მიდლსბროა". ლონდონელებმა ის სექტემბერში, ლიგის თასზე დაამარცხეს. მას მერე დედაქალაქელებს უმაღლესი დივიზიონის კლუბებთან გამარჯვება არ ღირსებიათ. მეორე საინტერესო დეტალი ისაა, რომ რამოსს "მიდლსბრო" 2006 წელს, უეფას თასის ფინალში ჰყავს დამარცხებული. მაშინ მისმა "სევილიამ" ჯერ კიდევ სტივ მაკლარენის გუნდს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა. ის თამაში რივერსაიდელთა დღევანდელი თავკაცის, საუთგეიტისთვის ფეხბურთელის რანგში უკანასკნელი იყო.

სენსაცია დაფიქსირდა ნიუკასლში. ჯორდებმა საწყის 11 წუთში სამი გოლის გაშვება მოასწრეს, საბოლოოდ კი "პორტსმუთთან" 1:4 დამარცხდნენ. **სემ ედერდაისის** საამაყო წაუგებელი საშინაო სერია ნაკუწებად იქცა. გაოგნებულმა მაყურებელმა საყვარელი ფეხბურთელები სტვენით გააცილა...

### მომდევნო ტური

**10 ნოემბერი. სანდერლენდი-ნიუკასლი, ბოლტონი-მიდლსბრო, ჩელსი-ევერტონი, დერბი-ვესტ ჰემი, მანჩესტერ იუნ-ბლექბერნი, რედინგი-არსენალი, ტოტენჰემი-ვიგანი, ლივერპული-ფულჰემი; 11 ნოემბერი. ბირმინგემი-ასტონ ვილა, პორტსმუთი-მანჩესტერ სიტი.**

### ჰოლანდია

X ტური

| 5. მაინცი | 12 | 6 | 3 | 3 | 23-14 | 21 |
| 6. კიოლნი | 12 | 5 | 3 | 4 | 22-19 | 18 |
| 7. ვეენი | 12 | 5 | 4 | 3 | 22-20 | 19 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 12 | 4 | 5 | 3 | 18-17 | 17 |
| 9. ალემანია | 12 | 4 | 4 | 4 | 18-16 | 16 |
| 10. კობლენცი | 12 | 4 | 3 | 5 | 17-23 | 15 |
| 11. ოსნაბრიუკი | 12 | 4 | 3 | 5 | 14-18 | 15 |
| 12. აუე | 12 | 4 | 2 | 6 | 18-20 | 14 |
| 13. სტ. პაული | 12 | 4 | 2 | 6 | 12-18 | 14 |
| 14. ოფენბახი | 12 | 4 | 2 | 6 | 12-21 | 14 |
| 15. კაიზერი | 12 | 2 | 5 | 5 | 9-11 | 11 |
| 16. აუგსბურგი | 12 | 2 | 5 | 5 | 17-22 | 11 |
| 17. კარლ ცაისი | 11 | 1 | 3 | 7 | 15-24 | 6 |
| 18. პადერბორნი | 12 | 0 | 5 | 7 | 6-16 | 5 |

**ბომბარდირები:** 9 - ფრინდი (ბორუსია მ), ნოვაკოვიჩი (კიოლნი); 7 - დი სალვო (მიუნხენი); 6 - გიუნკელი (მაინცი), გიოქთანი (მიუნხენი); 5 - ნიკუ (ვეენი), ბორხა (მაინცი), რაიზინგერი (ფიურტი), კოპადო (ჰოფენჰაიმი), ნოივილი (ბორუსია მ).

## რეგიონალლიგა (ჩრ)

XVI ტური

ბაბელსბერგი-ლიუბეკი 1:0; ბრაუნშვაიგი-ობერჰაუზენი 2:1; ემდენი-ალენი 1:0; ესენი-დინამო (დრ) 1:1; უნიონი-ფერლი 0:0; ვუპერტალი-ჰამბურგი II 0:2; ერფურტი-მაგდებურგი 4:1; ვერდერი II-კოტბუსი II 3:1; ვოლფსბურგი II-ფორტუნა 0:1.

## რეგიონალლიგა (სამ)

XIV ტური

ელვერსბერგი-მიუნხენი 2:0; ინგოლშტადტი-როიტლინგენი 2:0; ზიგენი-ოგერმაიმი 4:2; კასელი-კარლსრუე II 4:0; რეგენსბურგი-აალენი 1:1; პფიულენდორფი-ბურგჰაუზენი 1:1; შტ. კიკერსი-ფრანქფურტი 1:1; ბაიერნი II-ზანდჰაუზენი 3:1; უნტერჰახინგი-შტუტგარტი II 1:1.

გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტური

# აინტრახტის მაინ კამპფი

## აი, როგორ უნდა დაუდგე ბაიერნს: ძლიერი მეკარე, 5 მცველი და 2 საყრდენი!

"ბაიერნი", რომელსაც უამრავი რეკორდის გამო რეკორდმაისტერსაც ვუწოდებთ, შაბათს მორიგ რეკორდთან ახლოს იყო. საკმარისი იყო, მიუნხენელებს "აინტრახტის" კარისკენ 4-ით მეტჯერ დაერტყათ, რომ ბუნდესლიგის ისტორიაში ახალ რეკორდს დაამყარებდნენ. ოღონდ ამაზე ცოტა ქვემოთ. მანამდე კი გეტყვით, რომ ფრანკფურტულ კლუბთან შეხვედრაში, რომელიც მოულოდნელად 0:0 დამთავრდა, მიუნხენის "ალიანს არენაზე" შეკრებილმა ქომაგებმა (სულ 69 000) საფინალო სასტვენის შემდეგ აღარ იცოდნენ, ტაში დაეკრათ თუ დაესტვინათ. ფაქტი ის გახლდათ, რომ "ბაიერნმა" მეტოქე კედელთან მიაყენა და ბევრი ურტყა, მაგრამ მატჩი მაინც 0:0 დასრულდა. ეს კი, ბავარიული გიგანტისთვის ზედიზედ მეორე უგოლო ფრეა (ერთი კვირის წინ დორტმუნდში 0:0 ითამაშეს) და პირველი საშინაო მატჩი მიმდინარე სეზონში, რომელშიც რეკორდმაისტერმა გოლის გატანა ვერ შეძლო.

"აინტრახტს" წინა შეხვედრა "ნიურნბერგთან" 1:4 ჰქონდა წაგებული და შესაბამისად, ფრანკფურტელთა მწვრთნელმა **ფრიდჰელმ ფუნკელმა** ამჯერად სულ სხვა ტაქტიკა აირჩია - ტაქტიკა, რომელსაც დიდი ფილოსოფია არ სჭირდება: 5 მცველი, 2 საყრდენი (**პროისი, ინამოტო**), ერთი ფლეიმეიქერი (**ვაისენბერგერი**) და ორი ფორვარდი. მაგრამ ეს მხოლოდ პირობითად, ისე კი, "აინტრახტის" კარს "ბაიერნთან" თერთმეტივე ფეხბურთელი იცავდა. და რაც მთავარია, ფუნკელის ბიჭები მთელი 90 წუთის განმავლობაში კბილებით იბრძოდნენ და საწადელსაც კიდეც მიაღწიეს - მიუნხენიდან ქულის წაღება პატარა საქმე როდია. "აინტრახტის" წარმატება ორმაგად დასაფასებელია იმის გამო, რომ ამ გუნდს ლიდერები, **კირიაკოსი, ალექს მაიერი** და **ალბერტ შტრაიტი** აკლდნენ.

მატჩის დაწყებიდან საფინალო სასტვენამდე "ბაიერნი" უტევდა, "აინტრახტი" კი თავს იცავდა. მიუნხენელთა მენეჯერი **ული ჰიონესი** ამბობს, ასეთი რამ არასდროს მინახავს, მეტოქემ ძალიან მოსაწყენი ტაქტიკა აირჩიაო. გადახედეთ ციფრებს: კუთხურები: 16-2; ჩაწოდება: 34-3; ბურთის ფლობა: 70%-30%; დარტყმა: 38-5. ბუნდესლიგის ისტორიაში, ერთ შეხვედრაში, ერთი გუნდის მხრიდან უფრო მეტი დარტყმა მხოლოდ ორ მატჩში დაფიქსირდა და აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში ის გუნდი დამარცხდა, რომელმაც მეტოქის მეკარე აანიოკა: 1993 წელს დორტმუნდის "ბორუსიამ" "ლაიპციგს" 41-ჯერ დაურტყა, მაგრამ 0:1 წააგო, 1995 წელს კი, "გლადბახმა" "ზტ. პაულის" 39-ჯერ დაურტყა, მაგრამ 2:4 დამარცხდა. აი, ბავარიელთა მიერ გაცუდებული რეალური მომენტების ნუსხაც: **ტონის** პირველ, 39-ე და 41-ე წუთებზე მეკარე **ნიკოლოვმა** (რომელიც მატჩის გმირი გახდა) აჯობა, 50-ე და 74-ე წუთებზე **კლოზემ** ვერ დაჯაბნა "აინტრახტის" კარის დარაჯი, 42-ე წუთზე კი, **ლუსიოს** თავური დარტყმის შემდეგ, ბურთი კარის ხაზიდან **ოხსმა** გამოიტანა. ამ დროს ტრიბუნაზე **გერდ მიულერი** იჯდა, რომელიც შაბათს 62 წლის გახდა და ნაცრის ბომბარდირმა შესვენებაზე გულიანად გადაიხარხარა, რადგან ადგილობრივმა დიქტორმა მიკროფონში ჩასძახა, გერდ, თუ ასე გაგრძელდა, 65-ე წუთიდან მოედანზე უნდა შეხვიდეო. და კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: მატჩის წინ, ლაზარეთიდან დაბრუნებულმა **ოლივერ კანმა** (ხუთკვირიანი იძულებითი პაუზა ჰქონდა) კაპიტნის სამკლაური, ყველასათვის მოულოდნელად, ლუსიოს გადასცა, რითაც ყველა გააკვირვა. კანს მთელი 90 წუთის განმავლობაში საქმე არ ჰქონია...

"ბაიერნის" მდევარმა "ჰამბურგმა" კი, თავისი თამაში მოიგო (2:1 ჰერტასთან) და რეკორდმაისტერს 2 ქულის დისტანციაზე მიუახლოვდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ "ბაიერნის" ლიდერობა, შესაძლოა, მომდევნო ტურში დასრულდეს, როცა რეკორდმაისტერი "შტუტგარტს" ესტუმრება, "ჰამბურგი" კი კრიზისში მყოფ შალკეს. "ჰამბურგი" "ბაიერნისთვის" უკვე ძალიან საშიშია. თავად განსაჯეთ: **ჰუუბ სტევენსის** გუნდმა ბოლო 11 ოფიციალური მატჩიდან 10 მოიგო! ჰოლანდიელი მწვრთნელი ამბობს, ცაში არ დავფრინავთო, მაგრამ მისი შეგირდები უკვე სხვაგვარად ფიქრობენ და არ მალავენ, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა რეალურია. HSV-ს ამ შეხვედრაში **ვენსან კომპანი** აკლდა, რომელსაც დედა გარდაეცვალა და სამშობლოში გაემგზავრა. სტევენსის თქმით, გუნდმა ეს გამარჯვება კომპანის მიუძღვნა.

მოიგო "ვერდერმაც" და "ბაიერნს" "მუსიკოსებიც" მიუახლოვდნენ. ოღონდ, **თომას შაფის** გუნდს გრანდიოზული ფეხბურთი არ უთამაშია და ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, თუ "ლაციოსთანაც" ასე ითამაშებს, ბრემენული გუნდი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ნამდვილად ვერ გავაო. მაგრამ ალბათ უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ "ვერდერმა" სწორედ "ლაციოსთვის" დაზოგა თავი და მხოლოდ ერთ გოლზე ითამაშა. მიზანს კი მიაღწია - "ჰანზას" კარში გატანილი იმ ერთადერთი გოლის ავტორი **უგო ალმეიდაა**.

"შალკე" საკუთარ თავზე კონტროლს კარგავს. პარასკევს "ხუმარები" კოტბუსში დამარცხდნენ (0:1) და მდგომარეობა ძალიან გაირთულეს. რაც ყველაზე მთავარია, "ენერგიმ" დამსახურებულად მოიგო, "შალკე" კი ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. შესაბამისად, ცუდადაა **მირკო სლომკას** საქმეც. გუნდის პრეზიდენტმა **იოზეფ შნუზენბერგმა** ჯერ კიდევ ოთხშაბათს თქვა, უნდა ვიფიქრო თუ არა მწვრთნელის შეცვლაზე, ეს მომდევნო მატჩებში გამოჩნდებაო. "შალკეს" მომდევნო მეტოქეები არ გაინტერესებთ? "ჩელსი" და "ჰამბურგი"...

უკვე ლიდერებს შორისაა "ჰანოვერი" - წითლებმა "დორტმუნდი" დაამარცხეს (2:1). როგორც ჩანს, ნელ-ნელა აზრზე მოდის ჩემპიონი "შტუტგარტიც" - შვაბებმა ნიურნბერგში **მარიო გომესის** გოლით იმარჯვეს. "ლევერკუზენმა" კი "არმინიას" აყარა შავი დღე (4:0). **სერგეი ბარბარესმა** და **თეოფანის გეკასმა** დუბლები შეასრულეს. გაუგებარია, რა სჭირს "არმინიას", რომელმაც სეზონი მაჟორულ ნოტაზე დაიწყო, მაგრამ მერე ისე აურია, რომ უკვე ძალიან ცუდად აქვს საქმე. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, მანდ ნაღდად მწვრთნელის ამბავიაო და **ერნსტ მიდენდორპს** პოსტიდან გათავისუფლებას უწინასწარმეტყველებენ...

### მომდევნო ტური

9 ნოემბერი. დუისბურგი-ბოხუმი. 10 ნოემბერი. შტუტგარტი-ბაიერნი, შალკე-ჰამბურგი, ვერდერი-კარლსრუე, ბორუსია-აინტრახტი, ჰერტა-ჰანოვერი, ჰანზა-კოტბუსი. 11 ნოემბერი. არმინია-ნიურნბერგი, ვოლფსბურგი-ლევერკუზენი.



გეკასმა და ბარბარესმა დუბლები შეასრულეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| ალტახი-აუსტრია (ვ) | 1:0 |
| ტიროლი-ზალცბურგი | 3:1 |
| რაპიდი-რიდი | 4:0 |
| აუსტრია (ქ)-შტურმი | 0:0 |
| მატერსბურგი-ლინცერი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აუსტრია | 18 | 8 | 7 | 3 | 25-17 | 31 |
| 2. ლინცერი | 18 | 8 | 6 | 4 | 32-24 | 30 |
| 3. მატერსბურგი | 18 | 7 | 8 | 3 | 33-20 | 29 |
| 4. რაპიდი | 18 | 8 | 4 | 6 | 30-24 | 28 |
| 5. ზალცბურგი | 18 | 8 | 4 | 6 | 28-22 | 28 |
| 6. შტურმი | 18 | 6 | 8 | 4 | 32-21 | 26 |
| 7. რიდი | 18 | 8 | 1 | 9 | 26-31 | 25 |
| 8. ალტახი | 18 | 5 | 5 | 8 | 19-27 | 20 |
| 9. აუსტრია (ქ) | 18 | 4 | 4 | 10 | 17-35 | 16 |
| 10. ტიროლი | 18 | 2 | 5 | 11 | 15-36 | 11 |

## II დივიზიონი

XVI ტური

გრატკორნი-ბად ოსი 4:1; კერნტენი-ლუშტენაუ 4:1; ლეობენი-შვანენშტადტი 1:0; ზალცბურგი II-კაპფენბერგი 0:2; აუსტრია (ლ)-შვადორფი 5:1.

## თურქეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| ტრაბზონი-ანკარა | 2:1 |
| ოფთასი-კონია | 0:1 |
| ფენერბაჩე-ბეშიქთაში | 2:1 |
| ბურსა-ანკარაგიუჯუ | 2:1 |
| გენჩლერი-დენიზლი | 1:2 |
| ისთანბული-კაისერი | 1:1 |
| რიზე-მანისა | 1:4 |
| შივასი-ქასიმფაშა | 4:0 |
| გაზიანთეფი-გალათასარაი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 11 | 7 | 4 | 0 | 21-6 | 25 |
| 2. შივასი | 10 | 7 | 1 | 2 | 18-8 | 22 |
| 3. ფენერბაჩე | 11 | 6 | 4 | 1 | 17-10 | 22 |
| 4. ბეშიქთაში | 11 | 6 | 3 | 2 | 13-9 | 21 |
| 5. კაისერი | 11 | 4 | 5 | 2 | 16-12 | 17 |
| 6. ისთანბული | 11 | 5 | 2 | 4 | 15-11 | 17 |
| 7. ტრაბზონი | 10 | 4 | 4 | 2 | 14-8 | 16 |
| 8. დენიზლი | 11 | 4 | 3 | 4 | 16-15 | 15 |
| 9. ანკარაგიუჯუ | 11 | 4 | 3 | 4 | 13-14 | 15 |
| 10. ოფთასი | 11 | 4 | 2 | 5 | 11-11 | 14 |
| 11. გაზიანთეფი | 11 | 4 | 2 | 5 | 14-15 | 14 |
| 12. კონია | 11 | 3 | 4 | 4 | 12-20 | 13 |
| 13. მანისა | 11 | 3 | 3 | 5 | 16-19 | 12 |
| 14. რიზე | 11 | 3 | 1 | 7 | 10-23 | 10 |
| 15. ბურსა | 11 | 2 | 5 | 4 | 11-13 | 11 |
| 16. გენჩლერი | 11 | 2 | 3 | 6 | 12-17 | 9 |
| 17. ანკარა | 11 | 1 | 4 | 6 | 8-14 | 7 |
| 18. ქასიმფაშა | 11 | 2 | 1 | 8 | 7-19 | 7 |

## საბერძნეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| ერგოტელისი-პანიონიოსი | 1:1 |
| ოლიმპიაკოსი-პაოკ | 2:1 |
| აპოლონი-ასტერასი | 2:2 |
| ატრომიტოსი-ოფი | 1:0 |
| აეკ-ირაკლისი | 1:2 |
| ლევადია-პანათინაიკოსი | 0:4 |
| არისი-ვერია | 1:0 |
| ლარისა-ქსანთი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აეკ | 7 | 6 | 0 | 1 | 13-2 | 18 |
| 2. პანათინაიკოს | 7 | 5 | 1 | 1 | 13-1 | 16 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 7 | 4 | 3 | 0 | 17-8 | 15 |
| 4. ატრომიტოსი | 7 | 4 | 1 | 2 | 7-6 | 13 |
| 5. არისი | 6 | 3 | 3 | 0 | 6-2 | 12 |
| 6. პანიონიოსი | 7 | 3 | 2 | 2 | 9-9 | 11 |
| 7. ირაკლისი | 7 | 2 | 3 | 2 | 5-7 | 9 |
| 8. ასტერასი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-5 | 8 |
| 9. ქსანთი | 7 | 2 | 2 | 3 | 5-5 | 8 |
| 10. პაოკ | 7 | 2 | 1 | 4 | 11-11 | 7 |
| 11. ოფი | 7 | 2 | 1 | 4 | 12-17 | 7 |
| 12. ვერია | 7 | 1 | 3 | 3 | 5-8 | 6 |
| 13. ლარისა | 7 | 1 | 3 | 3 | 6-10 | 6 |
| 14. აპოლონი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-13 | 5 |
| 15. ერგოტელის | 7 | 1 | 2 | 4 | 7-14 | 5 |
| 16. ლევადია | 7 | 1 | 1 | 5 | 6-17 | 4 |

## ნორვეგია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| აალესუნდი-რუზენბორგი | 1:2 |
| ლილესტრიომი-სანდეფიორდი | 1:1 |
| ლინი-სტარტი | 4:1 |
| ოდ გრენლანდი-ფრედრიქსტადი | 2:0 |
| სტრიომსგოდსეტი-სტაბეკი | 0:5 |
| ტრომსიო-ბრანი | 3:0 |
| ვიკინგი-ვოლერენგა | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრანი | 26 | 17 | 3 | 6 | 59-39 | 54 |
| 2. სტაბეკი | 26 | 14 | 6 | 6 | 53-35 | 48 |
| 3. ვიკინგი | 26 | 14 | 5 | 7 | 50-40 | 47 |
| 4. ლილესტრიომ | 26 | 12 | 8 | 6 | 47-28 | 44 |
| 5. რუზენბორგი | 26 | 12 | 5 | 9 | 53-39 | 41 |
| 6. ტრომსიო | 26 | 12 | 4 | 10 | 45-44 | 40 |
| 7. ვოლერენგა | 26 | 10 | 6 | 10 | 34-34 | 36 |
| 8. ფრედრიქსტ | 26 | 9 | 9 | 8 | 37-40 | 36 |
| 9. ლინი | 26 | 10 | 4 | 12 | 43-46 | 34 |
| 10. აალესუნდი | 26 | 9 | 3 | 14 | 40-56 | 30 |
| 11. სტრიომსგოდ | 26 | 8 | 6 | 12 | 34-47 | 30 |
| 12. ო-გრენლანდ | 26 | 8 | 3 | 15 | 33-43 | 27 |
| 13. სტარტი | 26 | 6 | 8 | 12 | 34-44 | 26 |
| 14. სანდეფიორდ | 26 | 4 | 4 | 18 | 26-53 | 16 |

## II დივიზიონი

XXX ტური

ჰიონეფოსი-კონგსვინგერი 0:5; ლოვ ჰამი-მიოლდე 0:1; მანდალი-სკეიდი 1:1; მოსი-ტრიომსდალენი 1:1; ნოტოდენი-ჰამარი 0:1; რაუფოსი-ბრინი 1:1; სიოგნდალი-ჰაუგესუნდი 1:2; სპარტა-ბოდო გლიმტი 4:1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

XII ტური

### ოსერი-ლილი 0:1

**ოსერი:** სორენი, ჟორესი (79. მაულიდა), ტრაორე, გრიშტინგი (79. იელენი), ტამაში, პედრეტი, შაფნი, კალენბერგი, ოლიეში, ლეჟონი, ნიკულაე.

**ლილი:** სილვა, ტაფორო (67. ემერსონ კონსეისაო), ბერია, ლიხტშტაინერი (82. დებუში), ფრანკარი, მიჩელ ბასტოსი (90. ლ. ტურე), პლესტანი, ობრანიაკი, დუმონი, კაბეიე, ფოვერგი.

**გოლი:** 0:1 გრიშტინგი (76-საკ. კარში)
**გაფრთხილება:** 2-2
**მაყურებელი:** 8 856

### ნანსი-ბორდო 1:0

**ნანსი:** ბრასილიანო, შრეტიენი, პუიგრენიე, ანდრე ლუიში, ბიანკალანი, ბერენგერი, ბ. გავანონი, კ. მალონგა (89. ბრისონი), ჰაჯი, კიმი (73. ნ'გემო), ფორტუნე (83. კურბელო).

**ბორდო:** რამე, შალმე, სო. დიავარა, პლანუსი, ჟურიეტი, ფერნანდო (79. კავენაგი), ა. დიარა, ალონსო (65. ობერტანი), იუსი, შამახი, ბელიონი.

**გოლი:** 1:0 კ. მალონგა (28)
**გაფრთხილება:** 2-2
**მაყურებელი:** 15 000

### ლიონი-ვალანსი 2:0

**ლიონი:** ვერკუტრი, კლერი, სკილაჩი (59. ფაბიო სანტოსი), კ. ანდერსონი, გროსო (81. რევეირერი), ბოდმერი, კალსტრიომი, ჟუნინიო, ბენზემა (62. გოვუ), ა. კეიტა, ფრედი.

**ვალანსი:** პენეტო, მ. ტრაორე, უადუ, სომეი, დუკურტუა, სანჩესი, საესი, მატერი (81. ხარუბი), რუდე (71. ბეზაზი), პუჟოლი (60. სავიდანი), სებო.

**გოლები:** 1:0 ჟუნინიო (40), 2:0 გოვუ (87)
**გაფრთხილება:** 2-0
**მაყურებელი:** 38 651

### მარსელი-ლორიანი 0:0

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი, რ. ზუბარი, ჟივე, ტაივო (46. ზენდენი), კანა, ბე. შეირუ, კ. ზიანი (46. ვალბუენა), ნასრი, ნიანგი (74. აიევი), ჯ. სისე.

**ლორიანი:** ოდარი, ჟალე, მარშალი, სიანი, მორელი, ევოლო, ოტკოერი, აბრიელი, ლეპენი (84. მანსური), საიფი, ბურჰანი (70. მარენი).

**გაფრთხილება:** 2-1
**მაყურებელი:** 43 000

### ნიცა-სოშო 0:0

**ნიცა:** ლეტიზი, ონონი, კანტე, აპამი, როოლი, ეშუაფნი, ბალმონი, დიაკიტე, ედერსონი, კონე, ბამოგო (70. ჟობი).

**სოშო:** რიშერი, პიშო, იოსე, აფოლაბი, დრამე, პიტო, ნ'დავი, ს. დალმა (57. მატისი), ისაბეი, ბირსა (50. კერსია), ერდინგი (82. დაგანო).

**გაძევება:** დიაკიტე (76. ნიცა)
**გაფრთხილება:** 3-4
**მაყურებელი:** 10 221

### რენი-მონაკო 0:1

**რენი:** ლუზი, ფანი, მენსა, ჰანსონი, ედმანი (72. ს. მარვო), ე. დიდო, ბრ. შეირუ, ჟ. ლერუა, სორლენი, პაჟისი (86. ეკოკო), ბრიანი.

**მონაკო:** რომა, ადრიანო, მოდესტო, მონსორო, მურატორი, დ. პერესი, ბერნარდი, ლეკო, ნენე, გაკპე (85. მერიემი), პიკიონი (74. კოლერი).

**გოლი:** 0:1 პიკიონი (46)
**გაფრთხილება:** 1-5
**მაყურებელი:** 27 754

### სტრასბური-პსჟ 1:2

**სტრასბური:** კასარი, ჟელეში, ბელედი, პესლეი, დოს სანტოსი, როდრიგო, კოადი, იოჰანსენი, გამეირო (62. ), მულუნგი (80. ა. სანტოსი), რენტერია.

**პსჟ:** ლანდრო, სეარა, ზ. კამარა, იეპესი, არმანი, ჟ. კლემანი, ნგოი, არნო (89. ნ'გოგი), როტენი, დიანე (90+2. სანხარე), ლუინდულა (83. დიგარი).

**გოლები:** 0:1 როდრიგო (7-საკ. კარში), 0:2 არნო (19), 1:2 რენტერია (50)
**გაფრთხილება:** 2-1
**მაყურებელი:** 25 784

### კაენი-ლე მანი 3:2

**კაენი:** პლანტე, ენგბარტი, სეობი, სორბონი, დერუანი (85. ფლორენტენი), ელუჩანსი, გომისი, ლეკა, ნივე, კომპანი (79. ჟემაა), გუფრანი (85. გრანდენი).

**ლე მანი:** პელე, ბასა, კალვე, ი. კამარა, სედრანი, სესენონი (69. დუიარი), რომარიკი (69. იებდა), ჟერვინიო (83. მაცუი), კუტადორი, დე მელო, ლე ტალეკი.

**გოლები:** 1:0 გუფრანი (32), 1:1 ბასა (47), 2:1 ელუჩანსი (57), 3:1 გუფრანი (65), 3:2 დე მელო (72)
**გაფრთხილება:** 2-2
**მაყურებელი:** 19 200

### ტულუზა-მეცი 0:0

**ტულუზა:** დუშე, სეტო (72. არიბაჟე), კონგრე, ებონდო, ილუნგა, დიოზი, ემანა, პაულო სეზარი, მანსარე (58. ბერგუნუ), ფაბინიო (76. გინიაკი), ელმანდერი.

**მეცი:** მარიშე, ბასონგი, ბონგი, დიოპი, გეიე, ბელსონი (65. აგუაზი), ბესა, ფრანსუა, ჟიგაქსი, პიანიჩი, ეფა ოვონა (81. პ. სისე).

**გაფრთხილება:** 2-3
**მაყურებელი:** 18 000

### ლანსი-სტ. ეტიენი 3:2

**ლანსი:** რუნიე, ობეი, ბიშევაცი, კულიბალი, დემონი, ბუკარი (34. აკალე), კოვაჩევიჩი, ლაკური, საბლე (46. ლორენტი), დინდანე, მონტერუბიო (57. პიერონი).

**სტ. ეტიენი:** ჟანო, დაბო, ტავლარიდისი, ბეიალ სალი, დერნისი (87. დუალა), ლანდრენი, პერენი, ტიენე, ფეინდუნო (77. ნილსონი), გილიოტი (59. ნივალდო), ილანი.

**გოლები:** 0:1 გილიოტი (16), 0:2 ლანდრენი (21), 1:2 კულიბალი (62), 2:2 დემონი (64), 3:2 დინდანე (84)
**გაფრთხილება:** 1-3
**მაყურებელი:** 40 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 13 | 10 | 1 | 2 | 29-12 | 31 |
| 2. ნანსი | 12 | 8 | 3 | 1 | 20-7 | 27 |
| 3. რენი | 13 | 7 | 3 | 3 | 17-10 | 24 |
| 4. ბორდო | 13 | 6 | 4 | 3 | 16-12 | 22 |
| 5. ლე მანი | 13 | 6 | 2 | 5 | 18-18 | 20 |
| 6. სტრასბური | 13 | 5 | 4 | 4 | 15-10 | 19 |
| 7. ნიცა | 13 | 5 | 4 | 4 | 13-10 | 19 |
| 8. სტ. ეტიენი | 13 | 5 | 3 | 5 | 14-12 | 18 |
| 9. ვალანსი | 13 | 5 | 3 | 5 | 14-16 | 18 |
| 10. მონაკო | 13 | 5 | 2 | 6 | 16-15 | 17 |
| 11. ლილი | 13 | 3 | 7 | 3 | 13-13 | 16 |
| 12. ტულუზა | 12 | 4 | 4 | 4 | 12-14 | 16 |
| 13. ლორიანი | 13 | 3 | 6 | 4 | 13-16 | 15 |
| 14. პსჟ | 13 | 3 | 6 | 4 | 12-15 | 15 |
| 15. კაენი | 12 | 4 | 3 | 5 | 11-14 | 15 |
| 16. ოსერი | 13 | 4 | 1 | 8 | 11-21 | 13 |
| 17. ლანსი | 12 | 3 | 3 | 6 | 9-13 | 12 |
| 18. სოშო | 13 | 2 | 6 | 5 | 11-17 | 12 |
| 19. მარსელი | 13 | 2 | 5 | 6 | 9-15 | 11 |
| 20. მეცი | 13 | 1 | 4 | 8 | 6-19 | 7 |

**ბომბარდირები:** 11 - ბენზემა (ლიონი); 8 - ბელიონი (ბორდო); 7 - დე მელო (ლე მანი); 6 - საიფი (ლორანი), კონე (ნიცა), კიმი (ნანსი); 5 - ოდელი (ვალანსი), ნიკულაე (ოსერი), პიკიონი (მონაკო), რენტერია (სტრასბური).

### II დივიზიონი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ბრესტი-სედანი | 1:1 |
| შატორუ-ანჟერსი | 2:2 |
| გრენობლი-დიჟონი | 2:0 |
| გენიონი-ტრუა | 1:1 |
| ლიბურნი-ბულონი | 2:2 |
| რეიმსი-ამიენი | 0:0 |
| ნანტი-აიაჩო | 2:1 |
| ბასტია-მონპელიე | 1:1 |
| ჰავრი-გინგამი | 2:1 |
| კლერმონი-ნიორი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნანტი | 14 | 10 | 3 | 1 | 26-8 | 33 |
| 2. ჰავრი | 14 | 9 | 4 | 1 | 27-12 | 31 |
| 3. გრენობლი | 14 | 7 | 5 | 2 | 18-11 | 26 |
| 4. ბასტია | 14 | 7 | 3 | 4 | 21-15 | 24 |
| 5. კლერმონი | 14 | 5 | 7 | 2 | 19-14 | 22 |
| 6. ტრუა | 14 | 5 | 7 | 2 | 19-15 | 22 |
| 7. მონპელიე | 13 | 5 | 4 | 4 | 17-13 | 19 |
| 8. ანჟერსი | 14 | 5 | 4 | 5 | 15-16 | 19 |
| 9. ბრესტი | 14 | 5 | 4 | 5 | 13-15 | 19 |
| 10. შატორუ | 14 | 4 | 6 | 4 | 16-16 | 18 |
| 11. დიჟონი | 14 | 4 | 6 | 4 | 12-17 | 18 |
| 12. სედანი | 13 | 4 | 5 | 4 | 15-14 | 17 |
| 13. აიაჩო | 14 | 4 | 5 | 5 | 13-16 | 17 |
| 14. რეიმსი | 14 | 5 | 2 | 7 | 14-21 | 17 |
| 15. ნიორი | 14 | 4 | 2 | 8 | 10-14 | 14 |
| 16. ბულონი | 14 | 3 | 5 | 6 | 14-23 | 14 |
| 17. გინგამი | 14 | 3 | 4 | 7 | 13-17 | 13 |
| 18. ამიენი | 14 | 3 | 4 | 7 | 11-17 | 13 |
| 19. გენიონი | 14 | 2 | 5 | 7 | 16-21 | 11 |
| 20. ლიბურნი | 14 | 1 | 3 | 10 | 16-30 | 6 |

## ირლანდია

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-ლონგფორდი | 0:0 |
| დერი-შემროკი | 1:1 |
| დროგედა-ბრეი | 1:1 |
| დუბლინი-სტ. პატსი | 0:3 |
| უოტერფორდი-გალვეი | 0:0 |
| სლიგო-კორკი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დროგედა | 32 | 19 | 10 | 3 | 48-24 | 67 |
| 2. სტ. პატსი | 32 | 18 | 6 | 8 | 54-29 | 60 |
| 3. ბოჰემიანსი | 31 | 15 | 10 | 6 | 34-15 | 55 |
| 4. კორკი | 32 | 15 | 10 | 7 | 44-31 | 55 |
| 5. შემროკი | 31 | 13 | 8 | 10 | 34-26 | 47 |
| 6. სლიგო | 32 | 12 | 5 | 15 | 33-43 | 41 |
| 7. დერი | 32 | 8 | 13 | 11 | 29-28 | 37 |
| 8. ლონგფორდი | 32 | 8 | 8 | 16 | 31-48 | 32 |
| 9. გალვეი | 32 | 6 | 14 | 12 | 26-34 | 32 |
| 10. დუბლინი | 32 | 7 | 10 | 15 | 30-42 | 31 |
| 11. ბრეი | 32 | 7 | 10 | 15 | 28-47 | 31 |
| 12. უოტერფორდ | 32 | 7 | 8 | 17 | 23-47 | 29 |

## უნგრეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ვაშაში-ჰონვედი | 0:2 |
| დიორი-უიპეშტი | 4:2 |
| ნირეგიჰაზა-კაპოშვარი | 0:2 |
| პაკში-დიოშდიორი | 2:2 |
| რეაკ-ზალაეგერშეგი | 1:2 |
| ტატაბანია-მტკ | 1:3 |
| სოპრონი-შიოფოკი | 0:0 |
| ფეჰერვარი-დებრეცენი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰონვედი | 13 | 9 | 2 | 2 | 28-14 | 29 |
| 2. მტკ | 13 | 8 | 4 | 1 | 30-12 | 28 |
| 3. დებრეცენი | 12 | 8 | 2 | 2 | 30-14 | 26 |
| 4. უიპეშტი | 13 | 7 | 4 | 2 | 27-15 | 25 |
| 5. კაპოშვარი | 13 | 6 | 4 | 3 | 17-17 | 22 |
| 6. ზალაეგერშეგ | 13 | 6 | 3 | 4 | 26-20 | 21 |
| 7. დიორი | 13 | 5 | 6 | 2 | 22-17 | 21 |
| 8. ნირეგიჰაზა | 13 | 5 | 3 | 5 | 10-13 | 18 |
| 9. ვიდეოტონი | 12 | 5 | 1 | 6 | 22-20 | 16 |
| 10. რეაკ | 13 | 4 | 1 | 8 | 12-21 | 13 |
| 11. ვაშაში | 13 | 3 | 4 | 6 | 14-22 | 13 |
| 12. დიოშდიორი | 13 | 2 | 7 | 4 | 14-19 | 13 |
| 13. პაკში | 13 | 3 | 3 | 7 | 21-29 | 12 |
| 14. შიოფოკი | 13 | 2 | 5 | 6 | 14-18 | 11 |
| 15. სოპრონი | 13 | 2 | 5 | 6 | 9-19 | 11 |
| 16. ტატაბანია | 13 | 0 | 2 | 11 | 13-39 | 2 |

## ხორვატია

XV ტური

| | |
|---|---|
| სიბალია-დინამო | 1:2 |
| მედიმურიე-რიეკა | 0:1 |
| ზაგრები-ვარტექსი | 0:0 |
| ინტერი-ზადარი | 2:1 |
| სლავენი-შიბენიკი | 1:0 |
| ოსიეკი-ჰაიდუკი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 15 | 14 | 0 | 1 | 46-12 | 42 |
| 2. რიეკა | 15 | 9 | 3 | 3 | 26-14 | 30 |
| 3. ჰაიდუკი | 15 | 7 | 5 | 3 | 25-16 | 26 |
| 4. სლავენი | 15 | 8 | 2 | 5 | 24-15 | 26 |
| 5. ზადარი | 15 | 6 | 3 | 6 | 25-24 | 21 |
| 6. სიბალია | 15 | 5 | 4 | 6 | 19-20 | 19 |
| 7. ოსიეკი | 15 | 5 | 3 | 7 | 16-20 | 18 |
| 8. ზაგრები | 15 | 4 | 4 | 7 | 16-18 | 16 |
| 9. შიბენიკი | 15 | 3 | 7 | 5 | 19-28 | 16 |
| 10. ინკერი | 15 | 5 | 1 | 9 | 13-31 | 16 |
| 11. ვარტექსი | 15 | 4 | 1 | 10 | 17-31 | 13 |
| 12. მედიმურიე | 15 | 2 | 3 | 10 | 14-31 | 9 |

## სლოვენია

XVII ტური

| | |
|---|---|
| კოპერი-გორიცა | 1:0 |
| მარიბორი-ინტერბლოკი | 0:1 |
| დომჟალე-პუბლიკუმი | 2:1 |
| პრიმორიე-ნაფტა | 1:2 |
| ლივარი-დრავა | 4:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დომჟალე | 17 | 13 | 2 | 2 | 39-13 | 41 |
| 2. კოპერი | 17 | 8 | 6 | 3 | 31-20 | 30 |
| 3. გორიცა | 17 | 8 | 4 | 5 | 23-19 | 28 |
| 4. პუბლიკუმი | 17 | 7 | 3 | 7 | 23-18 | 24 |
| 5. ინტერბლოკი | 17 | 7 | 3 | 7 | 23-20 | 24 |
| 6. მარიბორი | 17 | 5 | 5 | 7 | 26-26 | 20 |
| 7. ნაფტა | 17 | 5 | 8 | 4 | 24-31 | 23 |
| 8. პრიმორიე | 17 | 5 | 3 | 9 | 23-22 | 18 |
| 9. დრავა | 17 | 5 | 3 | 9 | 21-37 | 18 |
| 10. ლივარი | 17 | 3 | 1 | 13 | 20-47 | 10 |

## აშშ

ფლეი ოფი

| | |
|---|---|
| ჰიუსტონი-დალასი | 4:1 დ.დ. |
| ნიუ ინგლენდი-ნიუ იორკი | 1:0 |
| ჩივასი-კანზას სიტი | 0:0 |

## სლოვაკეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| შენეცი-ტრენჩინი | 3:0 |
| ბისტრიცა-ტრნავა | 0:0 |
| კოშიცე-მორავცე | 3:0 |
| ნიტრა-დუბნიცა | 1:1 |
| რუჟომბეროკი-ჟილინა | 1:2 |
| სლოვანი-არტმედია | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჟილინა | 15 | 11 | 2 | 2 | 36-18 | 35 |
| 2. არტმედია | 14 | 10 | 1 | 3 | 37-17 | 31 |
| 3. ნიტრა | 15 | 9 | 2 | 4 | 21-10 | 29 |
| 4. კოშიცე | 15 | 8 | 4 | 3 | 23-13 | 28 |
| 5. რუჟომბეროკ | 15 | 7 | 4 | 4 | 24-21 | 25 |
| 6. ტრნავა | 15 | 6 | 5 | 4 | 26-19 | 23 |
| 7. დუბნიცა | 15 | 3 | 7 | 5 | 17-23 | 16 |
| 8. სლოვანი | 14 | 4 | 3 | 7 | 18-21 | 15 |
| 9. ბისტრიცა | 15 | 3 | 5 | 7 | 17-21 | 14 |
| 10. მორავცე | 15 | 3 | 3 | 9 | 13-34 | 12 |
| 11. ტრენჩინი | 15 | 2 | 3 | 10 | 17-40 | 9 |
| 12. შენეცი | 15 | 1 | 5 | 9 | 13-25 | 8 |

## არგენტინა

XV ტური

| | |
|---|---|
| არსენალი-როსარიო | 1:0 |
| სან მარტინი-ბანფილდი | 0:1 |
| ხიმნასია (ხ)-ოლიმპო | 0:3 |
| რასინგი-ბოკა | 0:3 |
| ნიუელსი-კოლონი | 1:1 |
| ესტუდიანტესი-ხიმნასია (ლ) | 1:0 |
| სან ლორენსო-ურაკანი | 1:1 |
| რივერი-ინდეპენდიენტე | 1:1 |
| ლანუსი-ტიგრე | გვ. დასრულდა |
| ველესი-არგ. ხუნიორსი | დღეს |

## მექსიკა

XVI ტური

| | |
|---|---|
| ხაგუარესი-პაჩუკა | 0:2 |
| მონტერეი-ატლანტე | 1:1 |
| ტეკოსი-ტოლუკა | 2:3 |
| მორელია-კრუს ასული | 2:1 |
| ატლასი-სან ლუისი | 1:1 |
| პუმასი-ვერაკრუსი | 8:0 |
| ამერიკა-ნეკაქსა | გვ. დასრულდა |
| ს. ლაგუნა-ტიგრესი | გვ. დასრულდა |
| პუებლა-გვადალახარა | გვ. დასრულდა |

## სერბეთი

XII ტური

| | |
|---|---|
| ჩუკარიჩკი-ცრვენა ზვეზდა | 0:1 |
| ბანატი-ბორაცი | 2:1 |
| მლადოსტი-სმედერევო | 3:2 |
| ნაპრედაკი-ჰაიდუკი | 1:0 |
| ოფკ-ბეჟანია | 1:0 |
| პარტიზანი-ვოივოდინა | 3:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პარტიზანი | 12 | 8 | 4 | 0 | 26-11 | 28 |
| 2. ვოივოდინა | 12 | 6 | 5 | 1 | 20-13 | 23 |
| 3. ცრ. ზვეზდა | 11 | 5 | 6 | 0 | 13-5 | 21 |
| 4. ოფკ | 12 | 6 | 3 | 3 | 16-11 | 21 |
| 5. ბანატი | 12 | 4 | 4 | 4 | 14-15 | 16 |
| 6. ბორაცი | 12 | 4 | 4 | 4 | 10-11 | 16 |
| 7. მლადოსტი | 12 | 3 | 6 | 3 | 10-13 | 15 |
| 8. ჩუკარიჩკი | 12 | 3 | 5 | 4 | 8-11 | 14 |
| 9. ნაპრედაკი | 12 | 3 | 3 | 6 | 8-13 | 12 |
| 10. სმედერევო | 12 | 3 | 2 | 7 | 10-16 | 11 |
| 11. ჰაიდუკი | 11 | 2 | 3 | 6 | 7-12 | 9 |
| 12. ბეჟანია | 12 | 1 | 1 | 10 | 7-18 | 4 |

## ბრაზილია

XXXV ტური

| | |
|---|---|
| ფლუმინენსე-ნაუტიკო | 2:1 |
| პარანა-გოიაში | 1:0 |
| გრემიო-ფიგეირენსე | 1:2 |
| კრუზეირო-ფლამენგო | 3:1 |
| სანტოსი-ატ. მინეირო | 2:2 |
| კორინთიანსი-ატ.პარანაენსე | 2:2 |
| ამერიკა-ბოტაფოგო | 1:1 |
| რესიფე-პალმეირასი | 3:1 |
| ვასკო-ინტერი | 1:2 |
| ჟუვენტუდე-ს. პაულუ | გადაიდო |

## ჩილე

XVII ტური

| | |
|---|---|
| უნ. ჩილე-უნ. ესპანიოლა | 3:2 |
| პალესტინო-ევერტონი | 1:0 |
| კობრელოა-უნ. კონსეპსიონი | 0:0 |
| დ. კონსეპსიონი-ნებლენსე | 3:1 |
| უაჩიპატო-ო'ჰიგინსი | 0:0 |
| ლა სერენა-ლოტა | 0:2 |
| უონდერერსი-კობრესალი | 1:1 |
| უნ. კატოლიკა-კოლო კოლო | 0:1 |
| ანტოფაგასტა-პ. მონტი | 1:1 |
| აუდაქსი-მელიპილა | გვ. დასრულდა |

ვარსკვლავი

# ბექჰემი ისევ ნაკრებში

## საქველმოქმედო მატჩი ფკ ჰოლივუდის მონაწილეობით...

**დევიდ ბექჰემი** ინგლისის ნაკრებში ბრუნდება. დღე-დღეზე **სტივ მაკლარენი** დასკვნითი საკვალიფიკაციო მატჩისათვის შემადგენლობას დაასახელებს. "ლოს ანჯელეს გალაქსის" ვარსკვლავი ევროპაში დაბრუნდება, რათა გუნდს ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვებაში დაეხმაროს. ბრიტანელების ფინალურ სტადიაზე თამაში მხოლოდ მათზე აღარ არის დამოკიდებული. თუ რუსეთი დარჩენილ ორ მატჩში ექვს ქულას მოიპოვებს, ინგლისი შინ დარჩება. მაგრამ არსებობს შანსი და ამ შანსს გამოყენება უნდა. მაკლარენს ბექჰემისა და ილბლის იმედი აქვს. ბოლო მატჩში ინგლისი ხორვატიას უმასპინძლებს. იქამდე ოთხი დღით ადრე კი ავსტრიას ამხანაგურად შეხვდება. ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩენა მაკლარენის ავტომატურად დათხოვნას მოასწავებს. მიმომხილველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ საფეხბურთო ასოციაციას ახალი მწვრთნელის მოძებნა მოუწევს, მაგრამ ბექჰემი დამრიგებელს მხარდაჭერას უცხადებს. მისი აზრით, მისტერ სტივი სამუშაოზე კიდევ ორი წელი უნდა დარჩეს. დევიდის გარდა, მაკლარენს მხარდაჭერა გამოაცხადეს **ტერი ვენეიბლზმა** და პრემიერლიგის თავმჯდომარე **სერ დეივ რიჩარდსმა**.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია ბექჰემის შესახებ. დევიდმა და მისმა თანაგუნდელებმა, **ლენდონ დონოვანმა** და **კობი ჯოუნსმა** გადაწყვიტეს, კალიფორნიის ხანძრისას დაზარალებულთა დასახმარებლად საქველმოქმედო მატჩი გამართონ. ორგანიზატორებს ჰოლივუდის ვარსკვლავების მიწვევა სურთ. ხსენებულ შეხვედრაში "გალაქსისა" და "ფკ ჰოლივუდს" შეეჯიბრება. "ფკ ჰოლივუდი" მიუნხენის "ბაიერნის" მეტსახელია. ამჯერად ამ სახელწოდების გუნდში ამერიკული კინოინდუსტრიის ნამდვილი ვარსკვლავები ითამაშებენ. მათი ვინაობა მოგვიანებით გაირკვევა. თამაშში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს ამერიკული ფეხბურთის ვეტერანებმა - **ალექსი ლალასმა, ჯო-მაქს მურმა** და **ერიკ ვინალდამ**. ბილეთი 20 დოლარი ეღირება. საგანგებოდ ამ ღონისძიებისათვის სტადიონის სიახლოვეს მანქანების გაჩერება უფასო იქნება.

უეფა. ახალი ინიციატივა

# პლატინი: ხუთი მსაჯი!

უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** იმედს არ კარგავს, რომ უახლოეს მომავალში საფეხბურთო მატჩს ხუთი მსაჯი მოემსახურება. პლატინიმ ეს იდეა ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებამდე წამოაყენა. ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ მას პროექტის განხორციელების საშუალება მიეცა, მაგრამ საამისოდ მხარდამჭერთა მობილიზაციაა საჭირო. პლატინის აზრით, ხუთი მსაჯი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ალტერნატიული ვარიანტია. ბევრისათვის გაუგებარი მიზეზების გამო ფეხბურთის ბოსები ჯიუტად უარს აცხადებენ ვიდეორეფერისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებაზე, რათა საკამათო ეპიზოდები სამართლიანად გადაწყვიტონ. უეფას პრეზიდენტის აზრით, ფეხბურთმა ადამიანური სახე (!) უნდა შეინარჩუნოს. ამიტომ ის, რისთვისაც ტექნოლოგიების გამოყენებაა საჭირო, შეიძლება, ადამიანის ხელით გაკეთდეს, თუკი დღეს არსებულ სამ მსაჯს კიდევ ორი დაემატება. პლატინის იდეის თანახმად, დამატებულ ორ თანამსაჯს საჯარიმო მოედნების გაკონტროლება დაევალება. მათ ბევრი სირბილი არ მოუწევთ. ამიტომ ამ ფუნქციის შესრულება ვეტერან არბიტრებსაც შეუძლიათ, მათ, ვინც 45 წელს გადააბიჯა და ასაკობრივი ცენზის გამო დიდ ფეხბურთთან მოუხდა გამოთხოვება.

აი, პლატინის კომენტარი: *"ფეხბურთის საერთაშორისო საბჭო ვიდეოს გამოყენების წინააღმდეგია. მეც მათ აზრს ვიზიარებ. სამი მსაჯის სისტემა მოძველდა. ვალდებულნი ვართ, მოვსინჯოთ ახალი საშუალებები, რათა შეცდომების რიცხვი მინიმუმამდე დავიყვანოთ."* პლატინის იმედი აქვს, რომ ხუთ მსაჯს ერთ-ერთ უახლოეს ახალგაზრდულ ტურნირში მოსინჯავს. სიახლეს არ გამოცდიან წლევანდელი საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში. ამ თამაშში სხვა ნოვაცია უნდა მოისინჯოს. საქმე ეხება ეგრეთ წოდებულ "ინტელიგენტ ბურთს" - ბურთს, რომელსაც მიკროჩიპი აქვს დამაგრებული. ამ ჩიპმა კი უნდა დააფიქსიროს, გადაკვეთა თუ არა მან კარის ხაზი.

## რეჰაგელი გაისად გადაწყვეტს

**ოტო რეჰაგელი** პენსიაში გასვლას არ ჩქარობს. საბერძნეთის ნაკრების თავკაცს კონტრაქტი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ეწურება. ბერძნებს მასთან თანამშრომლობის გაგრძელება სურთ. გერმანელი სპეციალისტი კი ამბობს, გადაწყვეტილებას მხოლოდ კონტინენტის პირველობის შემდეგ მივიღებო. რეჰაგელი 69 წლისაა. მიმომხილველთა აზრით, საბერძნეთის ეროვნული გუნდი მისი უკანასკნელი სამუშაოა. გადადგომის შემდეგ ის სახლში წავა, თუმცა უცნობია, როდის მოხდება ეს. მეფე ოტო ენერგიის ნაკლებობას არ უჩივის. ის მთლიანად თავის საქმეზეა კონცენტრირებული. ამიტომ პენსიასა და დასვენებაზე ფიქრის დრო არ აქვს. რეჰაგელი არ მალავს, რომ ალტერნატიული წინადადებებითაც მიმართავენ: *"მართალია, საკმაოდ ბებერი ვარ, მაგრამ როგორც ხედავთ, ვიღაცას ჯერ კიდევ ვუნდივარ. მათ აინტერესებთ, რამდენ ხანს ვაპირებ საბერძნეთში დარჩენას. მაგრამ ამ თემაზე საუბარი ჯერ არ მსურს. ყველაფერს თავის დროზე შეიტყობთ."*

რეჰაგელის აქტივშია გერმანიის ჩემპიონის სამი ტიტული. აგრეთვე გერმანიის სამი თასი და თასების მფლობელთა თასი, რომელიც მან 1992 წელს "ვერდერთან" ერთად მოიპოვა. მეფე ოტო ამბობს, რომ არ ნანობს გერმანიის ნაკრებზე უარის თქმას. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, რომელიც რეჰაგელისა და მის მიერ გაწვრთნილი საბერძნეთის სენსაციური გამარჯვებით დასრულდა, გერმანიის საფეხბურთო კავშირმა მას **რუდი ფიოლერის** ადგილზე, ბუნდესგუნდში მუშაობა შესთავაზა. რეჰაგელმა ნდობისათვის ყველას მადლობა გადაუხადა, მაგრამ საბერძნეთში დარჩენა გადაწყვიტა. გერმანელთა ეროვნულ გუნდში კი **იურგენ კლინსმანი** დანიშნეს.

## ჟილბერტო კონფლიქტს უარყოფს

"არსენალის" ნახევარმცველი **ჟილბერტო სილვა** უარყოფს ინფორმაციას, თითქოს **არსენ ვენგერთან** კონფლიქტი ჰქონდეს. ტრავმის შემდეგ ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება ველარ მოახერხა. მისი ადგილი ახალგაზრდა ფრანგმა **მატიო ფლამინიმ** დაიკავა. ფლამინი საუცხოო ფორმაშია. თუ ასე გააგრძელა, ჟილბერტოს კიდევ დიდხანს მოუწევს უსაქმოდ ყოფნა. 31 წლის ნახევარმცველს კონტრაქტი 18 თვეში უმთავრდება. მას რამდენიმე სარფიანი შეთავაზება აქვს. სილვას ლონდონში დარჩენა სურს, მაგრამ თუ თამაშის საშუალება არ მიეცემა, სხვაგან წავა. ის "არსენალის" ვიცე-კაპიტანია. ჟილბერტოს არ დაუმალავს უკმაყოფილება, როცა გასულ ზაფხულს, **ტიერი ანრის** "ბარსელონაში" გაყიდვის შემდეგ, ვენგერმა სამკლაური **ვილიამ გალასს** ჩააბარა და არა მას.

## რუსეთი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ამქარი-სატურნი | 3:1 |
| დინამო-რუბინი | 0:1 |
| კრილია-ლოკომოტივი | 3:1 |
| კუბანი-ცსკა | 0:1 |
| ლუჩ ენერგია-ნალჩიკი | 2:1 |
| სპარტაკი-როსტოვი | 3:0 |
| ტომი-ხიმკი | 3:1 |
| ზენიტი-მოსკოვი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 29 | 17 | 7 | 5 | 52-33 | 58 |
| 2. სპარტაკი | 29 | 16 | 8 | 5 | 48-29 | 56 |
| 3. ცსკა | 29 | 13 | 11 | 5 | 42-24 | 50 |
| 4. მოსკოვი | 29 | 14 | 7 | 8 | 38-30 | 49 |
| 5. სატურნი | 29 | 11 | 12 | 6 | 34-27 | 45 |
| 6. ამქარი | 29 | 10 | 11 | 8 | 30-25 | 41 |
| 7. დინამო | 29 | 11 | 8 | 10 | 36-33 | 41 |
| 8. ლოკომოტივი | 29 | 11 | 8 | 10 | 37-39 | 41 |
| 9. ტომი | 29 | 8 | 11 | 10 | 37-34 | 35 |
| 10. რუბინი | 29 | 10 | 5 | 14 | 31-38 | 35 |
| 11. ხიმკი | 29 | 8 | 10 | 11 | 28-32 | 34 |
| 12. კრილია | 29 | 8 | 8 | 13 | 34-42 | 32 |
| 13. ლ-ენერგია | 29 | 8 | 8 | 13 | 25-36 | 32 |
| 14. ნალჩიკი | 29 | 7 | 9 | 13 | 28-38 | 30 |
| 15. კუბანი | 29 | 5 | 11 | 13 | 24-37 | 29 |
| 16. როსტოვი | 29 | 1 | 12 | 16 | 16-44 | 15 |

## უკრაინა

XV ტური

| | |
|---|---|
| კარპატი-დნიპრო | 0:1 |
| დინამო-მეტალისტი | 0:1 |
| ხარკოვი-არსენალი | 2:0 |
| მეტალურგი (დ)-შახტარი | 0:1 |
| ნაფტოვიკი-ვორსკლა | 2:0 |
| კრივბასი-ჩერნომორეცი | 3:0 |
| ზარია-ზაკარპატია | 1:0 |
| მეტალურგი (ზ)-ტავრია | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 15 | 13 | 1 | 1 | 34-9 | 40 |
| 2. დნიპრო | 15 | 11 | 1 | 3 | 26-14 | 34 |
| 3. დინამო | 15 | 9 | 3 | 3 | 25-14 | 30 |
| 4. მეტალისტი | 15 | 9 | 3 | 3 | 24-15 | 30 |
| 5. ჩერნომორეც | 15 | 7 | 2 | 6 | 15-13 | 23 |
| 6. ტავრია | 15 | 6 | 3 | 6 | 16-21 | 21 |
| 7. კრივბასი | 15 | 6 | 2 | 7 | 20-20 | 20 |
| 8. მეტალურ (დ) | 15 | 3 | 8 | 4 | 17-17 | 17 |
| 9. ზარია | 15 | 5 | 2 | 8 | 13-20 | 17 |
| 10. არსენალი | 15 | 4 | 4 | 7 | 23-22 | 16 |
| 11. ხარკოვი | 15 | 4 | 4 | 7 | 11-16 | 16 |
| 12. მეტალურ (ზ) | 15 | 4 | 4 | 7 | 11-16 | 16 |
| 13. ვორსკლა | 15 | 2 | 8 | 5 | 9-15 | 14 |
| 14. ზაკარპატია | 15 | 3 | 5 | 7 | 9-18 | 14 |
| 15. კარპატი | 15 | 3 | 4 | 8 | 11-22 | 13 |
| 16. ნაფტოვიკი | 15 | 2 | 4 | 9 | 7-19 | 10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ავტსაიდერებმა ლიდერებს შეუტიეს, ავიატორებმა მსაჯს

**3 ნოემბერი. რუსთავი**

**აზოტი-მაკაბი 101:92**

26:24, 17:19, 28:16, 30:33

აზოტი: გამყრელიძე (23 ქ. 4 პ), ბაბიაშვილი (8 ქ. 11 მ), სტეფანოვი (23 ქ. 8 მ. 3 ჩ), ბოისა (5 ქ. 11 მ), დიდია (10 ქ), ლეჟავა (2 ქ), რივერსი (30 ქ. 7 მ. 8 პ. 4 ჩ), ჭოჭუა

მაკაბი: დ. ბერიშვილი (6 ქ. 5 შ), ი. ბერიშვილი (18 ქ. 7 პ), სორდია (13 ქ), გ. შერმადინი (25 ქ. 18 მ. 5 დ), ვაშაკიძე, კორკოტაძე (8 ქ), კოლუაშვილი (4 ქ. 3 პ), ს. შერმადინი (18 ქ. 8 მ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე

**4 ნოემბერი. სპორტის სასახლე**

**დინამო-ვითა 62:65**

19:12, 13:21, 10:15, 12:6, 8:11

დინამო: გულისაბედაშვილი (13 ქ. 5 მ. 4 პ. 4 ჩ), ჟღენტი (14 ქ. 5 პ), ლაფანაშვილი (14 ქ. 11 მ), სიგუა (7 ქ. 4 ჩ), მაისურაძე, ათანელიშვილი (2 ქ. 5 მ. 7 შ), ახალკაცი (8 ქ. 7 მ. 2 დ), ფაიქრიძე (4 ქ)

ვითა: ნ. ნოზაძე (6 ქ. 4 ჩ), ბეჟანიშვილი (20 ქ. 7 მ), მ. ბერიშვილი (10 ქ. 7 მ. 3 პ. 6 შ), მარხვაშვილი (5 ქ. 4 პ), ბ. ბერიშვილი (7 ქ), მარკოიშვილი (4 ქ. 6 მ), ბერძენიშვილი (11 ქ. 8 მ. 6 შ), ლ. ნოზაძე (2 ქ. 3 ჩ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

**თსუ-ავიამშენი 87:83**

19:24, 31:19, 23:14, 14:26

თსუ: ფანჩულიძე (32 ქ), ჩიტაშვილი (6 ქ. 6 პ. 7 ჩ), მათიაშვილი (15 ქ. 17 მ. 3 ჩ), კოხრეიძე, ყველაშვილი, კეიდია (15 ქ. 5 მ), ხეცურიანი (16 ქ. 3 პ), ტყეშელაშვილი (3 ქ)

ავიამშენი: ბერაია, შანიძე (5 ქ), ხოშტარია (8 ქ), ნიკოლაძე (19 ქ. 5 მ), კვიმსაძე (4 ქ), ტულუში (19 ქ. 8 მ. 7 პ. 6 ჩ), იმნაძე, ნინიაშვილი (15 ქ. 7 მ), როდუმტა (4 ქ. 7 მ), სუხიშვილი, მინაშვილი (9 ქ), ბარბაქაძე

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

**სატურნირო მდგომარეობა**

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. ვითა | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. თსუ | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4. ავიამშენი | 3 | 1 | 2 | 4 |
| 5. მაკაბი | 3 | 1 | 2 | 4 |
| 6. დინამო | 3 | 0 | 3 | 3 |

**მომდევნო ტური**

9 ნოემბერი: აზოტი-დინამო, 11 ნოემბერი: თსუ-მაკაბი, ავიამშენი-ვითა

შაბათს, „ლელოში“ პირველ გვერდზე იყო სათაური - „საქართველოში მსაჯს ისევ სცემეს“. კითხვა რომ დავასრულე, გავიფიქრე - როგორც ჩანს, ფეხბურთელებზე მეტი დისციპლინა კალათბურთელებს აქვთ-მეთქი. ბოლო 5 წელიწადია საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატში არბიტრისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ...

... მაგრამ გუშინ, „ავიამშენი“-თსუ-ს მატჩის დასრულებისთანავე „ავიატორთა“ წარმომადგენლებმა მსაჯის, **დავით არეშიძისკენ** გაიწიეს და ფიზიკურადაც შეეხნენ. ეს დასაგმობი ფაქტია და გაბრაზებულთა დაწყნარებას თავად კალათბურთელებიც ცდილობდნენ, მაგრამ სჯობს მოვლენებს ქრონოლოგიით მივყვეთ.

„ავია“-თსუ-ს მატჩის მესამე პერიოდში სამსაჯო მაგიდასთან **ნუგზარ ჭეიშვილი** მივიდა და კომისარს მიმართა - ხომ ხედავთ, რომ არბიტრები დაიბნენ და ბევრ შეცდომას უშვებენ. ნუთშესვენება აიღეთ და მსაჯები დააწყნარეთო. თსუ-ს მწვრთნელმა ეს ნახევარხუმრობით თქვა, რადგან თემიდელებს დავით არეშიძესა და **მაკა კუპატაძეს** აშკარად სჭირდებოდათ დამშვიდება. მას მერე მსაჯებმა რამდენიმე შეცდომა მართლაც დაუშვეს, რაც კალათბურთელებს ნელ-ნელა აცხარებდა და ყველაფერზე პროტესტის ხმამაღლა გამოხატვით რეაგირებდნენ. ფაქტია, სამსაჯო კომიტეტს ბევრი აქვს სამუშაო და გაუმართლებელია იმის თქმა, რომ არბიტრები კლასით კალათბურთელებს სჯობნიან. თუკი კლასზეა საუბარი, მაშინ ევროპულ სტანდარტებს მოცეკვავეები ყველაზე მეტად აკმაყოფილებენ. მაგრამ საკალათბურთო სამყაროში მთავარი მოქმედი პირნი მოთამაშეები არიან, მათ მიერ დადგმულ სანახაობას ხიბლი მოცეკვავეებმა უნდა შემატონ, ხოლო წესრიგი მსაჯებმა უნდა დაიცვან. თუ მოთამაშეს 10 შეცდომის დაშვების უფლება აქვს, არბიტრი ერთხელაც არ უნდა შეცდეს, რადგან მასზე არა ხუთი კაცი, არამედ 24 მოთამაშეა დამოკიდებული.

მეორე მხრივ, გუნდებმაც უნდა გააცნობიერონ, რომ მსაჯზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება თავად მათთვისაა დამღუპველი. ფიზიკური შეურაცხყოფა კი მკაცრად დასაგმობია და ამ საკითხზე უკვე სადისციპლინო კომიტეტმა უნდა იმსჯელოს.

ასე და ამგვარად, გამოგვივიდა ვრცელი შესავალი, რომელშიც ტურის მოვლენაზეც ვისაუბრეთ და ტურის ფრაზაც გამოვიყენეთ - ნუგზარ ჭეიშვილის რჩევა მაქვს მხედველობაში.

**ტურის საუკეთესო კალათბურთელად** პირველი მატჩის შემდეგ ჟურნალისტები აზოტელი **ბელტონ რივერსის** დასახელებას ვაპირებდით, მან ხომ „მაკაბისთან“ მატჩში 30 ქულა, 7 მოხსნა, 8 პასი და 4 ჩაჭრა მიითვალა. მეორე შეხვედრის დასრულებისთანავე აზრი შევცვალა - „ვითას“ ფორვარდმა **ვაკო ბეჟანიშვილმა** ოვერტაიმის ბოლოსწინა წამზე სამქულიანი ჩააგდო და თანაგუნდელებს 65:62 გაამარჯვებინა. ვაკოს სტატისტიკაც ნორმალური ჰქონდა - 20 ქულა, 7 მოხსნა.

მესამე მატჩმა მესამე კალათბურთელი გამოარჩია. **მიხეილ ფანჩულიძე**, რომელმაც 32 ქულა ჩააგდო და თსუ-ს სენსაცია დააფიქსირებინა - „ავიამშენი“ დაამარცხებინა. ხმათა უმეტესობით ტურის საუკეთესოდ სწორედ ფანჩულიძე დასახელდა.

„ავიას“ წაგება არა ფანჩულიძემ ან მსაჯობამ, არამედ თავად გუნდის სუსტმა თამაშმა განაპირობა. აშკარაა, რომ



ნუგზარ სუარიძის ფოტო

თსუ-ავია. ჩიტაშვილი (6), როდუმტა (14) და მინაშვილი (16) ბურთისთვის ბრძოლაში

„ავიატორები“ ჯერ სათანადოდ არ არიან შეთამაშებულები. მათ გუშინ მობილიზებაც აკლდათ და დაცვაშიც ვერ იდგნენ მწყობრად. ამის დასტური ჩაჭრების რაოდენობა გამოდგება: თსუ-ელებმა ბურთი 14-ჯერ ჩაჭრეს (7-ჯერ **მიხეილ ჩიტაშვილმა**), „ავიატორებმა“ - 4-ჯერ.

თუმცალა **ლევან მოსეშვილის** გუნდს თამაშის გადარჩენის შანსი მაინც ჰქონდა. მეოთხე პერიოდის პირველ წუთზე **ირაკლი კეიდიამ** „ავიას“ ორქულიანი ჩაუგდო, თანაგუნდელთა 18-ქულიანი (75:57) სხვაობა დააფიქსირა, მაგრამ სულ მალე მეხუთე ფოლის გამო მოედნის დატოვება მოუწია. ირაკლის გასვლამ სტუდენტთა დაბნევა გამოიწვია და „ავიამშენმა“ ტულუში-ნიკოლაძის წინამძღოლობით 13:0 სპურტი მოაწყო. სირენამდე ერთი წუთით ადრე ანგარიში გათანაბრდა - 81:81.

ასეთ დაძაბულ სიტუაციაში მიხეილ ფანჩულიძემ თამაში საკუთარ თავზე აიღო, ეფექტური ბურთი ჩააგდო, ანგარიშზე 30-ე ქულა ჩაიწერა, თსუ ორი ქულით დააწინაურა. დარჩენილ დროში მსაჯებზე გაბრაზებულმა „ავიატორებმა“ მატჩზე კონცენტრაციის გადატანა ვერ მოახერხეს და 83:87 დამარცხდნენ.

**მეორე** სენსაცია კინაღამ „დინამომ“ დააფიქსირა - „ვითასთან“ მატჩში საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე დინამოელები **ლექსო ლაფანაშვილმა** 54:51 დააწინაურა, მაგრამ მომდევნო 2 წუთში მხოლოდ ვითელმა დავით ბერძენიშვილმა ჩააგდო 2+1 ქულა და მატჩი ოვერტაიმში გადავიდა.

დამატებითმა დრომაც თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა და ქომაგი მეორე ოვერტაიმს ელოდა, როცა სირენამდე 2 წამით ადრე ვაკო ბეჟანიშვილმა შორიდან ზუსტად გაისროლა და „ვითა“ სატურნირო ცხრილში მეორე პოზიციაზე გადაანაცვლა. საინტერესოა, რომ „დინამოს“ მოგების შემთხვევაში ერთბაშად 5 გუნდს თანაბარი ქულები მოუგროვდებოდა (თითო წაგება, 2-2 მოგება).

**რუსთავში** საინტერესო იყო ამერიკელი ბელტონ რივერსისა და **გიორგი შერმადინის** დაპირისპირება. ამ შეხვედრას უნდა ეპასუხა კითხვაზე „მაკაბის“ წინა ხაზი უფრო ძლიერია, თუ „აზოტის“ უკანა ხაზი.

პასუხი ასეთი მივიღეთ: ინდივიდუალურად გიორგი შერმადინი და მაკაბელთა წინა ხაზი რუსთაველებზე ძლიერია, მაგრამ გუნდურად „აზოტი“ სჯობს. შერმადინმა 25 ქულა ჩააგდო და მოხსნებში ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა - 18.

მასპინძელ ბელტონ რივერსს, მართალია 30 ქულა მოუგროვდა, მაგრამ გუნდზეც რომ თამაშობდა ამას მისი 8 შედეგიანი გადაცემაც მოწმობს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ნუგზარ სუარიძის ფოტო

თსუ-ავია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

ევროპის გუნდური ჩემპიონატი

# ჩემპიონები ვერ გავხდებით

**ქალები.**

| VI ტური. საქართველო-პოლონეთი 2:2 | |
|---|---|
| მაია ჩიბურდანიძე (2500)-მონიკა სოცკო (2473) | 0,5:0,5 |
| ივეტა რაძეიჩი (2411)-ლელა ჯავახიშვილი (2474) | 0,5:0,5 |
| ნინო ხურციძე (2450)-იოლანდა ზავალსკა (2371) | 0,5:0,5 |
| იოანა დვორაკოვსკა (2316)-ნანა ძაგნიძე (2416) 0,5:0,5 | |

| VII ტური: რუსეთი-საქართველო 2,5:1,5 | |
|---|---|
| ალექსანდრა კოსტენიუკი (2515)-მაია ჩიბურდანიძე (2500) | 0,5:0,5 |
| ლელა ჯავახიშვილი (2474)-ტატიანა კოსინცევა (2492) | 0,5:0,5 |
| ნადეჟდა კოსინცევა (2469)-ნინო ხურციძე (2450) | 0,5:0,5 |
| მაია ლომინეიშვილი (2409)-ეკატერინა კორბუტი (2443) | 0:1 |

1. პოლონეთი - 12 ქულა; 2. რუსეთი - 12; 3. ჰოლანდია -10; 4. სომხეთი - 10; 5. საქართველო - 9, 6. უკრაინა - 9; 7. უნგრეთი - 9

მერვე ტურში: საქართველო-უნგრეთი

**კაცები.**

| VI ტური: შვედეთი-საქართველო 2:2 | |
|---|---|
| ემანუელ ბერგი (2593)-ბაადურ ჯობავა (2644) | 0:1 |
| ლევან ფანცულაია (2617)-ევგენი აგრესტი (2541) | 0,5:0,5 |
| ტაიგერ პერსონი (2567)-დავით არუთინიანი (2574) | 0,5:0,5 |
| მერაბ გაგუნაშვილი (2584)-პონტუს კარლსონი (2481) | 0:1 |

| VII ტური: რუმინეთი-საქართველო 1:3 | |
|---|---|
| ვლადისლავ ნევედნიჩი (2531)-ბაადურ ჯობავა 0:1 | |
| თამაზ გელაშვილი (2623)-ვლად-კრისტიან იანუ (2535) | 0,5:0,5 |
| ალან ბერესკუ (2508)-ლევან ფანცულაია (2617) | 0:1 |
| დავით არუთინიანი (2574)-ანდრეი მურარიუ (2503) | 0,5:0,5 |

1. რუსეთი - 14 ქულა; 2. სომხეთი - 11... 12. საქართველო - 8

მერვე ტურში: საქართველო-ინგლისი



საქართველო-რუსეთი. პირველ დაფაზე კოსტენიუკი-ჩიბურდანიძე

წარუმატებლობების გასამართლებლად უამრავი მიზეზის პოვნა შეგვიძლია ქართველებს და ჩვენც დაუღალავად მოვიძიებთ ხოლმე მდიდარ ქართულ ლექსიკონში საჭირო სიტყვებს და თავსაც და სხვებსაც ვარწმუნებთ, რომ რახან მიზეზი ვიცით, პრობლემა ამით ამოწურულია.

სინამდვილეში თავის მოტყუებაა ყველაფერი და როცა რამდენჯერმე ერთსა და იმავე ვითარებაში მარცხდები, ობიექტურობას უნდა მოუხმო. რამდენიმე წელია, ასე ემართებათ ჩვენს მოჭადრაკეებს - რაგინდარა ტურნირებზე როცა კი გადამწყვეტი ბრძოლებია, დიდ წილად გუნებაწამხდარნი ტოვებენ სათამაშო მაგიდებს. ჩემი აზრით, პრობლემა კომპეტენტურობაში კი არ არის, არამედ სტრატეგიულ-ტაქტიკურ მომზადებაში, მწვრთნელ-კაპიტნიანად სწორად წარმართულ ბრძოლაში. უშეცდომო არავინ არის, მაგრამ როცა ზედმეტ სიფრთხილეს იჩენ, იქ ბევრს კარგავ. მეტი სიფრთხილე კი შიშს ნიშნავს, რაც უპირველესად საკუთარი შესაძლებლობების ეჭვქვეშ დაყენებას ჰგავს.

ეს პრობლემა სერიოზულია და განსჯისთვის ადგილსაც მეტს მოითხოვს და დროსაც, ამიტომ მეტს აღარ გავაგრძელებთ, ასეთი შესავალი იმად დაგვჭირდა, რომ ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ამ უქმეებზე ორი ტური გაიმართა და ორივეში მსგავსი სურათი ვიხილეთ: ქართველ ქალთა ნაკრებმა მეექვსე ტურში ლიდერ პოლონეთთან ითამაშა ყაიმით, მერვეში კი რუსეთის ნაკრებთან დამარცხდა.

ორივე გუნდი ძალიან ძლიერია, განსაკუთრებით რუსეთი და მათთან არათუ ყაიმი, მარცხიც შეიძლება არ იყოს საგანგაშო, მაგრამ როცა ხედავ, რომ შესაძლებელია უკეთესი შედეგი მიიღო, პროტესტის გრძნობა გიჩნდება.

პოლონეთთან ქართველები შემდეგი შემადგენლობით გავიდნენ: **მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, ნანა ძაგნიძე**. პოლონელებმა ეს ოთხეული დაგვიპირისპირეს: **მონიკა სოცკო, ივეტა რაძევიჩი, იოლანდა ზავადსკა, იოანა დვორაკოვსკა**. პირველ დაფაზე თეთრები ქართველების იყო და ეს ერთგვარ უპირატესობას მაინც ნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ოთხ დაფაზეა ბრძოლა.

მატჩი ისე დაიწყო, ქართველებს საწუწუნო არაფერი ჰქონდათ: სამ დაფაზე უკეთესი პოზიცია გვქონდა, მხოლოდ მეორეზე **ლელა ჯავახიშვილის** პოზიცია არ იყო სასიამოვნო. ბოლომდე ბრძოლის შემთხვევაში კლასიანმა გუნდმა ასეთი მატჩი უნდა მოიგოს, ყოველ შემთხვევაში უნდა იბრძოლოს, რაც, სამწუხაროდ, ჩვენებმა არ გააკეთეს, - ოთხივე დაფაზე ყაიმები გაფორმდა და ყულაბაში მხოლოდ ერთი ქულა ჩაიწერეს.

რატომ მოხდა ასე? აქედან რთულია კონკრეტული პასუხის გაცემა, მაგრამ ვეჭვობთ, გუნდის კაპიტანთან კონსულტაციების შემდეგ მოხდა ყაიმების დაფიქსირება, კაპიტანი ასეთ შემთხვევაში მთავარი ფიგურაა და შეუძლია ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღოს. რამდენად გამართლებული იყო ასეთი გადაწყვეტილება სხვა საკითხია. თუმც ჩვენი აზრით - შეცდომაა და სამწუხაროდ, ასეთი გადაწყვეტილებები მეც ბევრჯერ უშუალოდ მინახავს...

შეიძლება საკამათო იყოს რუსეთთან დაყენებული შემადგენლობაც: პირველ დაფაზე კვლავ ჩიბურდანიძე დაჯდა, მეორეზე - ჯავახიშვილი, მესამეზე ხურციძე, მეოთხეზე - **მაია ლომინეიშვილი**; დაისვენა **ნანა ძაგნიძემ**. ამჯერად პირველ დაფაზე თეთრი ფერი რუსების იყო. მთელი ტურნირი ძაგნიძე კარგ თამაშს აჩვენებდა და გუნდში ყველაზე მეტი ქულა ჰქონდა დაგროვილი, არც ლომინეიშვილი სცოდავდა და ნაუგებლად თამაშობდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ გუშინ მეოთხეზე ძაგნიძეს ყოფნა უფრო უპრიანი იქნებოდა - ნანას კრიტიკულ შემთხვევაში მეტი კონცენტრაცია და წარმატებით თამაში შეუძლია, ვიდრე ლომინეიშვილს - ეს არცთუ სასიამოვნოა, მაგრამ ასეა და თავადაც აღიარა ამასწინათ ლომინეიშვილმა სატელევიზიო ინტერვიუში. ჩვენც შეგვიძლია მრავალი ფაქტის მოძიება, როცა მაია გადამწყვეტ ბრძოლას აგებდა.

რუსებთან თამაში კი ნამდვილად გადამწყვეტი იყო - მოგების შემთხვევაში ქართველები ჩემპიონობისკენ უდიდეს ნაბიჯს დგამდნენ. სამწუხაროდ, მაიამ წააგო, თანაც თეთრებით და თანაც ისეთი პარტია, სადაც წასაგები არაფერი ჰქონდა - უბრალოდ დაძაბულობას ვერ გაუძლო, ნერვები ვერ მოთოკა, მარტივი შეცდომა დაუშვა და ფაქტობრივად, ერთ სვლაში წააგო.

ცხადია, ლომინეიშვილისთვის ნდობის გამოცხადება დანაშაული არ არის - შესაძლებელი იყო მოეგო კიდეც, მაგრამ... კარგ ფორმაში მყოფი ძაგნიძის უთამაშებლობა ნამდვილად შეცდომაა და როცა მიზეზებზე დაიწყებენ გუნდის მესვეურები საუბარს, არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ძაგნიძეს ადგილი იმ დღეს გუნდში ვერ გამოინახა...

რუსეთის ნაკრებთან საქართველო დამარცხდა - 1,5:2,5. ყველაფრის მიუხედავად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩემპიონობა ჩვენთვის დიდი ტვირთი და მიუღწევადი სიმაღლეა. ძალიან კი გვსურს ძველი დროების დაბრუნება, მაგრამ არ გამოგვდის და, სამწუხაროდ, ალბათ ახლო მომავალშიც ვერ შევძლებთ. ჩვენი რეალური შესაძლებლობები უდიდეს ფორუმებში საპრიზო ადგილზე გასვლას თუ გასწვდება... სხვათა შორის, ამ მარცხის შემდეგ კიდევ გვრჩება საპრიზოზე გასვლის შანსი და ამისთვის ბრძოლა ღირს, თუმც იოლად არაფერი მოვა და აქაც ბოლომდე დახარჯვაა საჭირო.

რაც შეეხება ვაჟებს, აქ ბევრიც არაფერია სალაპარაკო - მეექვსე ტურში სუსტ შვედეთის ნაკრებთან 2:2 დაასრულეს მატჩი. მოიგო **ბაადურ ჯობავამ**, ხოლო **ლევან ფანცულაიამ** და **დავით არუთინიანმა** ყაიმით ითამაშეს, წააგო **მერაბ გაგუნაშვილმა**. მერაბი რომ ცუდ ფორმაშია, რამდენჯერმე აღვნიშნეთ, მაგრამ რატომღაც ეს ვერ დაუჯერებიათ გუნდის მესვეურებს და ჯიუტად ენდობიან...

მეშვიდე ტურში ჩვენებმა რუმინელებს კი მოუგეს - 3:1, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ გუნებას ოდენ თუ გამოგვიკეთებს, თორემ საპრიზო ადგილზე გასვლაც უკვე შეუძლებელია.

რუმინელებთან ასეთი შემადგენლობით ვითამაშეთ: **ბაადურ ჯობავა, თამაზ გელაშვილი, ლევან ფანცულაია, დავით არუთინიანი**. მოიგეს ჯობავამ და ფანცულაიამ - შავებით; გელაშვილმა და არუთინიანმა თეთრებით ყაიმით ითამაშეს. სხვათა შორის, რუმინეთის ამჟამინდელი შემადგენლობა არ გახლავთ საუკეთესო და ამიტომაც არიან ისინი რეიტინგით 24-ე. შეგახსენებთ, საქართველო რეიტინგით მეთერთმეტეა.

რახან ინტერესი ქალთა ტურნირისკენ უფრო შეგვრჩა, ჩვენი კონკურენტების შედეგებს გამცნობთ: პოლონელებმა კვლავ გაგვაკვირვეს და უკრაინელთა უძლიერესი გუნდი დაამარცხეს - 3:1. ამ მოგებით პოლონელებმა ჩემპიონობაზე ყველაზე დიდი განაცხადი გააკეთეს. ერთადერთი მოცილე მათ რუსები ჰყავთ და ამით დუელი გადაწყვეტს პირველის ვინაობას.

**ზვიად შათირიშვილი**

კარატე-დო

# სამი კარატემენი და სამი მედალი


კახა ბასილია

ნისლიანი ალბიონი, კლასიკური ქვეყანა და მისი დედაქალაქი - ლონდონი, რომელმაც კიდევ ერთხელ უმასპინძლა კარატეს მსოფლიო ელიტას. ქართული კარატესთვის საშემოდგომო ნადავლი უფრო და უფრო ბარაქიანი ხდება და ამაში თავადვე დარწმუნდებით, ამ ინფორმაციას რომ გაეცნობით: საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციისთვის უკვე ტრადიციული გახდა ლონდონის ღია ჩემპიონატზე მონაწილეობა და ამჯერადაც წარმატებული გამოსვლა. ქართველებმა კვლავ აღაფრთოვანეს ინგლისელი გულშემატკივრები და მათი აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს.

*„ნამდვილად დიდ წარმატებას მივაღწიეთ ლონდონის ღია ჩემპიონატში. ამჯერად ქართული კარატეს ეროვნული ნაკრების სულ სამი წევრი იცავდა ჩვენი ქვეყნის ღირსებას და შემიძლია ვთქვა, რომ საუკეთესოდ. ნაკრებიდან სამი წევრი იმიტომ ასპარეზობდა ჩემპიონატში, რომ ზუსტად ამ პერიოდში ჩვენი სპორტსმენების უმეტესობა თურქეთში მსოფლიო ჩემპიონატზე იმყოფებოდა, საიდანაც ასევე დიდად წარმატებულნი დაბრუნდნენ. ლონდონის ჩემპიონატზე მხოლოდ ოთარ ვადაჭკორია, ლევან გორელაშვილი და დავით ტყებუჩავა იბრძოდნენ ამ მეტად პრესტიჟული ევროპული მედლისა და თასისთვის. შემიძლია აღვნიშნო, რომ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციისათვის სასიამოვნო აღმოჩენაა სრულიად ახალგაზრდა კარატისტი, ოთარ ვადაჭკორია, რომელმაც კიდევ ერთხელ გვასახელა და ოქროს მედალს დაეუფლა. იმედი მაქვს, მეც და ქართული კარატეს წამყვან ოსტატებს, რომ ოთარ ვადაჭკორია ჩვენი ქვეყნის საბრძოლო ხელოვნებათა ერთ-ერთი დიდი ოსტატი გახდება და არაერთხელ დაიპყრობს მსოფლიო მწვერვალებს. ასეთივე წარმატებით გამოვიდა ლევან გორელაშვილი და მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნამდვილი მსოფლიო ჩემპიონია. ვერც დავით ტყებუჩავას დავუწუნებთ შედეგს და, როგორც წესი, მანაც მედალი მოგვიტანა, თუმცა, ამჯერად ვერცხლი“* - განაცხადა ლონდონიდან დაბრუნებულმა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ**.

ამ დღეებში ქართული კარატეს ნაკრები სომხეთში, კერძოდ კი ერევანში ისპარეზებს. სომხეთის საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებაში საქართველოსა და მასპინძელი სომხეთის გარდა, რუსეთის, ბელორუსისა და უკრაინის კარატეს ეროვნული გუნდებიც მიიღებენ მონაწილეობას. ტურნირის შედეგებს და ამბებს ნაკრების ჩამოსვლის შემდეგ გაცნობებთ.

**ნუგზარ ქიაბერაშვილი,**
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

GEORGIA

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## ბატუტი

მსოფლიო ჩემპიონატი

### კვებეკიდან არაფერი გვერგო

კვებეკში (კანადა) დასრულდა მსოფლიოს 25-ე ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში. ქართველთა შედეგი ასპარეზობის მეორე და მესამე დღეს ისეთივე წარმატებული არ აღმოჩნდა, როგორც პირველ დღეს, როცა 17 წლის **ლუბა გოლოვინამ** პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა. ვაჟებში ოთხი ჩვენებური ასპარეზობდა. ყველაზე მეტად **თენგიზ კოშკაძის** გვეიმედებოდა, თუმცა მან სულ რალაც 34,80 ქულა მოაგროვა და 95 მონაწილეს შორის 90-ე ადგილი დაიკავა. დანარჩენმა ქართველებმა მასზე უკეთ იხტუნავეს. **ზურაბ ჭყონია** (57,00) 65-ე ადგილზე გავიდა, **ოლეგ კოლოსოვი** (55,10) - 67-ეზე, **გიორგი მარქანიანმა** 40,50 ქულა მოაგროვა და მსოფლიო ჩემპიონატი 84-ე ადგილზე დაასრულა. მსოფლიო ჩემპიონი ჩინელი **დონკ დონკი** გახდა 71,60 შედეგით.

ჩვენებურებმა ვერც სინქრონულ ხტომებში ივარგეს, ქალებში სულ 20 წყვილი ასპარეზობდა, ლუბა გოლოვინასა და **სოფიო გულიაშვილის** წყვილმა 50,40 ქულა მოაგროვა, რაც მხოლოდ მე-18 ადგილისთვის გამოდგა საკმარისი. ვაჟებში ორი წყვილი გვყავდა, რაც საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა. 30 დუეტს შორის ოლეგ კოლოსოვმა და გიორგი მარქარიანმა 61,30 ქულით 22-ე შედეგი აჩვენეს, ხოლო თენგიზ კოშკაძემ და ზურაბ ჭყონიამ (46,50) - 28-ე. ქალთა წყვილებში რუსებმა (**ირინა კარავაევა** და **ნატალია ჩერნოვა**) გაიმარჯვეს - 86,80, ვაჟებში - იაპონელებმა (**ტეცუა სატომურა** და **უასიჰირო უეჰამა**) - 90,50 ქულა. სინქრონული ხტომები ოლიმპიური დისციპლინა არაა, შესაბამისად არც ლიცენზიები გაცემულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ხელბურთი

ლეგიონერი

### 6 გოლი და მესამე ადგილი



სერგო დათუკაშვილი

გერმანულ ბუნდესლიგაში მორიგი მატჩი ჩაატარა საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების ლიდერ **სერგო დათუკაშვილის** კლუბმა "ლიუბეკმა". ჩვენებურის გუნდმა პირველადგილოსან "კილს" უმასპინძლა და როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ანგარიშით წააგო – 25:42. ამ მარცხის შემდეგ, 11 მატჩში მოგროვებული 5 ქულით, ლიუბეკელები 15-16-ე პოზიციებს იყოფენ "ფუქსესთან" ერთად. შეგახსენებთ, რომ მეორე ბუნდესლიგაში ვარდებიან 17-18-ე ადგილებზე გასული გუნდები.

რაც შეეხება დათუკაშვილის მონაგარს, მან "კილს" 6 გოლი გაუტანა და ამ მხრივ, თანაგუნდელ **ტომიჩთან** ერთად, მოედანზე მყოფთაგან საუკეთესო იყო.

დასასრულ კი, ბუნდესლიგის ბომბარდირთა სიას გადავხედოთ. ქართველმა ხელბურთელმა მეექვსედან მესამე ადგილზე აინაცვლა. მას 11 მატჩში 73 ბურთი აქვს შეგდებული. პირველ ადგილზეა "მინდენის" ლიდერი **არნე ნეიმაიერი** (81 გოლი), ხოლო მეორე პოზიციაზე ნორდჰორნელი **ჰოლგერ გლენდორფია** (76). აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ სერგოსთან ერთად, მესამე ადგილს იყოფს "ფუქსეს" მთავარი გოლეადორი **კონრად ვილჩინსკი**, რომელსაც ქართველის მსგავსად, 73-ჯერ შეურხევია მეტოქეთა კარის ბადე.

**კობა ხატისაშვილი**

## რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი საქართველო ჩემპიონატი. X ტური

BTA Silk Road Bank

ქვარციტი QUARTZITE

LOYAL CAPITAL group

# ბოლო ტურმა ყველაფერი დაალაგა

**დინამო–ლიგამუსი 20:32**

დინამო: (15-9) აგიაშვილი, შიოშვილი, ჯეირანაშვილი, გრუდკო, პ.მაისურაძე, ავლოხაშვილი, რამიშვილი (1-8) გაგნიძე, სვანიძე, მოქია, ხორბალაძე, ცხადაძე, ხვიჩია, მირცხულავა, აზალაძე - *2ლ: (აზალაძე, ხვიჩია), 2გ,2ს: (ავლოხაშვილი).*

ლიგამუსი: (15-9) ნადირაძე, ანდღულაძე (ჩიხლაძე 36), ქავთარაძე, ბერძენიშვილი, მარსაგიშვილი, კვინიხიძე, ღვინჯილია (1-8) პეტრიაშვილი, ტურაშვილი, მალალდაძე, გუჯარაიძე (ხეჩიკოვი 41), ნიშნიანიძე, ბერიშვილი, ყურაშვილი, ზ.მაისურაძე - *5ლ: (ყურაშვილი 2, ზ.მაისურაძე, ჩიხლაძე, მალალდაძე) 2გ,ს (კვინიხიძე)*

მსაჯი: ნ. რობიტაშვილი

**უნივერსიტეტი–ყოჩები 24:21**

**ლელო–არმაზი 24:0**

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 10 | 8 | 0 | 2 | 16 |
| 2.ლიგამუსი | 10 | 6 | 0 | 4 | 12 |
| 3.ყოჩები | 10 | 6 | 0 | 4 | 12 |
| 4.უნივერსიტეტი | 10 | 4 | 0 | 6 | 8 |
| 5.არმაზი | 10 | 3 | 0 | 7 | 6 |
| 6.დინამო | 10 | 3 | 0 | 7 | 6 |

რეგულარული გათამაშების ბოლო ტურს გუნდების საბოლოოდ განაწილებისათვის უჩვეულოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ ჩემპიონობისთვის მებრძოლი ოთხეულიდან სამის ვინაობა ცნობილი იყო, სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში სამივე გუნდს - „უნივერსიტეტს", „არმაზს" და „დინამოს" თანაბარი ქულები ჰქონდა. სრული სიმწვავისთვის, ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლნი პლეიოფში გასულებს უპირისპირდებოდნენ.

სატურნირო ცხრილის მიხედვით ყველაზე ცუდ მდგომარეობაში „დინამო" იყო. ამ გუნდს მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს. დინამოელებმა ცდა არ დააკლეს „ლიგამუსად" გარდაქმნილი „ლოკომოტივის" წინააღმდეგ მატჩში, პირველი ნახევარი მოიგეს კიდეც 14:10, მაგრამ საბოლოო გამარჯვებისთვის ძალა აღარ ეყოთ და 20:32 დამარცხდნენ.

პირველი ტაიმში „დინამო" მეტოქეზე ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა, რაც უწინარესად შერკინების დამსახურებაა. რაც უნდა საკვირველი იყოს, „ლიგამუსის" ტრადიციულად ძლიერი შერკინება ოდნავ მოიკოჭლებდა. ანგარიში დინამოელებმა მე-15 წუთზე გახსნეს.



ბექა ყურაშვილის ლელო

ნუგზარ სუარიძის ფოტო

ფეხდაფეხ თამაშით „ლიგამუსის" ლელოში ბურთი **გოჩა ხვიჩიამ** დაამიწა. ექვს წუთში **ბობა კვინიხიძემ** საჯარიმოდან შეამცირა ანგარიში 3:7.

10 წუთში ისევ „დინამოს" უკანახაზელებმა იყოჩაღეს. მეტოქის ოცდაორში ხაზი **ლადო ავლოხაშვილმა** გაჭრა და მესამეხაზელ **ლაშა აზალაძეს** აუგდო, მას კი ბურთის მიწაზე დადება აღარ გასჭირვებია. ავლოხაშვილმა ორივეჯერ გარდასახა 14:3. ასეთი უპირატესობა, თითქმის თანაბარ თამაშში საკმაოდ საგრძნობი იყო. მაგრამ ლიგამუსელებმა ტაიმის მიწურულს ძალების მოკრება მოახერხეს და ხუთმეტრიანი შერკინებიდან აგორებული მოლით მეტოქეს ლელო გაუტანეს. ბოლო ბურთით **მიხეილ მალალდაძე** იყო. კვინიხიძემ ზუსტად გარდასახა - 10:14.

მეორე ტაიმში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. „ლიგამუსმა" შერკინებაში თამაში დაალაგა, უფრო მწყობრად და ეფექტურად ათამაშდა. მაქსიმუმი, რაც დინამოელებმა მოახერხეს **ავლოხაშვილის** მიერ გატანილი ორი საჯარიმო იყო. მათმა მოწინააღმდეგემ კი სამი ლელო გაიტანა, რომელთაგან კვინიხიძემ მხოლოდ ერთი გარდასახა. შედეგად, „დინამო" ბოლო ადგილზე გავიდა და პირველი ლიგაში ჩაქვეითდება.

პირველ ლიგაში გავარდნის საშიშროება კვლავ ემუქრება „არმაზს", რომელმაც რეგულარული გათამაშების ბოლო შეხვედრა „ლელოსთან" წააგო - 0:24. არმაზელები საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გავიდნენ და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის პირველი ლიგის მეორეადგილოსანს დაუპირისპირდებიან. პლეიოფში თამაშის უფლება მოიპოვა „უნივერსიტეტმა", რომელმაც „ყოჩების" დამარცხება შეძლო 24:21.

ამრიგად 15 ნოემბერს რეგულარული გათამაშების გამარჯვებული „ლელო" მეორეადგილოსან „ლიგამუსს" დაუპირისპირდება. ამათ შორის გამარჯვებული პირდაპირ ფინალში გავა. დამარცხებული კი „ყოჩებსა" და „უნივერსიტეტს" შორის გამარჯვებულს შეხვდება 20 ნოემბერს. ფინალი 25 ნოემბერს გაიმართება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ერთა თასი

# რუმინეთმა რუსეთთან წააგო



რუმინეთი-რუსეთი

ევროპის ერთა თასის გათამაშებაში ორი შეხვედრა გაიმართა. ერთერთში სენსაცია დაფიქსირდა - ბუქარესტში თითქმის მეორე შემადგენლობით მოთამაშე რუმინეთის ნაკრებმა რუსების ეროვნულ გუნდთან წააგო 12:22.

რუმინელთა გუნდში, რომელსაც მსოფლიო თასის შემდეგ ახალი, რუმინელი მწვრთნელი **მარინ მოტი** დაუნიშნეს, ამ შეხვედრაში მხოლოდ ერთმა ლეგიონერმა, ინგლისურ „ბასში" ახლახან გადასულმა **იონ პაულიცამ** ითამაშა. სხვა დანარჩენი რუმინული კლუბების წარმომადგენლები იყვნენ.

დასაწყისში მასპინძლებმა ფულბეკ **დანუც დუმბრავას** ორი საჯარიმოთი შეძლეს დაწინაურება 6:0. რუსები მალევე, პირველხაზელ **ივან პრიშეპენკოს** ლელოთი და **იური კუშნარიოვის** გარდასახვის წყალობით დაწინაურდნენ - 7:6. რასაც ათიოდ წუთში ლელო უკვე კუშნაროვმა გაიტანა, თუმცა ვერ გარდასახა - 12:6. ტაიმის მიწურულს დუმბრავამ კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა - 9:12.

მანვე მეორე ნახევრის დასაწყიში ანგარიშის გათანაბრება შეძლო 12:12. ამის შემდეგ კი ქულებს მხოლოდ რუსები აგროვებდნენ. ჯერ **ვიქტორ მოტორინმა** გაიტანა საჯარიმო, 15:12, მერე გარემარბმა **ალექსანდრ გვოზდოვსკიმ** კიდევ ერთი ლელო მიითვალა, რომელიც მოტორინმა გარდასახა - 22:12.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**რუმინეთი–რუსეთი 12:22**

რუმინეთი: (15-9) დუმბრავა, ნიკოლაე, დასკალუ, გალი, ჩუნტუ, დიმოფტე, კაპლესკუ (1-8) ნერე, ზებეგა, პაულიცა, რაცოუ, ურსაკე, მაკოვეი, ბურია, მერსოიუ; (16-22) ადასკალიტეი, მაქსიმი, ნ. რუსი, ვ. რუსი, ევა, ვლადი, მარინი - *4ს: (დუმბრავა)*

რუსეთი: (15-9) კლუჩნიკოვი, კუზინი, ბაბაევი, ტრიშინი, გვოზდოვსკი, ი.კუშნარიოვი, შაკიროვი; (1-8) ხროკინი, კორშუნოვი, პრიშეპენკო, ვოიტოვი, ფედჩენკო, კ. კუშნარიოვი, გარბუზოვი, პანასენკო; (16-22) მარჩენკო, ნოვოსელოვი, პოვესმა, მატვეევი, მოტორინი, კობზევი, ოსტროუშკო - *3ლ (პრიშეპენკო, ი.კუშნარიოვი, გვოზდოვსკი.) 2გ: (ი.კუშნარიოვი, მოტორინი), ს: (მოტორინი)*

მსაჯი: ე. მაკფერსონი (შოტლანდია).

**ესპანეთი–ჩეხეთი 46:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | +80 | 8 |
| 2.საქართველო | 4 | 3 | 0 | 1 | +103 | 6 |
| 3.ესპანეთი | 6 | 3 | 0 | 3 | +23 | 6 |
| 4.რუმინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | +56 | 4 |
| 5.პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | +15 | 4 |
| 6.ჩეხეთი | 6 | 0 | 0 | 6 | -277 | 0 |

**10 ნოემბერი**

საქართველო-პორტუგალია

**1 დეკემბერი**

პორტუგალია-რუმინეთი

კალათბურთი

## მეორე ტურს ორი MVP ჰყავს

ევროლიგის მეორე ტურის შემდეგ, MVP-ის ტიტული ორმა კალათბურთელმა მოიპოვა. საუკეთესო მოთამაშეებად "რომას" ფორვარდი **ერაზემ ლორბეკი** და "ლეტუვოს რიტასის" თავდამსხმელი **არტურას იომანტასი** დაასახელეს. ორივე მათგანმა 29-29 სარეიტინგო ქულა დააგროვა.

იომანტასმა ლიტვურ კლუბს თელ-ავივის "მაკაბისთან" გაამარჯვებინა (92:74). ფორვარდის ანგარიშზე 19 ქულა, 6 მოხსნა, 6 პასი და 3 ჩაჭრა მოდიოდა. ლორბეკის კლუბმა "რეალთან" წააგო (83:89), თავად კალათბურთელმა კი, 24 ქულა დააგროვა და 6 მოხსნა მიითვალა.

ამ დუეტის გარდა, MVP-ის ტიტულზე **ნიკოლა პეროვიჩი** ("პარტიზანი"), **დავორ კუში** ("უნიკახა") და **ტიაგო სპლიტერი** ("ტაუგრესი") აცხადებდნენ პრეტენზიას.

## დენგი ჩიკაგოდან წავა

"ჩიკაგო ბულზის" ერთ-ერთმა ლიდერმა **ლუოლ დენგმა** კლუბთან ახალ 5-წლიან და 50-მილიონიან კონტრაქტზე უარი განაცხადა და მიმდინარე სეზონის შემდეგ თავისუფალი აგენტი გახდება.

22 წლის კალათბურთელის (გასულ სეზონში 18.8 ქულა, 7.1 მოხსნა, 2.5 პასი) უარი შეთავაზებული ხელშეკრულების პირობებმა გამოიწვია. დენგმა და "ჩიკაგომ" ამ პირობების გაუმჯობესებაზე კომპრომისს ვერ მიაღწიეს.

## ნეტსმა უესლი გაუშვა

"ნიუ ჯერსი ნეტსმა" ტრანსფერზე დააყენა 36 წლის მცველი **დევიდ უესლი**. კლუბის მხრიდან ეს მოულოდნელი გადაწყვეტილება იყო, ვინაიდან "ნეტსმა" ვეტერან კალათბურთელს სამი დღით ადრე გაუფორმა ერთწლიანი კონტრაქტი.

უესლის ანგარიშზე NBA-ში ჩატარებული 949 მატჩია. თითო შეხვედრაში მისი კარიერული მონაგარი 12.5 ქულასა და 4.4 შედეგიან გადაცემას უდრიდა.

ჩოგბურთი

## წილი ნაყარია

6-11 ნოემბერს, ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში WTA-ს ტურის შემაჯამებელი ჩემპიონატი გაიმართება, რომელშიც წლევანდელი სეზონის 8 საუკეთესო ჩოგბურთელი მიიღებს მონაწილეობას.

როგორც მოსალოდნელი იყო, ტრავმის გამო ტურნირს გამოაკლდა ამერიკული **ვენუს უილიამსი** და მისი ადგილი რეიტინგის მეცხრე ნომერმა, რუსმა **მარია შარაპოვამ** დაიკავა.

შაბათს, მადრიდში ჩემპიონატის წილისყრა გაიმართა და რვა მოთამაშე ორ ჯგუფში ასე გადანაწილდა:

**ყვითელი ჯგუფი:** ჟუსტინ ანენი (ბელგია), სერენა უილიამსი (აშშ), ელენა იანკოვიჩი (სერბეთი), ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი);

**წითელი ჯგუფი:** სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი), ანა ივანოვიჩი (სერბეთი), დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი), მარია შარაპოვა (რუსეთი).

ჯგუფებში მატჩები წრიული სისტემით გაიმართება და ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალში გააგრძელებს ბრძოლას.

## მწვრთნელი მოსწავლესთან სექსისთვის დაისაჯა

ინგლისელი მწვრთნელი **კლერ ლაიტი** სამწლიანი პატიმრობით დასაჯეს. ლივერპულის სასამართლომ ეს ახალგაზრდა სპეციალისტი დამნაშავედ სცნო 13 წლის მოსწავლესთან სექსუალურ კავშირში.

ეს ამბავი ოქტომბერში გახმაურდა. მოსწავლისა და მასწავლებლის კავშირის შესახებ, ჩოგბურთელის დედამ შეიტყო, როცა მათ საკუთარ სახლში, საწოლში შეუსწრო. პირველად მან პოლიციას ყველაფერი დაუმალა და ქალიშვილს ჩოგბურთში მეცადინეობის გაგრძელების ნება დართო, მაგრამ, როცა საწვრთნელი პროცესის პარალელურად 29 წლის ლაიტისა და მოსწავლის სექსუალური კავშირებიც გაგრძელდა, დედამ სასამართლოში იჩივლა.

მოტორბოლა

### მსოფლიო ჩემპიონატი

**ვალენსიას გრან-პრი**

XVIII ეტაპი

**125 კუბ.სმ (24 წრე - 96.120 კმ)**

1. **ფაუბელი** (ესპანეთი, "აპრილია") - 40:14.228; 2. **ტალმაში** (უნგრეთი, "აპრილია") - +0.185; 3. **გადეა** (ესპანეთი, "აპრილია") - +0.286; 4. **პაზინი** (იტალია, "აპრილია) - +0.826; 5. **პეშეკი** (ჩეხეთი, "დერბი") - +0.878.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ტალმაში** - 282 ქულა (მსოფლიო ჩემპიონი); 2. **ფაუბელი** - 277; 3. **კოიამა** (იაპონია, KTM) - 193; 4. **პეშეკი** - 182; 5. **პაზინი** - 174.

**250 კუბ.სმ (27 წრე - 108.135 კმ)**

1. **კალიო** (ფინეთი, KTM) - 43:28.349; 2. **დე ანჯელისი** (სან მარინო, "აპრილია") - +0.371; 3. **დებონი** (ესპანეთი, "აპრილია") - +6.797; 4. **დოვიციოზო** (იტალია, "ჰონდა") - +6.880; 5. **ბარბერა** (ესპანეთი, "აპრილია") - +12.767;

**საერთო ჩათვლა:** 1. **ლორენსო** (ესპანეთი, "აპრილია") - 312 ქულა (მსოფლიო ჩემპიონი); 2. **დოვიციოზო** - 260; 3. **დე ანჯელისი** - 235; 4. **ბაუტისტა** (ესპანეთი, "აპრილია") - 181; 5. **ბარბერა** - 177.

**მოტოგრანპრი (30 წრე - 120.150 კმ)**

1. **პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - 46:43.533; 2. **სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - +5.447; 3. **ჰოპკინსი** (ბრიტანეთი, "სუძუკი") - +20.404; 4. **მელანდრი** (იტალია, "ჰონდა") - +24.827; 5. **კაპიროსი** (იტალია, "დუკატი") - +25.804.

**საერთო ჩათვლა:** 1. **სტოუნერი** - 367 ქულა (მსოფლიო ჩემპიონი); 2. **პედროსა** - 242; 2. **როსი** (იტალია, "იამაჰა") - 241; 4. **ჰოპკინსი** - 189; 5. **მელანდრი** - 187.

## როსიმ ხელი მოიტეხა

გუშინ, ვალენსიას გრან-პრიში მონაწილეობა ვერ მიიღო მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა **ვალენტინო როსიმ**. იტალიელი მოტომრბოლი კვალიფიკაციის დროს ავარიაში მოყვა და მარჯვენა ხელი მოიტეხა. 28 წლის როსიმ პირველი ვირაჟის დროს თავი ვერ შეიმაგრა და ტრასიდან გადავარდა.

იტალიელმა თავად შეძლო ავარიის ადგილის დატოვება, მაგრამ მოგვიანებით ჩატარებულმა რენტგენმა ხელის სამი ძვლის მოტეხილობა დააფიქსირა. სავარაუდოდ, ვალენტინო ვერ შეძლებს სეზონის დარჩენილ რბოლებში მონაწილეობას. ალბათ, ის ვერც რალის მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ეტაპზე - "ბრიტანეთის რალიში" შეძლებს გამოსვლას.

ველოსპორტი

## ჩიპოლინი ბრუნდება?

საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა სპორტულმა გაზეთმა "ეკიპმა". ფრანგული გამოცემის ცნობით, შესაძლოა აქტიურ სპორტს დაუბრუნდეს ლეგენდარული იტალიელი ველომრბოლი **მარიო ჩიპოლინი**, რომელმაც კარიერა 2005 წელს დაასრულა.

ჩიპოლინის წინადადებით მიმართა ამერიკული საჯინიბო Rock Racing-ის მფლობელმა **მაიკლ ბოლმა**, რომელიც ამავდროულად, სპორტული ტანსაცმლის ფირმის, Rock and Republic-ის დიზაინერიც გახლავთ. იტალიელს არამარტო ველოსპორტში დაბრუნება, არამედ ამ ფირმის რეკლამირებაც შესთავაზეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ჰემილტონი ახალ პარტნიორს ელის

"მაკლარენის" ბრიტანელი პილოტის, **ლუის ჰემილტონის** თქმით, კარგი იქნება, თუ გუნდი ესპანელი **ფერნანდო ალონსოს** ნაცვლად ისეთ პილოტს მიიწვევს, რომელიც ყველაზე წინ გუნდის ინტერესებს დააყენებს.

*"ჩვენ უბრალოდ, გუნდური მოთამაშე გვესაჭიროება. ვიმედოვნებ, ვინც მოვა, ისევე იზრუნებს გუნდის ინტერესებისთვის, როგორც მე"*, - "მერსედესის" მიერ ორგანიზებულ წვეულებაზე (ვარსკვლავები და ავტომობილები) განაცხადა ჰემილტონმა.

ალონსომ, ვინც "მაკლარენში" გადასვლამდე, "რენოს" ბოლიდით ორჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება, "მაკლარენის" დატოვების უფლება მიიღო. არადა, კონტრაქტით ინგლისურ საჯინიბოში კიდევ ორი სეზონი უნდა გაეტარებინა. მას ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რომელ გუნდში გააგრძელებს თავის კარიერას. ჯერჯერობით, ისიც უცნობია, თუ ვინ დაიკავებს მის ადგილს.

ჰემილტონი კი ამბობს, რომ ჯერ წარმოდგენაც არ აქვს, თუ ვინ იქნება მომდევნო სეზონში მისი პარტნიორი. *"ვიცი, რომ ნიკ ჰაიდფელდმა "ბეემვესთან" კონტრაქტი გააგრძელა. ახლა ლაპარაკობენ ნიკო როსბერგის, ჰეიკი კოვალაინენისა და ადრიან სუტილის შესაძლო გადმოყვანაზე. ოღონდ, ვისზე შეჩერდება არჩევანი, ამაზე წარმოდგენაც არ მაქვს. სამივე შესანიშნავი პილოტია და მათ კარგად ვიცნობ. არჩევანი ჩემი გასაკეთებელი რომ იყოს, გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდებოდა. მაგრამ სამივე კონტრაქტირებულია და ეს საქმეს ართულებს"*, - ამბობს ჰემილტონი.

შეგახსენებთ, რომ გერმანელი **ნიკო როსბერგი** "უილიამს-ტოიოტას" პილოტია, გერმანელი **ადრიან სუტილი** "სპაიკერის" (მერმისიდან "ფორს ინდი") წევრია, ფინელ **ჰეიკი კოვალაინენს** კი კონტრაქტი "რენოსთან" აკავშირებს.

"მაკლარენიდან" ალონსოს წასვლის შემდეგ, ამ გუნდის აშკარა ლიდერი ჰემილტონი ხდება და ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ მის ახალ თანაგუნდელს მეორე პილოტის რანგში ყოფნა მოუწევს.

სხვათა შორის, "მერსედესის" მიერ ორგანიზებულ წვეულებაზე, "მაკლარენის" ყოფილმა პილოტმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ფინელმა **მიკა ჰაკინენმა** გამოაცხადა, რომ ავტოსპორტიდან მიდის. შეგახსენებთ, რომ ჰაკინენი ფორმულა ერთიდან 2001 წელს წავიდა, გერმანიის ტურიზმის კლასის ჩემპიონატში (DTM - დოიჩე ტურენვაგენ მაისტერშაფტ) კი 2005 წლიდან გამოდიოდა. ჰაკინენმა, ვისაც ფორმულა ერთში ოცი ეტაპი აქვს მოგებული, განაცხადა, რომ "მერსედესთან" დარჩება და საქარხნო გუნდს რჩევებით დაეხმარება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



მოსალოდნელი ტრანსფერი

# ფორსბერგზე ნადირობაა

როგორც ცნობილია, შვედმა ფორვარდმა **პიტერ ფორსბერგმა** ევროტურის პირველ ეტაპზე - კარიალას თასზე გამოსვლა გადაწყვიტა. ამან, ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბების ხელმძღვანელთა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და ბევრმა მათგანმა სახელგანთქმული თავდამსხმელის თავის რიგებში ხილვა მოინდომა. "დეტროიტის", "ფილადელფიას", "კოლამბუსის", "კოლორადოსა" და"ოტავას" გენერალურმა მენეჯერებმა ყველას გასაგონად გამოაცხადეს, რომ 34 წლის ფორსბერგის ტრანსფერზე მუშაობას დაიწყებენ.

ამ მხრივ, პირველი ნაბიჯი "ფილადელფიამ" გადადგა, რომლის წარმომადგენლებიც შვედეთში ჩავიდნენ და ჰოკეისტს შეხვდნენ, თუმცა მათი საუბრის დეტალები უცნობი დარჩა.

"ოტავას" გენერალურმა მენეჯერმა **ბრაიან მერეიმ** განაცხადა, რომ აუცილებლად ჩავა ფინეთში და ამ კვირას ევროტურის პირველ ეტაპს დაესწრება, რათა პირადად ნახოს საქმეში ფორსბერგი. კერძოდ, მერეი შვედეთისა და რუსეთის ნაკრებების მატჩის სტუმარი იქნება.

შეგახსენებთ, რომ ფორსბერგი ამჟამად უკლუბოდაა და აქამდე თავის მრავალრიცხოვან ქრონიკულ ტრავმებს მკურნალობდა. შარშან, შვედი "ფილადელფიაში" თამაშობდა და სეზონის მსვლელობისას ის "ნეშვილში" გაცვალეს.



პიტერ ფორსბერგი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**2 ნოემბერი**

**ნიუ ჯერსი-ტორონტო 3:2**

1:0, 0:1, 2:1

**გოლები:** 1:0 კლარკსონი-1 (მოტო-1, ბროდი-1), 1:1 ა. სტინი-3 (ტლუსტი-1, ტ. კაბერლე-5), 2:1 მადენი-6 (ე. გრინი-2), 3:1 პარიზე-4 (ეშემი-3, პელეი-2), 3:2 სუნდინი-7 (კუბინა-9, ჯ. ბლეიკი-12).

**ვაშინგტონი-ფილადელფია 2:3**

1:0, 0:2, 1:1

**გოლები:** 1:0 ფლიშმანი-2 (ბეკსტრიომი-6, ნიულანდერი-8), 1:1 ბრიერი-5 (უმბერგერი-5, ქობურნი-3), 1:2 მ. რიჩარდსი-8 (ლუპული-7), 1:3 უმბერგერი-2 (ქობურნი-4, ჯ. კარტერი-3), 2:3 ოვეჩკინი-9 (ნიულანდერი-9).

**ბაფალო-ფლორიდა 2:4**

0:1, 1:3, 1:0

**გოლები:** 0:1 დვორაკი-1 (გ. კემპბელი-2, მაკლინი-1), 1:1 ჰეხტი-4 (ტალინდერი-3, კონოლი-11), 1:2 ზედნიკი-4 (მტუმპელი-4), 1:3 ზედნიკი-5 (მტუმპელი-5, უეისი-9), 1:4 ო. იოკინენი-8 (ჰორტონი-6, პელტონენი-3), 2:4 ვანეკი-4 (დ. რუა-5, პომინვილი-6).

**დალასი-ფინიქსი 0:5**

0:2, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 ნ. კაპანენი-2 (კარჩილო-3, მ. ჯონსი-1), 0:2 კარჩილო-4 (ბოინტონი-1), 0:3 დოუნი-2 (მორისი-1, ტელკვისტი-1), 0:4 ჰანჟალი-2 (დოუნი-7, ბოინტონი-2), 0:5 ვრბატა-3 (დოუნი-8).

**ედმონტონი-ნეშვილი 1:4**

0:0, 1:1, 0:3

**გოლები:** 0:1 ლეგვანდი-5 (კოისტინენი-1, ერატი-8), 1:1 ჰემსკი-4 (ჰორკოფი-8), 1:2 არნოტი-5 (ერატი-9, დე ვრისი-5), 1:3 ბონკი-5, 1:4 ფიდლერი-4 (ლეგვანდი-7).

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი 2:5**

1:0, 0:3, 1:2

**გოლები:** 1:0 მარლო-3 (ბერნიე-2, რიონიკი-3), 1:1 კამალერი-11 (პრისინგი-3, ფროლოვი-8), 1:2 მოულსონი-1 (ჰანძუში-2, დ. არმტრონგი-6), 1:3 დ. ბრაუნი-5 (კოპიტარი-9, კამალერი-4), 1:4 ნადი-3 (ფროლოვი-9, ვიშნოვსკი-9), 2:4 ჯ. ტორნტონი-5 (მ. მიხალეკი-3, სეტოგუჩი-1), 2:5 დ. ბრაუნი-6 (კამალერი-5).

**3 ნოემბერი**

**მონრეალი-ტორონტო 2:3**

1:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ტ. კაბერლე-5 (პონიკაროვსკი-2, სტაიანი-6), 1:1 კომისარეკი-1 (დანდენო-2, სმოლინსკი-4), 2:1 ჰიგინსი-6 (მარკოვი-7, სმოლინსკი-4), 2:2 სუნდინი-8 (პონიკაროვსკი-3, ი. უაიტი-1), 2:3 სტაიანი-4 (ი. უაიტი-2).

**ოტავა-ბოსტონი 3:2**

1:0, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 მ. ფიშერი-4 (ალფრედსონი-10, კორვო-3), 1:1 კობესიუ-4 (ხარა-6, სავარი-11), 1:2 კობესიუ-5 (მტურმი-4, ალბერტსი-1), 2:2 ჰიტლი-8 (რედენი-5, კორვო-4), 3:2 მ. ფიშერი-5 (კორვო-5, ჰიტლი-7).

**აილენდერსი-პიტსბურგი 3:2**

0:1, 1:1, 2:0

**გოლები:** 0:1 მელოუნი-3 (მალკინი-13, კროსბი-13), 0:2 ტ. კენედი-2 (გ. რობერტსი-5, ტელბოტი-2), 1:2 ჰანტერი-3 (სილინჯერი-4), 2:2 შატანი-2 (ვაშიჩეკი-2, სატონი-3), 3:2 შატანი-3 (მ-ა. ბერჟერონი-3, პარკი-2).

**რეინჯერსი-ნიუ ჯერსი 2:1 (ბ)**

1:1, 0:0, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 გომესი-3 (პრუხა-2, ტიუტინი-1), 1:1 ბრილინი-2 (ოდუია-1, მოტო-2).

**ბულიტები გაიტანეს:** პრუხა (რეინჯერსი).

**კაროლინა-ფლორიდა 4:2**

1:0, 2:2, 1:0

**გოლები:** 1:0 კულენი-4 (ჯ. ჰემილტონი-7, ბრინდამორი-13), 2:0 ლაროუზი-3 (ბრინდამორი-14, ჯასტინ უილიამსი-12), 2:1 ბოუმისტერი-2 (ო. იოკინენი-7, პელტონენი-4), 3:1 ლეტოვსკი-2 (ჯ. ჰემილტონი-8), 3:2 ზედნიკი-6 (მტუმპელი-6), 4:2 სტილმანი-5 (კულენი-11, რეი უიტნი-6).

**ტამპა ბეი-ატლანტა 4:6**

2:1, 2:2, 0:3

**გოლები:** 0:1 ენსტრიომი-2 (კოვალჩუკი-7, ვიაჩ. კოზლოვი-4), 1:1 ო'ბრაიენი-1 (პროსპალი-4, ლეკავალიე-7), 2:1 ო'ბრაიენი-2 (სენტ ლუისი-11, ლეკავალიე-8), 3:1 ულეტი-3 (ლეკავალიე-9, სენტ ლუისი-12), 4:1 ბ. რიჩარდსი-6 (ულეტი-3, სენტ ლუისი-13), 4:2 კოვალჩუკი-10 (პერენი-5), 4:3 მარიან ჰოსა-3, 4:4 კოვალჩუკი-11 (ლიტლი-3), 4:5 დუპუი-2 (ლიტლი-4, ლარსენი-2), 4:6 კოვალჩუკი-12 (მარიან ჰოსა-3, ტ. უაიტი-5).

**მინესოტა-კალგარი 4:1**

1:0, 1:1, 2:0

**გოლები:** 1:0 როლსტონი-7 (გაბორიკი-9, ბერნსი-4), 2:0 გაბორიკი-3 (მეპარდი-2), 2:1 იგინლა-9 (ოკუანი-7, ტანგეი-13), 3:1 გაბორიკი-4 (კ. იონსონი-3, ბერნსი-5), 4:1 რადივოევიჩი-1 (მ. კოივუ-7).

**სენტ ლუისი-ჩიკაგო 2:3**

1:1, 0:0, 1:2

**გოლები:** 0:1 ბიფიგლინი-1 (რ. ბურკი-1, ლაპოინტი-1), 1:1 პერონი-1 (უეიტი-3, რუჩინსკი-5), 1:2 შარპი-4 (ვანდერმეერი-3), 2:2 კარია-3 (ტკაჩუკი-8, ბეკმენი-4), 2:3 შარპი-5 (რ. ბურკი-2).

**ფინიქსი-ანაჰაიმი 2:5**

0:1, 0:2, 2:2

**გოლები:** 0:1 შნაიდერი-1 (გეტცლაფი-8, პრონგერი-7), 0:2 პერი-7 (პრონგერი-8, გეტცლაფი-9), 0:3 მეი-1 (მნაიდერი-1, პერი-5), 1:3 ვრბატა-4 (ჟოვანოვსკი-4, რაინპრეხტი-5), 1:4 გეტცლაფი-4 (მნაიდერი-2, პრონგერი-9), 2:4 ჟოვანოვსკი-1 (ვრბატა-4, დოუნი-9), 2:5 პერი-8.

**კოლორადო-ვანკუვერი 3:4**

0:1, 1:1, 2:2

**გოლები:** 0:1 დ. სედინი-6 (ჰ. სედინი-8, ნესლუნდი-6), 1:1 ფინგერი-1 (უ. სმიტი-3, გიტი-3), 1:2 ბ. მორისონი-5 (დ. სედინი-7, ჰ. სედინი-9), 1:3 კესლერი-3 (ნესლუნდი-7, პიატი-2), 2:3 სვატოსი-6 (მჩასტნი-11, ლაილსი-5), 2:4 დ. სედინი-7 (ჰ. სედინი-10, ოლუნდი-2), 3:4 სვატოსი-7 (მჩასტნი-12, საკიკი-10).

**ლოს ანჯელესი-სან ხოსე 1:3**

1:1, 0:1, 0:!

**გოლები:** 0:1 პაველსკი-3 (ჯ. ტორნტონი-10, ჩიჩუ-3), 1:1 ბ. სტიუარტი-2 (უილსი-3), 1:2 რიონიკი-4 (სემიონოვი-1, მაკლარენი-3), 1:3 ჩიჩუ-3 (ჯ. ტორნტონი-11).



ჯო კალძაგე

ზესაშუალო წონა

# კალძაგემ ტიტულები გააერთიანა

ზესაშუალო წონის ვეტერანმა ჩემპიონმა, უელსელმა **ჯო კალძაგემ** კარდიფის "მილენიუმ სტედიუმზე", 50 000 მაყურებლის თვალწინ, ქულებით დაამარცხა დანიელი **მიკელ კესლერი** და მას ორი პრესტიჟული გაერთიანების ტიტული ჩამოართვა.

ამ შეხვედრამდე, ორივე მოკრივე პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი იყო. კალძაგე ათ წელიწადზე მეტია, არავის უთმობს WBO-ის ტიტულს, კესლერმა კი რინგზე ორი - WBA-ისა და WBC-ს ქამრები გამოიტანა. ბრძოლის დასაწყისში, უპირატესობა დანიელ მოკრივეს ჰქონდა, თუმცა შემდეგ კალძაგე გააქტიურდა, რომელმაც ბოლო ოთხი რაუნდი შეტევებში გაატარა და ქულებით (117-111, 116-112 და 116-112) დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა.

ამგვარად, კალძაგემ პროფესიულ რინგზე ჩატარებული 44-ე ბრძოლაც მოიგო (32 ნოკაუტით), მაგრამ ალბათ ეს ამ წონაში მისი ბოლო გამოსვლა იყო, რადგან მას გადაწყვეტილი აქვს, თავისი მომდევნო ბრძოლა ქვემძიმე წონაში, ამერიკელ **ბერნარდ ჰოპკინსთან** გამართოს. თუმცა, გამორიცხული არაა, რომ მან IBF-ის ჩემპიონთა (ზესაშუალოში) კანადაში მცხოვრებ რუმინელ **ლუსიან ბუტესთან** შეხვედრა ინებოს.

*"ჯო კალძაგემ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ როცა ძლიერი მეტოქე ჰყავს, თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმს ავლენს. მას შეეძლო, ხშირ შემთხვევაში, თავი აერიდებინა მეტოქის შეტევებისთვის, მაგრამ ჯო ის კაცია, რომელიც სირთულეს არ ერიდება. სწორედ ამიტომაა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში, ის არავის უთმობს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს"*, - ბრძოლის შემდეგ განაცხადა ბი-ბი-სის რადიო 5-ის საკრივო მიმომხილველმა **მაიკ კოსტელომ**.

ბრძოლის დასაწყისი კესლერის (39-1, 29 ნოკაუტი) იყო, რომელმაც თავისი ცაცია მუშტით რამდენჯერმე შეარყია მასპინძელი მეტოქე. მესამე რაუნდში უელსელმა კონტრშეტევა სცადა. ერთ მომენტში, თითქოს ნოკდაუნს მიაღწია კიდეც, მაგრამ რეფერი **მაიკ ორტეგამ** ჩათვალა (სამართლიანად), რომ დანიელი ფეხის გაცურების გამო დაეცა.

მეოთხე რაუნდში კალძაგემ რამდენიმე აპერკოტი იგემა, თუმცა წონასწორობა არ დაუკარგავს. აქედან მოყოლებული, მან დაცვა გააძლიერა და შიგადაშიგ კონტრშეტევებიც წამოიწყო. მან გაცილებით უკეთ ჩაატარა მეექვსე რაუნდი, რომლის განმავლობაშიც, რამდენიმე კომბინაცია განახორციელა. მეშვიდეში კესლერმა კიდევ ერთხე, ძლიერად დაარტყა მეტოქეს, რომელმაც ძლივს მოახერხა წონასწორობის შენარჩუნება. მაგრამ ეს დანიელის ბოლო შედეგიანი შეტევა იყო.

ბრძოლის ბოლო, მესამე მეოთხედში, რინგის ბატონ-პატრონი კალძაგე იყო. კესლერი უკან დახევითღა ახერხებდა მისი შეტევებისგან თავის არიდებას. მე-11 რაუნდში კალძაგემ ორი მძიმე აპერკოტი აგემა დანიელს, ვისაც აშკარად დაეტყო დაღლა. ბოლო რაუნდში კალძაგემ ორივე ხელით არაერთი ჰუკი აგემა კესლერს, რომელმაც ერთხელ კი გაიბრძოლა, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია.

*"ვიცოდი, რომ ეს ჩემს კარიერაში ერთ-ერთი უმძიმესი ბრძოლა იქნებოდა. კესლერი მართლაც ძალიან ძლიერი მოკრივეა. ვამაყობ ამ გამარჯვებით. ბოლო რაუნდებში ძალიან გამიჭირდა, საშინლად დაღლილი ვიყავი, მაგრამ ვფიქრობ, მაინც შევძელი ბრძოლის გაკონტროლება. ვამაყობ იმით, რომ შუა რაუნდების შემდეგ, ჯებით აბსოლუტურად ვაკონტროლებდი მიკელის მოქმედებებს"*, - განაცხადა კალძაგემ და მომდევნო ბრძოლაში ჰოპკინსთან შეხვედრა ისურვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

### 5 ნოემბერი. ორშაბათი

**I არხი**

22:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-მეცი.
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბეტისი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
17:50 არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ტიგრე.
19:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:05 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:50 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:50 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი (LIVE).
01:55 არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ინდეპენდიენტე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. MLS. აშშ-ის ჩემპიონატი.
09:49 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
10:17 ფეხბურთი. Barca TV.
10:26 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
12:13 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
12:42 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი.
14:29 ფეხბურთი. Barca TV.
14:39 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
15:06 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-პიტსბურგი.
17:25 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ბოლტონი.
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბეტისი.
23:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი (LIVE).
01:47 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.
02:16 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-პიტსბურგი.
04:06 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
04:06 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
06:17 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი.

**EUROSPORT**

11:30 მოტორსპორტი. [illegible] ნალი.
11:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვალენსიას გრან პრი.
12:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. ტაილანდი.
13:15 მძლეოსნობა. ნიუ იორკის მარათონი.
14:15 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. I დღე. ბელფასტი.
15:30 პლაჟის ფეხბურთი. ჯგუფური ეტაპი. იტალია-იაპონია. ბრაზილია (LIVE).
16:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-მექსიკა. ბრაზილია.
17:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-საემიროები. ბრაზილია (LIVE).
18:00 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. I დღე. ბელფასტი.
18:30 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. II დღე. ბელფასტი (LIVE).
21:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:15 მულტისპორტი.
22:45 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. II დღე. ბელფასტი.
23:30 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. II დღე. ბელფასტი (LIVE).
02:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
03:30 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-მექსიკა. ბრაზილია.
14:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. II ტური.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. II ტური.
18:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. ტაილანდი.
18:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-სენეგალი. ბრაზილია (LIVE).
19:30 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. II ტური.
21:00 ახალი ამბები.
21:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული ჩემპიონატი.
23:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვალენსიას გრან პრი.
00:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული ჩემპიონატი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-ნიგერია. ბრაზილია.
03:15 ახალი ამბები.

## კალათბურთი

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

#### 3 ნოემბერი

**ატლანტა-დალასი 101:94**

29:19, 17:20, 22:30, 33:25

ატლანტა: ჯ. ჯონსონი (28 ქ. 7 მ. 4 პ), ჯოშ სმიტი (18 ქ. 11 მ. 4 პ. 3 ჩ. 2 დ), მერვინ უილიამსი (16 ქ. 5 მ), ლოუ (14 ქ. 4 პ), ჰორფორდი (9 ქ. 10 მ).

დალასი: ნოვიცკი (28 ქ. 8 მ), ტერი (20 ქ. 6 პ. 3 ჩ), ბარეა (14 ქ), დ. ჰარისი (11 ქ), ბასი (10 ქ. 7 მ. 2 დ).

**ინდიანა-მაიამი 87:85**

24:22, 24:25, 20:18, 19:20

ინდიანა: გრეინჯერი (25 ქ. 9 მ. 2 დ), დიოგუ (16 ქ. 6 მ), მ. დანლივი-უმცროსი (15 ქ. 7 მ. 2 ჩ), ჯ. ონილი (10 ქ. 9 მ. 7 პ. 3 დ. 2 ჩ), ტინსლი (5 ქ. 10 პ. 6 პ).

მაიამი: კუკი (17 ქ. 5 მ. 2 ჩ), რ. დევისი (13 ქ. 14 მ. 4 პ), მ. ბლაუნტი (11 ქ), შ. ონილი (8 ქ. 7 მ. 4 დ).

**ნიუ ჯერსი-ტორონტო 69:106**

21:21, 20:35, 12:24, 16:26

ნიუ ჯერსი: რ. ჯეფერსონი (27 ქ. 5 მ), კრსტიჩი (9 ქ).

ტორონტო: ბარნიანი (21 ქ. 6 მ), ბოში (15 ქ: 2 დ), დიქსონი (14 ქ. 2 ჩ), ე. პარკერი (10 ქ), დელფინო (10 ქ. 6 მ. 4 პ), კალდერონი (10 ქ. 8 პ. 4 მ).

**კლივლენდი-ნიუ იორკი 110:106**

32:34, 23:20, 20:26, 35:26

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (45 ქ. 7 მ. 7 პ. 3 ჩ), გიბსონი (24 ქ. 2 დ), გუდენი (14 ქ. 6 მ. 2 ჩ).

ნიუ იორკი: ჯ. კროუფორდი (25 ქ. 6 პ), ზ. რენდოლფი (21 ქ. 14 მ. 3 პ 2. 2 ჩ), ნ. რობინსონი (19 ქ. 6 მ), კარი (18 ქ. 7 მ), მარბერი (10 ქ).

**ბოსტონი-ვაშინგტონი 103:83**

21:18, 37:18, 21:21, 24:26

ბოსტონი: პირსი (28 ქ. 5 მ. 4 პ), გარნეტი (22 ქ. 20 მ. 5 პ. 3 ჩ. 3 დ), რ. ალენი (17 ქ), რონდო (15 ქ).

ვაშინგტონი: არენასი (21 ქ. 5 მ. 2 ჩ), კ. ბატლერი (18 ქ. 8 მ), სონგაილა (13 ქ. 4 მ), ჯეიმისონი (10 ქ), ჰეივუდი (10 ქ. 12 მ. 3 დ).

**მინესოტა-დენვერი 91:99**

27:21, 25:28, 25:25, 14:25

მინესოტა: მაკკენტსი (23 ქ), ე. ჯეფერსონი (16 ქ. 13 მ. 3 პ), რეტლიფი (14 ქ. 6 მ. 3 დ), ბაკნერი (10 ქ).

დენვერი: ენტონი (33 ქ. 6 პ. 5 მ), აივერსონი (24 ქ. 8 პ. 3 ჩ), კემბი (14 ქ. 21 მ. 6 დ. 3 პ).

**ნიუ ორლეანი-პორტლენ. 113:93**

31:21, 26:28, 30:15, 26:29

ნიუ ორლეანი: პოლი (19 ქ. 8 პ. 2 ჩ), სტოიაკოვიჩი (18 ქ. 6 მ), დევიდ უესტი (14 ქ), ბ. ჯექსონი (14 ქ), რ. ბატლერი (11 ქ), ჩენდლერი (10 ქ. 11 მ).

პორტლენდი: როი (23 ქ), ჯეიმს ჯოუნსი (14 ქ), უებსტერი (13 ქ), ოლდრიჯი (8 ქ. 9 მ).

**ჩიკაგო-ფილადელფია 85:96**

20:28, 21:14, 20:29, 24:25

ჩიკაგო: გორდონი (25 ქ. 7 მ), ტაირუს ტომასი (21 ქ. 12 მ. 3 დ), ნოჩიონი (15 ქ), დენგი (10 ქ. 4 მ. 2 დ).

ფილადელფია: ა. მილერი (25 ქ. 6 მ), იგუოდალა (22 ქ. 10 მ. 6 პ. 3 ჩ. 3 დ), დალემბერი (14 ქ. 11 მ. 2 დ), უ. გრინი (13 ქ. 8 მ).

**სან ანტონიო-საკრამენტო 96:80**

17:10, 33:13, 21:31, 25:26

სან ანტონიო: დანკანი (15 ქ. 10 მ. 3 პ. 2 ჩ), ტ. პარკერი (15 ქ. 6 მ), უდოკა (14 ქ. 6 მ),, ბონერი (13 ქ), ჯინობილი (10 ქ. 5 მ. 3 პ), ობერტო (8 ქ. 10 მ).

საკრამენტო: კევინ მარტინი (22 ქ), ბ. მილერი (13 ქ), სალმონსი (13 ქ. 9 მ. 6 პ. 2 დ), გარსია (10 ქ).

**ფინიქსი-ლეიკერსი 98:116**

20:33, 30:30, 17:32, 31:24

ფინიქსი: ბარბოსა (23 ქ), ნეში (19 ქ. 3 პ), მერიონი (14 ქ. 10 მ. 2 დ), გ. ჰილი (12 ქ).

ლეიკერსი: რადმანოვიჩი (19 ქ), ბრაიანტი (16 ქ. 11 მ. 4 პ. 3 ჩ), ფიშერი (14 ქ), ბინუმი (14 ქ. 13 მ. 3 პ), ვუიაჩიჩი (!2 ქ), კ. ბრაუნი (7 ქ. 9 მ).

**შარლოტი-მილუოკი 102:99**

24:18; 22:31, 25:20, 31:30

შარლოტი: ფელტონი (26 ქ. 12 პ. 2 ჩ), ჯ. უოლასი (22 ქ. 10 მ. 4 პ. 4 ჩ), ჯ. რიჩარდსონი (21 ქ. 6 მ), ოკაფორი (17 ქ. 14 მ. 5 დ).

მილუოკი: რედი (21 ქ. 4 პ. 3 ჩ), მო უილიამსი (20 ქ), ვილიანოვა (14 ქ. 7 მ), დ. მეისონი (12 ქ. 6 მ), ბოგუტი (11 ქ. 17 მ. 5 დ. 2 პ).

**ორლანდო-დეტროიტი 92:116**

30:28, 25:36, 23:27, 14:25

ორლანდო: რ. ლიუისი (21 ქ), თურქოღლუ (17 ქ. 5 მ), დ. ჰოვარდი (16 ქ. 13 მ), ბოგანსი (14 ქ).

დეტროიტი: ფ. მიურეი (19 ქ. 5 პ), ბილაპსი (18 ქ. 7 პ. 6 მ), პრინსი (17 ქ. 6 პ), რ. უოლასი (16 ქ. 7 მ. 3 დ. 2 ჩ), მაკდაიესი (12 ქ. 7 მ), ჯ. ჰეიესი (11 ქ. 6 მ).

**კლიპერსი-გოლდენ სტ. 120:114**

35:27, 26:34, 31:29, 28:24

კლიპერსი: კამანი (26 ქ. 18 მ. 3 პ|), მობლი (21 ქ. 5 მ. 3 პ), ტიმ ტომასი (20 ქ), მაგეტი (16 ქ. 7 მ. 5 პ), პატერსონი (11 ქ. 6 მ. 3 დ), კასელი (10 ქ).

გოლდენ სტეიტი: აზუბუიკე (33 ქ. 8 მ), ბ. დევისი (22 ქ. 11 პ. 8 მ), მ. ელისი (14 ქ. 5 პ), ე. ჰარინგტონი (13 ქ. 6 მ), ბიედრინსი (12 ქ. 7 მ. 3 დ).

#### 4 ნოემბერი

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 88:93**

19:17, 15:21, 23:29, 31:26

ფილადელფია: იგუოდალა (16 ქ), ლ. უილიამსი (13 ქ), დალემბერი (13 ქ. 9 მ. 4 დ), ა. მილერი (12 ქ. 2 ჩ), კორვერი (11 ქ. 11 მ), კარნი (10 ქ).

ნიუ ჯერსი: რ. ჯეფერსონი (22 ქ. 6 პ. 4 მ. 3 ჩ), ვ. კარტერი (18 ქ. 6 მ. 5 პ), კიდი (16 ქ. 14 მ. 10 პ. 3 ჩ), ეა. რაიტი (10 ქ), მ. ალენი (10 ქ. 2 დ).

**ვაშინგტონი-ორლანდო 82:94**

18:19, 24:31, 25:14, 15:30

ვაშინგტონი: კ. ბატლერი (23 ქ. 9 მ), ჯეიმისონი (20 ქ. 5 მ), არენასი (10 ქ. 6 პ. 2 ჩ), ჰეივუდი (10 ქ. 16 მ. 5 დ).

ორლანდო: თურქოღლუ (25 ქ. 8 პ. 7 მ. 2 ჩ), რ. ლიუისი (18 ქ. 8 მ. 4 პ. 2 ჩ), დ. ჰოვარდი (17 ქ. 15 მ. 3 დ), ნელსონი (17 ქ. 7 მ. 2 პ. 2 ჩ).

**მემფისი-ინდიანა 111:121**

31:40, 30:32, 26:22, 24:27

მემფისი: ლოური (19 ქ. 6 პ. 2 ჩ), გასოლი (18 ქ. 10 მ. 3 პ), მ. მილერი (14 ქ. 10 მ. 7 პ), გეი (13 ქ), ჯეიკობსენი (12 ქ), დ. სტაუდმაიერი (10 ქ), მილიჩიჩI (9 ქ. 7 მ. 3 დ).

ინდიანა: მ. დანლივი-უმცროსი (27 ქ. 8 მ. 4 პ), დ. გრეინჯერი (23 ქ. 2 ჩ), ტინსლი (14 ქ. 7 პ), ჯ. ონილი (13 ქ. 5 მ), დიოგუ (12 ქ), რაში (12 ქ).

**დალასი-საკრამენტო 123:102**

37:25, 36:31, 28:27, 22:19

დალასი: ჯოშ ჰოვარდი (27 ქ. 7 მ. 5 პ. 2 დ), ბარეა (25 ქ. 5 პ), ნოვიცკი (24 ქ. 7 პ. 4 მ), ტერი (16 ქ. 5 პ), ბასი (11 ქ. 2 ჩ. 2 დ).

საკრამენტო: კევინ მარტინი (28 ქ. 6 მ), სალმონსი (27 ქ. 5 მ. 4 პ), გარსია (23 ქ. 6 პ).

**მილუოკი-ჩიკაგო 78:72**

20:19, 12:16, 24:13, 22:24

მილუოკი: რედი (27 ქ. 9 მ. 5 პ), ქიი (16 ქ. 8 მ. 2 დ), ჩ. ბელი (11 ქ. 5 მ. 4 პ).

ჩიკაგო: გორდონი (15 ქ. 8 მ. 3 პ), ჯო სმიტი (14 ქ. 10 მ), ნოჩიონი (12 ქ. 6 მ).

**ჰიუსტონი-პორტლენდი 89:80**

25:12, 21:19, 16:15, 27:34

ჰიუსტონი: მინი (21 ქ. 12 ), მაკგრეიდი (20 ქ. 6 პ), მ. ჯეიმსი (17 ქ), სკოლა (8 ქ. 8 მ).

პორტლენდი: როი (23 ქ. 5 პ), ოლდრიჯი (20 ქ. 8 მ. 2 დ), უებსტერი (15 ქ. 8 ).

**იუტა-გოლდენ სტ. 133:110**

29:28, 36:18, 29:35, 39:29

იუტა: დ. უილიამსი (30 ქ. 11 პ. 4 ჩ), ოქური (28 ქ. 4 პ), ბრიუერი (19 ქ. 3 პ), კირილენკო (15 ქ. 8 მ. 6 პ. 2 დ), ბუზერი (12 ქ. 10 მ. 6 პ), გირიჩეკი (12 ქ), ჰარპრინგი (10 ქ)

გოლდენ სტეიტი: ე. ჰარინგტონი (38 ქ. 7 მ. 3 პ. 2 ჩ), აზუბუიკე (17 ქ. 2 ჩ), ბიედრინსი (14 ქ. 9 მ. 2 დ), ბ. დევისი (11 ქ. 8 პ), მ. ელისი (11 ქ. 3 პ).

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ურუგვაი | |
|---|---|
| ბელა ვისტა-რივერ პლეიტი | 0:1 |
| სერო-პენიაროლი | 0:0 |
| რამპლა-დანუბიო | 0:0 |
| დეფენსორი-ხუვენტუდი | 2:0 |
| ფენიქსი-სენტრალი | 1:2 |
| ნასიონალი-ლივერპული | 2:0 |
| პროგრესო-ტაკუარემბო | 2:1 |
| უონდერერსი-მირამარი | 2:1 |

### კალათბურთი

| საბერძნეთი | |
|---|---|
| აეკ-პანიონიოსი | 69:70 |
| ეგალეო-აელ | 81:71 |
| კოლოსოსი-პანელინიოსი | 77:90 |
| მარუსი-პაოკ | 70:57 |
| ოლიმპია-რეთიმნო | 61:52 |
| არისი-აეკ | 76:60 |
| პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 81:77 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ტაუგრესი-ესტუდიანტესი | 90:69 |
| ლეონი-ხუვენტუდი | 80:90 |
| ბარსელონა-ფუენლაბრადა | 78:62 |
| ბილბაო-კახასოლი | 81:66 |
| მურსია-ხირონა | 76:67 |
| ვალენსია-გრან კანარია | 75:71 |
| რეალი-გრანადა | 95:72 |
| უნიკახა-მენორკა | 66:83 |
| მანრესა-ვალიადოლიდი | 78:92 |

| იტალია | |
|---|---|
| კლიმამიო-ვირტუსი | 80:63 |
| ბენეტონი-რომა | 81:85 |
| აველინო-დ'ორლანდო | 102:79 |
| მონტეპასკი-ბიელა | 100:65 |
| მონტეგრანარო-მილანი | 82:73 |
| რიეტი-სნაიდერო | 71:74 |
| სკავოლინი-კანტუ | 84:74 |
| ტერამო-სკაფატი | 73:75 |
| ვარეზე-ნაპოლი | 84:90 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ვიში-გრაველინი | 77:65 |
| კლერმონი-ორლეანი | 73:61 |
| ლე მანი-ჰავრი | 90:65 |
| რუანი-ლიონი | 91:78 |
| შოლე-ბულონი | 97:86 |

### ჰოკეი

| გერმანია | |
|---|---|
| ფრანკფურტი-დიუსელდორფი | 5:4 |
| იზერლონი-შტრაუბინგი | 3:0 |
| აუგსბურგი-ჰამბურგი | 3:2 |
| ინგოლშტადტი-ნიურნბერგი | 3:4 |
| კიოლნი-დუისბურგი | 3:2 |
| კრეფელდი-ვოლფსბურგი | 3:1 |
| მანჰაიმი-აისბარენი | 5:4 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| პოპრადი-სკალიცა | 5:2 |
| სლოვანი-ნიტრა | 3:1 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ჰიფკ-ესეტი | 3:3 |
| იუვიასკიულა-კიეკო | 1:3 |
| კარპატი-ჰპკ | 3:4 |
| ლუკო-საიპა | 2:2 |
| პელიკანი-ტაპარა | 4:0 |
| ტპს-იოკერიტი | 3:3 |
| იოკერიტი-ილვესი | 6:3 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-სპარტა | 1:1 ო.ტ. 1:2 |
| ზლინი-ტრშინეცი | 3:1 |
| პარდუბიცე-ლიტვინოვი | 3:0 |
| სლავია-ზნოიმო | 7:0 |
| პლზენი-კარლოვი ვარი | 6:3 |
| სლოვანი-კლადნო | 4:4 ო.ტ. 5:4 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ამბრი-ბაზელი | 6:3 |
| ბერნი-ცუგი | 4:1 |
| დავოსი-სერვეტი | 1:3 |
| კლოტენი-ფრიბურგი | 6:3 |
| ლანგნაუ-ლუგანო | 9:3 |
| ციურიხი-რაპერსვილი | 2:2 |

| შვედეთი | |
|---|---|
| მოდო-ლინჩოპინგი | 2:0 |
| ფერიესტადი-ლულეა | 5:3 |
| ჰვ 71-ბრინესი | 5:1 |
| სკელეფტეო-ტიმრო | 2:1 |
| იურგორდენი-მორა | 0:3 |
| სიოდერტალიე-ფროლუნდა | 7:3 |

### ჩოგბურთი

| ATP. პარიზი | |
|---|---|
| ნალბანდიანი-ნადალი | 6:4, 6:0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

## ჰაშეკი გამოჯანმრთელდა

"დეტროიტ რედ უინგზის" ვეტერანი მეკარე **დომინიკ ჰაშეკი** საწვრთნელ პროცესს დაუბრუნდა. როგორც იცით, ჩეხ გოლკიპერს ბარძაყის ტრავმა აწუხებდა და ამის გამო, დაახლოებით სამი კვირის გამოტოვება მოუწია. საინტერესოა, რომ "დომინატორის" არყოფნაში, "დეტროიტმა" 7 მატჩი ჩაატარა და ყველა მოიგო. ამ დროს, გუნდის კარში **კრის ოსგუდი** იდგა.

რეგულარულ ჩემპიონატში ჰაშეკის დაბრუნება ოთხშაბათს, "ნეშვილთან" მატჩშია ნავარაუდები.

## ვანკუვერმა ბიეკსა დაკარგა

სერიოზული დანაკლისი აქვს "ვანკუვერ კენაქსს". "ნეშვილთან" 0:3 წაგებულ მატჩში, "კენაქსის" მცველი **კევინ ბიეკსა ვერნონ ფიდლერს** შეეჯახა და მარჯვენა ფეხი დაიზიანა. სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, 26 წლის ჰოკეისტს დაახლოებით 6-8 კვირა დასჭირდება მწყობრში ჩასადგომად.

"ვანკუვერმა" თავისი წამყვანი მცველის შესაცვლელად, ფარმკლუბიდან უკვე უხმო **ლუკ ბორდონს**.

## აილენდერსის კეთილი ჟესტი

უცნაური გადაწყვეტილება მიიღო "ნიუ იორკ აილენდერსის" ხელმძღვანელობამ. ამ კლუბმა ერთდღიანი კონტრაქტი გაუფორმა თავის ყოფილ მოთამაშესა და მწვრთნელს **ელ არბორს** და მას "პიტსბურგთან" მატჩში, "კუნძულელთა" დამრიგებლის როლის შესრულების საშუალება მისცა. ამით არბორმა "აილენდერსის" მწვრთნელის რანგში 1500-ე მატჩი ჩაატარა.

*"არბორს ჩვენი გუნდისთვის იმდენი კარგი აქვს გაკეთებული, რომ ვალდებულნი ვიყავით მისთვის გვეჩუქებინა მატჩი, რომელიც არასოდეს დაავიწყდება. დარწმუნებული ვარ, ეს შეხვედრა ლიგის ლეგენდარული მატჩების სიაში შევა და ბევრ გულშემატკივარს დაამახსოვრდება"*, - განაცხადა ნიუიორკული კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **გარტ სნოუმ**.

შეგახსენებთ, რომ არბორმა 1980-83 წლებში "აილენდერსთან" ერთად ოთხჯერ მოიპოვა სტენლის თასი.

## კეინი საუკეთესო ახალბედაა

ოქტომბერის თვის შედეგების მიხედვით, რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო დებიუტანტად "ჩიკაგო ბლექჰოქსის" 18 წლის ფორვარდი **პატრიკ კეინი** დასახელდა.

გასულ თვეში, 2007 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა 16 ქულა (5 გოლი+11 პასი) დააგროვა. საინტერესოა, რომ სადებიუტო თვეში ლიგის ისტორიაში კეინზე უკეთესი შედეგი მხოლოდ ორ ჰოკეისტს ჰქონდა - **ტეემუ სელიანეს** (20) და **ჯო ჟიუნოს** (17). ორივემ 1992-93 წლების სეზონში გამოიჩინა თავი.

ამ პრიზის მოსაპოვებლად კეინის კონკურენტები იყვნენ მისი თანაგუნდელი **ჯონათან ტოუვზი, სემ განიე, ენდრიუ კოლიანო** (ორივე "ედმონტონი") და მეკარე **ჯოშ ჰარდინგი** ("მინესოტა").

## ოზოლინში ზვიგენი გახდა

35 წლის ლატვიელმა მცველმა **სანდის ოზოლინშმა** წარმატებით გაიარა გამოსაცდელი პერიოდი და კონტრაქტი გააფორმა "სან ხოსე შარქსთან". "ყველა ვარსკვლავის მატჩის" შვიდგზის მონაწილე იმ კლუბში დაბრუნდა, რომელშიც 1993-95 წლებში თამაშობდა. სულ NHL-ში, ოზოლინშის ანგარიშზე 164 გოლი და 384 პასია, ხოლო "სან ხოსეს" გარდა, მას "რეინჯერსში", "ანაჰაიმში", "ფლორიდაში", "კაროლინასა" და "კოლორადოში" უთამაშია. ამ უკანასკნელის რიგებში, ლატვიელი სტენლის თასის მფლობელი გახდა.

*"სანდისმა ტესტებში კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მისი დამატებით "ზვიგენებმა" კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს წინ"*, - განაცხადა "სან ხოსეს" გენერალურმა მენეჯერმა დუგ უილსონმა.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში, ოზოლინში ალკოჰოლისადმი მიდრეკილებას ებრძოდა და შესაბამისი სარეაბილიტაციო კურსი გაიარა.

## სპეცამ 49-მილიონიანი კონტრაქტი მიიღო

"ოტავა სენატორზის" ერთ-ერთი ლიდერი **ჯეისონ სპეცა** შვიდი წლით რჩება თავის ამჟამინდელ კლუბში. ახალი კონტრაქტის საერთო ღირებულებამ 49 მილიონი დოლარი შეადგინა.

მიმდინარე სეზონის ბოლოს, 24 წლის ტორონტოელი თავისუფალი აგენტი ხდებოდა და "სენატორებისთვის" კონტრაქტის გაგრძელება ძალზედ მნიშვნელოვანი იყო. სპეცას რეგულარული ჩემპიონატის 256 მატჩში 83 გოლი და 182 შედეგიანი პასი აქვს დაგროვებული.

აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე, "ოტავამ" ასევე მრავალწლიანი კონტრაქტები გაუფორმა თავის ორ ლიდერს - **დენი ჰიტლისა და დანიელ ალფრედსონს**.

## განიე რეგულარულს უბრუნდება

10-დღიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, "ფილადელფიის" რიგებს უბრუნდება ფორვარდი **საიმონ განიე**. რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში შეტაკების შემდეგ, გამოცდილ თავდამსხმელს თავბრუსხვევა აწუხებდა. ახლა კი, ის თავს სრულიად ჯანმრთელად გრძნობს და ექიმებმაც ყინულზე გასვლის ნება დართეს.

"ფლაიერზის" გენერალური მენეჯერი **პოლ ჰოლმგრენი** თვლის, რომ თუ თავის ტკივილი აღარ განმეორდება, მაშინ განიე დღეს, "რეინჯერსთან" მატჩში მიიღებს მონაწილეობას.

## ატლანტა მწვრთნელს ეძებს

როგორც ცნობილია, დაახლოებით ერთი კვირის წინ, "ატლანტა ტრეშერზის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **ბობ ჰარტლი** დაითხოვეს. დღემდე, ამ გუნდის დამრიგებლის მოვალეობებს გენერალური მენეჯერი **დონ უოდელი** ასრულებს, რომელიც პარალელურად, ახალი მწვრთნელის ძიებაშია.

უოდელის ბოლო განცხადებით, მთავარი მწვრთნელის პოსტზე ცხრა კანდიდატურა განიხილება. გარდა ამისა, რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთი აუთსაიდერი გაცვლების საშუალებით აპირებს შემადგენლობის გაძლიერებას.

ჯერჯერობით, უოდელს ჯერ არ დაუსახელებია მწვრთნელობის კანდიდატთა გვარები.

მძლეოსნობა

## მარათონელის სიკვდილი

ამერიკის მძლეოსნობის ოლიმპიური ნაკრები ერთი მარათონელის გარეშე დარჩა. შაბათს, გუნდის ერთ-ერთი ვარჯიშის დროს, ტრასაზე უგრძნობლად დაეცა მორბენალი **რაიან შეი**. მან გონება მაშინ დაკარგა, როცა ხუთი კილომეტრი ჰქონდა გარბენილი. შეი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. სიკვდილის მიზეზად გულის შეტევა დასახელდა.

შეი 2003 წელს, ამერიკის ჩემპიონი იყო მარათონში, ორჯერ იგივე ტიტული ნახევარმარათონში მოიპოვა, ხოლო 2004 წელს, ქვეყნის ჩემპიონატი მოიგო 20 კილომეტრ დისტანციაზე.



ტურნირები

# ნალბანდიანი პარიზის ჩემპიონია

არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანის** ტრიუმფით დასრულდა ამ სეზონის მასტერსის სერიის ბოლო, პარიზული ტურნირი, რომლის ფინალშიც მან იოლად დაამარცხა მსოფლიოს მეორე ჩოგანი, ესპანელი **რაფაელ ნადალი**.

ნალბანდიანი სეზონის მიწურულს უმაღლეს დონეზე ატარებს. მან ნადალი მადრიდის მასტერსის მეოთხედფინალშიც დაამარცხა (6:1, 6:2) და იგივე პარიზშიც, ამჯერად უკვე ფინალში გაიმეორა. ეს მათი მეორე დაპირისპირება იყო და ორივე შემთხვევაში, ნადალმა არგენტინელისთვის მცირედი წინააღმდეგობის გაწევაც კი ვერ შეძლო. და თუ პირველ შემთხვევაში, მისი ნაგება ტრავმას დაბრალდა, ამჯერად ნადალი სრულებით სალსალამათი თამაშობდა.

რაც შეეხება ნალბანდიანს, მან მადრიდშიც და პარიზშიც, ნადალის გარდა, მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერიც** დაამარცხა. განსხვავება ისაა, რომ ფედერერს მადრიდში ფინალში მოუგო, ამჯერად კი ის მესამე წრეში გამოთიშა ტურნირს. რაც მთავარია, მან მასტერსის სერიის ზედიზედ ორი ტურნირი (ორივე ჭერქვეშა) მოიგო. თუმცა ამ ორი ბრწყინვალე გამარჯვების მიუხედავად, არგენტინელმა მაინც ვერ შეძლო მასტერსის თასის საგზურის მოპოვება.

შანხაის საგზურამდე ნალბანდიანს მხოლოდ ერთი ნაბიჯი დააკლდა - ჩემპიონთა რბოლის ახალ ცხრილში, რომელიც ოფიციალურად დღეს გამოქვეყნდება, ის მეცხრე ადგილს დაიკავებს. შანხაიში თამაშისთვის კი მას მერვე ადგილი ესაჭიროებოდა, რომელიც ფრანგი **რიშარ გასკეს** ნადავლი შეიქნა.

გასკემ შანხაის საგზური მას შემდეგ მოიპოვა, რაც პარიზულ ტურნირს ნახევარფინალში გამოეთიშა კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი**. ამან ნადალთან წააგო, გასკეს კი ფინალისკენ გზა ნალბანდიანმა გადაუღობა. ყოველივეთი კი მოგებული მაინც გასკე დარჩა, ვინც ჩემპიონთა რბოლის ცხრილში მერვე ადგილზე დამკვიდრდა.

გასკეს გარდა, შანხაიში ითამაშებენ: როჯერ ფედერერი, რაფაელ ნადალი, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**, რუსი **ნიკოლაი დავიდენკო**, ამერიკელი **ენდი როდიკი**, ესპანელი **დავიდ ფერერი** და ჩილელი **ფერნანდო გონსალესი**.

ნადალმა პარიზის მასტერსზე პირველად ითამაშა, თუმცა პარიზში, ოღონდ "როლან გაროსის" კორტებზე (სადაც საფრანგეთის ღია ზედიზედ სამჯერ აქვს მოგებული), ნაგების სიმწარე აქამდე არასოდეს განეცადა. მას შანსი ჰქონდა, გაემეორებინა ამერიკელი **ანდრე აგასის** მიღწევა, რომელსაც საფრანგეთის ღია და პარიზის მასტერსი აქვს მოგებული. ცნობისათვის, მსგავსი მიღწევით, ჯერჯერობით, ვერცერთი სხვა ჩოგბურთელი ვერ დაიკვეხნის.

ფინალის პირველი სეტი მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ჩოგბურთელები მეცხრე გეიმამდე ისე მივიდნენ, ბრეიკის ერთი შანსიც არ ჰქონიათ. ორივე იოლად ახერხებდა თავის სერვისზე ქულების დაგროვებას. მაგრამ მეცხრეში ნალბანდიანმა ორი ბრეიკ პოინტი მოიპოვა, რომელთაგან პირველივე, მოწოდების ხეირიანად მოგერიებით, ქულად აქცია და ბრეიკსაც მიაღწია.

ამის შემდეგ, არგენტინელს თავისი სერვის გეიმის მოგება აღარ გასჭირვებია. ეგ კი არა, მეტოქეს ერთი ქულაც არ დაანება და თამაშის დაწყებიდან 41 წუთში პირველი სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

*"ბრეიკის შემდეგ დავრწმუნდი, რომ მე მასზე უკეთ ვთამაშობდი. სწორედ ეს იყო გადამწყვეტი ფაქტორი. ისე ავთამაშდი, რომ ამაზე ოცნებაც კი არ შემეძლო. ქულას თითქმის ყველა კუთხიდან, ნებისმიერი სირთულის დარტყმით ვიპოვებდი. ამან თავდაჯერებულობა შემმატა და შედეგიც შესაბამისი მივიღე"*, - თამაშის შემდეგ განაცხადა ნალბანდიანმა.

პირველი სეტის მოგების შემდეგ, 25 წლის არგენტინელი, ვისაც სეზონის პირველი ნაწილი მუხლისა და წელის ტრავმების გამო ჩაუვარდა, კიდევ უფრო უკეთ ათამაშდა. მან აგრესია გაზარდა, რითაც მეტოქე სრულიად განაიარაღა. ნადალი აბსოლუტურად უმწეოდ გამოიყურებოდა. ეს კი მის ნერვებზეც რამდენჯერმე აისახა. ესპანელს მოთმინებამ განსაკუთრებით მესამე გეიმში უმტყუნა, რის შედეგადაც, ორმაგი შეცდომა დაუშვა და მეტოქეს მორიგი ბრეიკი ასე ჩააბარა.

კითხვაზე, მეორე სეტში ხომ არ ჰქონდა რაიმე პრობლემა, რაც თამაშში ხელს უშლიდა, ნადალმა უპასუხა: *"დიახ, ეს იყო ნალბანდიანი, ის უბრალოდ, წარმოუდგენელი თავდაჯერებით თამაშობდა"!*

ხუთი გეიმის შემდეგ, ნადალს ერთიც არ ჰქონდა მოგებული, ნალბანდიანი კი უკვე მატჩზე აწოდებდა. რა თქმა უნდა, მას არც ამ შემთხვევაში გასჭირვებია საჭირო რაოდენობით ქულების დაგროვება. პირველი სამი ქულა უმალ მოიპოვა და მოპოვებული სამი მატჩ პოინტიდან, პირველივე აქცია გამარჯვების მომტან ქულად.

ამ ორ სამასტერსო ტურნირზე ნალბანდიანს უბადლო მოწოდება, შესანიშნავი, შემტევი დაბრუნება და ხაზიდან აგრესიული თამაში გამოარჩევდა. უიმბლდონის ყოფილმა (2002 წლის) ფინალისტმა ორივე ტურნირზე მსოფლიოს სამივე საუკეთესო ჩოგბურთელი (ფედერერი, ნადალი და ჯოკოვიჩი) დაამარცხა, მათგან პირველი ორი - ორჯერ და თუ შანხაიში თამაშის უფლება ვერ მოიპოვა, მხოლოდ იმიტომ, რომ ტრავმის გამო, სეზონის პირველი ნახევარი გაუცუდდა. არადა, ჩოგბურთის მოყვარულები შანხაიში მისი თამაშით დიდ სიამოვნებას მიიღებდნენ...

**ATP**

**BNP პარიბასის მასტერსი**

პარიზი (საფრანგეთი). ჭერქვეშა ხალიჩა

საპრიზო ფონდი: 2 082 500 ევრო

**მეოთხედფინალი**

რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-მიხაილ იუჟნი (რუს) 6:4, 6:2; რიშარ გასკე (საფ, 10)-ენდრიუ მარეი (ბრიტ, 15) 6:3, 0:6, 6:4

**ნახევარფინალი**

რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 4:6, 6:4, 6:3; დავიდ ნალბანდიანი (არგ)-რიშარ გასკე (საფ, 10) 6:2, 6:4

**ფინალი**

დავიდ ნალბანდიანი (არგ)-რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 6:4, 6:0




დავიდ ნალბანდიანი

ლელო

სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით ბეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმჯარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. ინსტიტუტია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა